

SOS!

„მე არ ვიცი, ვინ ჩამოსხნა ეს საქანელა, მაგრამ თუ ეს სიმართლეა, რასაც მეკითხებით, მაშინ სირცხვილი ჩვენ. რომელ ვეროპაზეა ლაპარაკი, გეკითხებით?“

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების უფლებები ირღვევა! EXCLUSIVE



მარგველაშვილი-ერისთავი-მელია



საქტაშვილი ახალი პოლიტიკური პარტია იქმნება

დავით ერისთავი: „დეტალებზე ჯერ ვერ ვისაუბრებთ. პრეზენტაციაზე იქნება ყველაფერი ცნობილი... ნიკა ჩემი ბავშვის ნათლია და მეგობარია“

„როდესაც სააკაშვილის რეჟიმის დროს მოსამართლეების თითქმის 90 პროცენტი გაუშვეს სახლში, ეს არ ნიშნავდა იმას, რამდენი დამოუკიდებელი მოსამართლე ჰყოლია ქვეყანას? შესაბამისად, ის ადამიანები, რომლებმაც თავის დროზე შეაფასეს ეს პოზიციები, მორჩილებით გაუძლეს რეჟიმს და დღესაც რჩებიან მოსამართლეებად, გარკვეულ შთაბეჭდილებას, რა თქმა უნდა, ქმნიან“



სასამართლო ისევ ნაციონალების კონტროლს ექვემდებარება?!

„არბო 2014 - ლეგენდის ბაცოცხლება“ - თბილისის 72 წლის ინგლისელი მეცნიერი ეწვევა



ილიკო ფერაძე:
„ამ ექსპედიციით და საქართველოში ჩამოსვლით კი სევერინმა დაამტკიცა, რომ ლეგენდა არგონავტებზე რეალურია“

EXCLUSIVE

შალვათიანი აბროკრადიტის პროექტის მუშავე კომპონენტის ფარგლებში ათმის შესასყიდად აღებული სანსის თანადაფინანსება განხორციელდება



EXCLUSIVE

გომონა, რომელმაც მიშო ელიავა ღიმილით მოაჯადოვა



EXCLUSIVE

EXCLUSIVE

რატომ დაიბარეს „იბედის“ მენეჯმენტი ლონდონში - ვის მოუწავს არხის დატოვება



ბაია ცანავას ექსკლუზიური ინტერვიუ

მოყვება თუ არა ნათია აბრამიას დანიშვნას „იბედის“ თანამშრომელთა პროტესტი?

ბაია ცანავა: „ეს უნდა ჰკითხოთ იმ თანამშრომლებს, თუ ვინმემ გამოთქვა ასეთი პროტესტი, მე არ ვიქნები თავმდაბალი და გეტყვით, რომ ნიუსის თანამშრომლებს გარკვეული კითხვის ნიშნები გაუჩნდათ, რატომ არ შეიძლებოდა რეორგანიზაცია-რეფორმირება ჩატარებულიყო ჩემი ხელმძღვანელობის დარჩენის პარალელურად“

გორუბი ჩატარებული სპეცოპერაციის დეტალები პირველად „პრაიმტაიმში“

ტოკიოში ტურიზმის პროვინული ადმინისტრაციის წარმომადგენლობა გაიხსნა

ნანა შონია

საქართველო, ქართული პროდუქცია, კულტურული მემკვიდრეობა, ტრადიციები, ამომავალი მზის ქვეყნის, იაპონიის ყურადღებას იქცევს.

სამი წლის წინ „ბორჯომის“ წყლით დაწყებულმა ბიზნეს ურთიერთობამ, მასშტაბური ხასიათი მიიღო და არაერთი იაპონელის ყურადღება მიიქცია.

სატოში აბარა, იაპონელი ბიზნესმენია, რომელიც საქართველოს, წლების წინ, სწორედ ბიზნეს ინტერესების გამო ეწვია. ადგილზე მიღებული შთაბეჭდილებები იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ საქართველოს პოპულარიზაციაზე დაინტერესდა. მისი დამსახურებით საქართველოში დაინტერესებული ადამიანების რიცხვი სწრაფად გაიზარდა, ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ არ დააყოვნა და იაპონელ ბიზნესმენს მისი წარმომადგენლის ნოდება ოფიციალურად მიანიჭა. ტოკიოში მდებარე ოფისი, კომპლექსურად საქართველოს პოპულარიზაციაზე, ტურისტების მოზიდვას და ორ ქვეყანას შორის ბიზნეს-პარტნიორობის გაღრმავებას შეუწყობს ხელს. ამ საქმეში კი დიდი წვლილი იმ „ქართულ კლუბს“ მიუძღვის, რომელიც ბატონმა აბარამ საქართველოში მოგზაურების შემდეგ შექმნა და მასში ქართველი სუმოისტები, დიპლომატები ბიზნესმენები და საქართველოში დაინტერესებული პირები არიან განვრცობილი. კლუბის წევრთა რაოდენობა 150 ადამიანს ითვლის და ქართული კულტურის პოპულარიზაციისკენ არის მიმართული. მთლიანობაში ბიზნეს-ეკონომიკური ურთიერთობები, იაპონიიდან საქართველოში დაინტერესებული ბიზნესის და ტურისტების რაოდენობას ზრდის.

სატოში აბარა, იაპონელი ბიზნესმენი: - საქართველოს შესახებ პირველად, ოთხი წლის წინ, ჩემი იაპონელი, დირიჟორი მეგობრისგან გავიგე. ის, მისი საქმიანობიდან გამომდინარე, იმყოფებოდა თქვენს ქვეყანაში და შთაბეჭდილებებით აღსავსე დაბრუნდა. ჩამოსულმა მინერალური წყალი „ბორჯომი“ გამასინჯა და სწორედ ამან მიიქცია ჩემი ყურადღება. დღეს ხშირად ვამბობ, რომ სწორედ წყლის ძალამ დამაკავშირა საქართველოსთან, რაც ყველაფერზე ძლიერია. თქვენი ქვეყნით აღფრთოვანებული დავრჩი, ვნახე ხალხი, გოგირდის აბანოები, ღვინის დამზადების უძვე-



ლესი ტექნოლოგიები. ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება მაინც ხალხთა შორის არსებული უთიერთობები და სტუმართმოყვარეობა იყო. ის კომუნიკაცია და ურთიერთდამოკიდებულება, რაც თქვენს ქვეყანაში არსებობს, იაპონიაში თავის დროზე იყო, დღეს კი, სამწუხაროდ, აღარ არის. ბიზნესის გარდა წმინდა ადამიანური ურთიერთობების შთაბეჭდილებებით აღსავსე დაგზარუნდი საქართველოდან და მომინდა, ყველა ჩემს თანამოქალაქს ჰქონოდა ამასთან შეხება. სწორედ ასე დაინყო საქართველოსთან ურთიერთობა და ცოტა ხანში, გავხსენით იაპონიაში „ქართული კლუბი“, რომელიც დღეს 150 წევრს ითვლის. სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებს ვმართავთ, ვმასპინძლობთ საქართველოდან ჩამოსულ სტუმრებს და, რაც მთავარია, აქტიურად ვამყარებთ ბიზნეს ურთიერთობებს.

თებერვალში ტურიზმის ადმი-

ნისტრაციაში მივიღე, ტურიზმის ადმინისტრაციის წარმომადგენლის ნოდება. გიორგი სიგუას მანამდე შევხვდი და გავიცანი. ძალიან სასიამოვნო იყო ჩემთვის ამ ნოდების მიღება. ამის შემდეგ გაიხსნა ჩვენი ბიურო ტოკიოში. ამ ბიუროს საშუალებით ადამიანები შეძლებენ კომპლექსურად, მეტი ინფორმაცია მიიღონ საქართველოზე. იაპონელების უმრავლესობას უყვარს მოგზაურობა. ეძებენ ისეთ ადგილს, რომელიც განსხვავებულია. მე ვუხსნი მათ რისი ნახვა შეუძლიათ საქართველოში, რომ ეს ღვინის სამშობლოა, გაქვთ არაჩვეულებრივი სამზარეულო, ხაჭაპური, ჩურჩხელა. ჩვენი ძალიან გვიყვარს მთები, არაჩვეულებრივია სვანეთი. თუ უფრო მეტად მოხდება ტრანსპორტის და გზების პრობლემების გადაჭრა, ვფიქრობ, ძალიან ბევრი რამ დალაგდება. ტოკიოს ბიუროში ცოტა ხნის წინ მივიღეთ ბუკლეტები საქართველოზე. წარმომადგენლები ირინა გოცაძე და ნინო დიასამიძე ძალიან დიდ დახმარებას გვინვევენ, რაც მისასალმებელია. ცოტა ხანში ოფიციალურად ამოქმედდება ვებ-გვერდი საქართველოზე, სადაც ადამიანები თქვენი ქვეყნის ტურისტულ პოტენციალზე, ბიზნეს ინტერესებსა და კულტურულ ურთიერთობებზე მიიღებენ ინფორმაციას.

- რამდენად დიდია ინტერესი საქართველოს მიმართ?

- ყოველ წელს იზრდება საქართველოში დაინტერესებული ადამიანების რაოდენობა, რაც მართლაც მისასალმებელია. შარშან, თუ არ ვცდები, 35% -ით იყო გაზრდილი ვიზიტორთა რაოდენობა, წინა წლის მონაცემებთან შედარებით. წელს კი 4 500 ადამიანია ჩამოსული. შთაბეჭდილებით აღსავსენი ბრუნდებიან საქართველოდან იაპონიაში. ოჯახის და ნათესაობის სიძლიერე, რომელიც ქართველებს გაქვთ, ძალიან მტკიცეა. ჩვეულებრივი იაპონელები, რომლებიც საღამოს ოჯახში იკრიბებიან, ცალცალკე, თავის საქმით არიან დაკავებული. თქვენთან კი უფრო მეტი კომუნიკაცია და ადამიანური ურთიერთობებია. იაპონიის ყოფილი ელჩისგან, კამოჰარასგან მაქვს ინფორმაცია, 2011 წელს, როდესაც იაპონიაში საშინელი მიწისძვრა მოხდა, ქართველები მიდიოდნენ საელჩოში და

სამომავლო გეგმები

ჩვენი ქვეყნით დაინტერესებულ იაპონელ ბიზნესმენს საქართველოსთან დაკავშირებით გრძელვადიანი და შორს მიმავალი გეგმები აქვს. როგორც სატოში აბარა ამბობს, ის იაპონიაში უმსხვილეს ბიზნეს კომპანიებთან აწარმოებს ურთიერთობას. გარდა ამისა, მისი დამსახურებით ტოკიოში ქართული პროდუქციის, ღვინის, მანვნისა და ბორჯომის დაგემოვნება უკვე შესაძლებელია. აბარა ტურიზმის განვითარებასთან ერთად იმ პროდუქციის გაზრდაზე ფიქრობს, რაც შესაძლოა ამომავალი მზის ქვეყანაში მცხოვრები ადამიანების ყურადღების საგანი გახდეს.

სატოში აბარა: - ძირითადად ორი მიმართულებით მიდის მუშაობა, ეს არის ტურიზმი და ინვესტიციები. ვთვლი, რომ ამ ორი მიმართულების ერთმანეთთან კომპლექსურად შერწყმა სასურველ შედეგს გამოიღებს. მე მაქვს ისეთ დიდ კომპანიებთან ურთიერთობა როგორც არის „ჯაიკა“, „ჯეტრო“, იმისთვის, რომ შევიმუშაოთ ერთობლივი გეგმები. აქტიურად ვართ ჩართულები და მიდის მოლაპარაკებები ქვეყნის უმსხვილეს ტურისტულ კომპანიებთან,



ჩვენს ტრაგედიას იზიარებდნენ. ყველაფერი მიჰქონდათ და გვეუბნებოდნენ, თუ გაგიჭირდათ ჩამოდი და ჩვენთან იცხოვრეთო. თვალზე ცრემლი მომადგა, როდესაც ასეთი საოცრება მოვისმინე.

რომ მათ შექმნან სპეციალური ტურები, მოხდეს ამის პოპულარიზაცია და ქვეყნისადმი ინტერესის ზრდა. ვფიქრობ, შედეგი რაღაც დონეზე უკვე გვაქვს და მომავალში ძალიან დიდ წარმატებას მივალწევთ.



სემტემბერში ახალი პოლიტიკური პარტია იქმნება **EXCLUSIVE**



მირიან ბოქლოშვილი

როგორც ჩანს, გიორგი მარგველაშვილი მიხვდა, რომ შესაძლოა, მალე საერთოდ უფუნქციოდ დარჩეს და მხოლოდ შრომის ნივანაკში პრეზიდენტის გრაფაში მოხსენიებით შემოიფარგლოს. ამიტომაც მან საკუთარი თამაშის წამოწყება გადაწყვიტა. პარტიონების შერჩევისას კი, როგორც ჩანს, ბევრი არ უფიქრია. მარგველაშვილის პოლიტიკური კომპასი მოულოდნელად ყოფილი ხელისუფლებისკენ გადაიხრა.

„პრაიმტიმისთვის“ ცნობილი გახდა, რომ მალე პოლიტიკურ არენაზე ახალი პარტია გამოჩნდება, რომელიც სწორედ გიორგი მარგველაშვილის ხელდასხმით იქმნება. ვინ იქნებიან ახალ პარტიაში წარმოდგენილები, ამაზე ოდნავ ქვემოთ მოგიყვებით, მანამდე კი მცირე ექსკურსია:

„პრაიმტიმი“ ჯერ კიდევ მარგველაშვილის კიევი ვიზიტის დროს წერდა, რომ უკრაინის პრეზიდენტის ინაუგურაციაზე ჩასული საქართველოს მოქმედი პრეზიდენტი თავის წინამორბედს შეხვდა. შეხვედრა მარგველაშვილის მრჩევლის, ვანო მაჭავარიანის ინიციატივით გაიმართა. თავად მაჭავარიანმა საქართველოს ყოფილი და მოქმედი პრეზიდენტების აუდიენციას ჯერ „პრაიმტიმის“ მიერ გამოგონილი სისულელე უწოდა, მოგვიანებით კი ტელეეთერში თავადვე დაადასტურა, რომ მარგველაშვილი და სააკაშვილი კიევი ერთმანეთს ნამდვილად შეხვდნენ, თუმცა მხოლოდ რამდენიმე წუთით, ისიც შემთხვევითო...

პოლიტიკაში რომ შემთხვევითი არაფერი ხდება, ეს ვანო მაჭავარიანმა ჩვენზე უკეთ იცის. შემთხვევითი, ალბათ, არც პრეზიდენტის მრჩევლის პოსტიდან მისი განთავისუფლება ყოფილა. სხვათა შორის, ეს დროში დაემთხვა სწორედ

„პრაიმტიმის“ მიერ გამოქვეყნებულ სტატიას, სადაც ვანო მაჭავარიანი მარგველაშვილსა და „ნაციონალებს“ შორის გარიგების მთავარ ინიციატორად სახელდებოდა. მაჭავარიანთან ერთად, პრეზიდენტის სასახლე დატოვა ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ლაშა აბაშიძემ, რამაც გააჩინა ეჭვები, რომ მაჭავარიანმა და აბაშიძემ პოსტები ერთმანეთთან შეთანხმებით დატოვეს, თუმცა რეალობა სრულიად სხვაა. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ლაშა აბაშიძე მარგველაშვილს მუდმივად საყვედურობდა „ნაციონალებთან“ მოსალოდნელი გარიგების გამო და ურჩევდა, არ გაეზიარებინა ვანო მაჭავარიანის რჩევა ამ მიმართულებით. დაძაბულობა იქამდეც კი მივიდა, რომ აბაშიძემ პრეზიდენტს ულტიმატუმი წაუყენა – ან მაჭავარიანი დარჩება ადმინისტრაციაში, ან მეო. მარგველაშვილი ამის შემდეგ ვანო მაჭავარიანს ესაუბრა და აუხსნა, რომ უნდა წასულიყო, თუმცა როდესაც ამ გადაწყვეტილების შესახებ აბაშიძეს შეატყობინა, აღმოჩნდა, რომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელს განცხადება უკვე დაწერილი ჰქონდა. ასე წავიდა ერთ

დღეში სახლში პრეზიდენტის ადმინისტრაციის ორი მაღალჩინოსანი. თანამდებობიდან განთავისუფლებული ვანო მაჭავარიანი, ცხადია, პრეზიდენტის მეგობრად და შესაბამისად, მის პოლიტიკურ პარტნიორად რჩება. როგორც ჩვენი წყარო გვიყვება, მაჭავარიანი იქნება ერთ-ერთი სახე იმ პარტიისა, რომლის პრეზენტაციაც სექტემბერშია დაგეგმილი. ახალ პარტიას ოფიციალურად იურისტი დავით ერისთავი უხელმძღვანელებს და ის პრეზიდენტ მარგველაშვილის მთავარი დასაყრდენი იქნება მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე.

ვანო მაჭავარიანის გარდა, შესაძლოა, პრეზიდენტთან ასოცირებულ პარტიაში „ნაციონალური მოძრაობის“ რამდენიმე ცნობილი სახე და საექსპერტო წრეების ის წარმომადგენლებიც ვიხილოთ, რომლებსაც წინა ხელისუფლების დროს მაღალი თანამდებობები ეკავათ.

მაგალითად, შესაძლოა, ახალ პარტიაში ვიხილოთ „ნაციონალური მოძრაობის“ დედაქალაქის მერობის კანდიდატი ნიკა მელია, რომელსაც დავით ერისთავთან ახლო მეგობრობა და ნათელ-მირონი აკავშირებს. „პრაიმტიმთან“ საუბარში მელია ერისთავთან ახლობლობას არ უარყოფს, თუმცა ამბობს, რომ „ახალი პარტიის ჩამოყალიბების შესახებ ინფორმაცია არ აქვს“.

ინფორმაციის გადასამოწმებლად ჩვენ დავით ერისთავსაც დავუკავშირდით.

– ბატონო დავით, გავიგეთ, რომ სექტემბერში პარტიის პრეზენტაციას გეგმავთ...

– დიახ, რა გაინტერესებთ?

– რატომ გადაწყვიტეთ პოლიტიკაში მოსვლა?

– დეტალებზე ჯერ ვერ ვისაუბრებთ. პრეზენტაციაზე ყველაფერი იქნება ცნობილი.

– ამბობენ, რომ ეს იქნება პრეზიდენტის დასაყრდენი პოლიტიკური ძალა...

– არა, არანაირი კავშირი არ გვაქვს მასთან.

– არც ნიკა მელიასთან?

– ნიკა ჩემი ბავშვის ნათლია და მეგობარია.

– იქნება თუ არა ის თქვენს პარტიაში?

დავით ერისთავი: „დეტალებზე ჯერ ვერ ვისაუბრებთ. პრეზენტაციაზე იქნება ყველაფერი ცნობილი... ნიკა ჩემი ბავშვის ნათლია და მეგობარია“

– მაგ კუთხით არ გვაქვს ჩვენ კავშირი. ის ჩემი მეგობარია. ჯერ სხვა დეტალებზე ვერ დავასახელებ. გეტყვით, რომ ახალი სახეები იქნებიან ჩვენს პარტიაში და საკმაოდ საინტერესო ხალხი.

ვინ არის დავით ერისთავი? ადვოკატთა კორპუსში მას კვალიფიციურ იურისტად ახასიათებენ, თუმცა იქვე, წინა ხელისუფლებასთან დაახლოებულ ადვოკატად ასახელებენ. თავის დროზე ერისთავს მისივე კოლეგა და დღევანდელი უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი, ეკა ბესელია მწვავედ აკრიტიკებდა. ბესელიამ მას ადვოკატთა ეთიკის კომისიაშიც კი უჩივლა.

კოლეგების გალიზიანება, ფოტოგრაფების გახმაურებულ საქმეზე დავით ერისთავის განცხადებამ გამოიწვია.

„ადვოკატმა დავით ერისთავმა სახელისუფლებო ტელეარხებზე დაკავებული ფოტოგრაფების ადვოკატები გაგვაკრიტიკა იმის გამო, რატომ არ მოვანერეთ ხელი პროკურატურის მიერ შემოთავაზებულ საპროცესო გარიგებას. საინტერესოა, რატომ უნდა გამოეჩინათ საქმეში ჩაუხედავ ადვოკატებს ინიციატივა და ასეთი სამარცხვინო საჯარო განცხადება გაეკეთებინათ? სხვათა შორის, დავით ერისთავი იყო ის ადვოკატი, რომელიც ადვოკატ როინ სალუქვაძეს თავგამოდებით იცავდა. როინ სალუქვაძე კი ის ადვოკატია, რომელიც პროკურატურამ ჩემი შვილისა და ძმის საქმეში საკუთარი ინტერესების გასატარებლად ჩართო. მთელმა ქვეყანამ იცის, რომ ადვოკატი სალუქვაძე პროკურატურამ გამოიყენა და მან ჩემი ოჯახის წევრების დაცვის ნაცვლად მათთან დაპირისპირების ფუნქცია შეასრულა. ბუნებრივია, ამას ვაპროტესტებდი, ან რაში სჭირდებოდა ჩემს შვილსა და ძმას სახაზინო ადვოკატი, როცა თავადაც კარგად ვიცავდი?!“, – ამბობდა ბესელია.

ასეა თუ ისე, დავით ერისთავი პარტიის პრეზენტაციაზე ოფიციალურად დადასტურებს. გახდება თუ არა ეს პარტია გიორგი მარგველაშვილის დამოუკიდებელი პოლიტიკური კარიერის საფუძველი და იქნება თუ არა ერისთავის გვერდით მისივე მეგობარი ნიკა მელია? ამ კითხვებს პასუხი სექტემბრის შემდეგ გავცემთ, როდესაც ახალ პოლიტიკურ ორგანიზაციას ოფიციალური სამინისტრო რეგისტრაციაში გაატარებს.



ხათუნა მგალობლიშვილი

ტელეკომპანია „იმედი“ ცვლილებები ზუსტად სამი თვით შერჩედა. ამ პერიოდის განმავლობაში უცხოეთიდან მოწვეული სპეციალისტები არხის მუშაობას დააკვირდებიან და ოთხმოცდაათდღიანი შესწავლის შემდეგ სამეთვალყურეო საბჭოს საკუთარ რეკომენდაციებს წარუდგენენ. რეკომენდაციები შეეხება როგორც სამუშაო პროცესს, ასევე კონკრეტულ თანამშრომლებსაც. სწორედ ამის შემდეგ გადაწყდება, ვინ წავა არხიდან, ვინ დარჩება ან საერთოდ რა შეიცვლება. პატარკაციშვილების მოთხოვნა, როგორც არხის საინფორმაციო ყოფილი უფროსი, ბაია ცანავა აცხადებს, საერთაშორისო სტანდარტებთან კიდევ უფრო დაახლოვება. თუმცა გავრცელებული ინფორმაციით, მენეჯმენტის ცვლილება არხის მომავალმა „შეფშა“ მოითხოვა. მართალია, უკვე სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ბაია ცანავა კატეგორიულად უარყოფს აღნიშნულ ინფორმაციას და ირწმუნება, რომ გადაცვლილი ბიზნესმენის ოჯახი არანაირად არ განიხილავს არხის გაყიდვის საკითხს, მაგრამ ფაქტია, რომ ტელეკომპანიაში სერიოზული ცვლილებები დაგეგმილია.



ბაია ცანავას ექსკლუზიური ინტერვიუ

ბაია ცანავა: „ეს უნდა ჰკითხოთ იმ თანამშრომლებს, თუ ვინმემ გამოთქვა ასეთი პროტესტი, მე არ ვიქნები თავმდაბალი და გეტყვით, რომ ნიუსის თანამშრომლებს გარკვეული კითხვის ნიშნები გაუჩნდათ, რატომ არ შეიძლებოდა რეორგანიზაციარეორმირება ჩატარებულიყო ჩემი ხელმძღვანელად დარჩენის პარალელურად“

ცვლილებების შესახებ ხმები ჯერ კიდევ ორი თვის წინ გავრცელდა. „პრაიმტიმში“ ამის შესახებ ადრეც წერდა, მაშინვე ითქვა, რომ არხიდან რევაზ საყვეარძილისა და ბაია ცანავას გაშვება იგეგმებოდა. საინფორმაციო უფროსი სამეთვალყურეო საბჭოში გადავიდა და აცხადებს, რომ ეს არა თუ დაქვეითება, არამედ დანიშნულება უფროა. რაც შეეხება საყვეარძილის, ის ჯერჯერობით არხის გენერალურ დირექტორად რჩება, თუმცა, როგორც ამბობენ, მას არჩევნების მეორე ტურის შემდეგ ჩანაცვლებენ.

არხიდან წასვლის შესახებ ინფორმაციას უარყოფს. ბაია ცანავა ირწმუნება, რომ „იმედის“ თითოეული თანამშრომელი არსზე დარჩება...

ბაია ცანავა, ტელეკომპანია „იმედის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი:
- გავრცელდა უამრავი ვერსია, თუმცა მინდა გითხრათ, რომ არც ერთი არ არის სწორი ინფორმაცია. ლევან ვასაძის თემა საერთოდ უსაფუძვლოა. ლევან ვასაძე კი არა, საერთოდ ქართველი არ მინახავს ლონდონში, პატარკაციშვილების ოჯახის წევრების გარდა. არ ვიცი, იყო თუ არა საერთოდ ვასაძე ლონდონში იმ პერიოდში. ძალიან უხერხულია, ამაზე კომენტარი გავაკეთო.

კავშირებით, გამოვა და დადგება თუ არა ის მდგეგი, როგორი მოლოდინებიც არსებობს, მაგრამ ოჯახს ამის მცდელობა ნამდვილად აქვს. გასვლისთვის რომ აპირებდეს ტელეკომპანიის მესაკუთრე, რატომ ეცდებოდა არხის გაუმჯობესებას, რატომ ჩადებდა დამატებით ინვესტიციას კიდევ? ეს კითხვა ხომ არსებობს? ბუნებრივია, ის ადამიანები, რომელთა არხზე ჩამოყვანა იგეგმება, ის ცვლილებები, რომლებიც არსზე იგეგმება, სერიოზულ თანხებთან არის დაკავშირებული. ამ ყველაფერს ოჯახი არ გაიღებდა, გაყიდვას რომ გეგმავდეს, ეს ხომ ლოგიკურია?

და არც შეიძლებოდა ეს მომხდარიყო. ჩვენ უფრო დაზარალებულები ვართ, თუ ამას დაზარალება ჰქვია, როდესაც გაუღერებულმა ეგზიტპოლებმა ასეთი აუიოტაჟი გამოიწვია. ეს სოციოლოგიაა, ალბათ, ხდება ხოლმე მსგავსი რამ. მეორე ტური რომ არ ყოფილიყო, ვფიქრობ, ასეთი ამბავი არ მოჰყვებოდა, რადგან იმდენად მნიშვნელოვანი იყო თუნდაც ის 2-3%, რომ სწორედ ამიტომაც მოჰყვა ხმაური.

ოჯახი მთავარი საინფორმაციო რეიტინგით იყო უკმაყოფილო...
- ჩვენი მთავარი საინფორმაციო გამოშვება ძალიან დიდხანს უსწრებდა ერთ-ერთი მთავარი კონკურენტი ტელეკომპანიის საინფორმაციო გამოშვებას, მაგრამ იქ, ბუნებრივია, მოხდა კონტრპროგრამირება, რომელიც ძალიან ბუნებრივი პროცესია. ჩვენი მთავარი საინფორმაციო გამოშვება და იმ ტელეკომპანიის საინფორმაციო გამოშვება აბსოლუტურად სხვადასხვა საეთერო ზოლში მარყუტულადაა. როდესაც კონკურენტი არხები მიხვდნენ, რომ ჩვენი საინფორმაციო გამოშვება იყო ძალიან სერიოზული, მათ იზრუნეს და შეიძინეს თურქული ტელესერიალები, რომელთა ჯამი,

რაც შეეხება ცვლილებებს, რომელიც არსზე სამი თვის შემდეგ განხორციელდება, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები მათ რეკომენდაციების სახით სწორედ უცხოეთიდან ჩამოყვანილი წევრებისგან მიიღებენ. აღნიშნული გულის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ლონდონში მოღვაწე ფურნალისტი ნათია აბრამია იქნება. ითქვა ისიც, რომ აბრამიას არხზე მისვლა და მისი ხელმძღვანელობით ტრენინგების ჩატარება ტელეკომპანიის თანამშრომლებმა გააპროტესტეს, თუმცა აღნიშნულ ინფორმაციას ბაია ცანავა უარყოფს. ისიც კი ითქვა, რომ აბრამიას მისვლის შემთხვევაში არხის დატოვებით ინვა გრიგოლია დაიმუქრა. თუმცა ინფორმაცია „პრაიმტიმთან“ საუბრისას თავად გრიგოლიმ უარყო: „არასულელეა, საიდან მოიტანეთ? არაფრის დატოვებას არ ვაპირებ, ახალი სეზონი უკვე დაწყებული გვაქვს და უკვე ქუდებზე ვბუშობთ“. სამეთვალყურეო საბჭოში გადასული საინფორმაციო უფროსი

ოჯახის მხრიდან ტელეკომპანიის გასვლისზე თქვენი საუბარი არ ყოფილა?
- არანაირად. ოჯახი ცდილობს, მაქსიმალურად შეცვალოს არხი კარგისკენ, რომ ის გახდეს უფრო დახვეწილი, უფრო მიზნობრივი. ეს არის მათი მცდელობა. ბუნებრივია, არსებობს კითხვის ნიშნები იმასთან და-

რამდენი კითხვაც არ უნდა დამისვიათ, გეტყვით, რომ თქვენი გაზუთიდან გავიგე პირველად ვასაძეზე ინფორმაცია. არანაირი ვასაძე, არანაირი გაყიდვის თემა არ განიხილება. რაც შეეხება ეგზიტპოლების თემას, საკადრო გადაადგილებების თემა ზოგადად ბევრად ადრე გაჩნდა, ვიდრე ეგზიტპოლები იქნებოდა.
გადაადგილებებზე საუბარი როდის დაიწყო?
- გადაადგილებებზე საუბარი არჩვენებამდე დაახლოებით სამი კვირით ადრე დაიწყო, ჩვენ ინფორმირებულები ვიყავით. ზოგი ოფიციალურად, ზოგი არაოფიციალურად იცებდა აღნიშნულ ინფორმაციას, რადგან თბილისში, ზოგადად, არანაირი ქორი არ იმალება. ყველამ ყველაფერი წინასწარ იცოდა, ვიდრე ჩვენ ოფიციალურად განაცხადებდით ამის შესახებ. მინდა დავიხსტორი, რომ ეგზიტპოლებთან არანაირ კავშირში არ არის ცვლილებები და არც შეიძლება ყოფილიყო, რადგან ჩვენ ამ შემთხვევაში ვიყავით ერთ-ერთი კომპანიის დამკვეთები. ჩვენ გავაუღრეთ ის კონკრეტული ციფრები, რაც ჩვენამდე მოვიდა. სხვათა შორის, არჩვენების შემდეგ მივართეთ აღნიშნულ კომპანიას, ეს იყო „ეისითი“, და მოვთხოვეთ განმარტება, რატომ იყო ამხელა ცდომილება მაშინ, როდესაც წინასწარ მივიღეთ პირობა, რომ მაქსიმუმ 3-4% იქნებოდა ცდომილება რეალურ ციფრებსა და მათ მიერ მონოდეტულ ციფრებს შორის. მე დეტალურად ვერ ვერკვევი სოციოლოგიაში, მათ გამოვვიგზავნეს პასუხები, თუმცა მთელი ეგზიტპოლებზე პასუხისმგებლობა სწორედ აღნიშნულ კომპანიას ეკისრებოდა. ეგზიტპოლებთან დაკავშირებით ჩვენ შენიშვნა არ მივიღია

„ჩვენ უფრო ვართ დაზარალებულები, თუ ამას დაზარალება ჰქვია, როდესაც გაუღერებულმა ეგზიტპოლებმა ასეთი აუიოტაჟი გამოიწვია“

ბაია ცანავა: „ის ცვლილებები, რომლებიც არხზე იგეგმება, სერიოზულ თანხებთან არის დაკავშირებული. ამ ყველაფერს ოჯახი არ გაიღებდა, გაყიდვას რომ გეგმავდეს, ეს ხომ ლოგიკურია?“



„ჩვენ, არც ერთი, არც მე და არც რეზო ამ ტელეკომპანიიდან არ მივდივართ. შეიძლება გადავადგილდეთ, მაგრამ ვრჩებით მენეჯმენტში და არ დავკვივითაგულვართ, პირიქით, დავინაწურდით“

რეიტინგის თვალსაზრისით, იმდენად მაღალია, რომ აბსოლუტურად წარმოუდგენელია მათთვის კონკურენციის განხევა. ორი, ძალიან მაღალრეიტინგული თურქული სერიალი გადის ჩვენი საინფორმაციო გამოშვების დროს კონკურენტ არხებზე. აბსოლუტურად არათანაბარ პირობებშია როგორც ჩვენი, ასევე სხვა საინფორმაციო გამოშვება ჩაყენებული. ასე რომ, ამის შედარება ძალიან ალოგიკურია და შესაბამისად, საინფორმაციო რეიტინგზე არავის ჰქონია პრეტენზია. ამის შესახებ ჩვენ მენეჯმენტს ყოველთვის ვაყენებდით ხოლმე საქმის კერძში. შემდეგ ჩვენ მიხვდით, რომ თურქული ტელესერიალები უნდა გეყიდა და კონკურენტების საინფორმაციოებისთვის დაგვეპირისპირებინა. მთელი დღის განმავლობაში „ქრონიკის“ საინფორმაციო გამოშვება საკმაოდ მაღალ რეიტინგს ინარჩუნებდა. პატარკაციშვილების ოჯახი ძალიან კარგად ერკვევა ტელესაქმიანობაში, ძალიან კარგად იცის, ზოგადად, როგორც ხდებოდა ხოლმე რეიტინგების შექმნა. არ მინდა ამ საკითხის ჩაღრმავება, რეიტინგების თემები ყოველთვის სადაო და საყვარელი ხოლმე, ამაზე ბევრს საუბრობენ და მიმაჩნია, რომ ეს საკითხი ცალკე, დამატებით სასაუბრო თემაა.

„რამდენი კითხვაც არ უნდა დამისვიათ, გეტყვით, რომ თქვენი გაზუთიდან გავიგე პირველად ვასაძეზე ინფორმაცია“

„რამდენი კითხვაც არ უნდა დამისვიათ, გეტყვით, რომ თქვენი გაზუთიდან გავიგე პირველად ვასაძეზე ინფორმაცია“



EXCLUSIVE მოჰყვება თუ არა ნათია აბრამიას დანიშვნას „იბედის“ თანამშრომელთა პროტესტი?

„არც ერთი რეჟორირება-რეორგანიზაცია მარტივად გადასატანი არ არის სოფში, მე მესმის თანამშრომლების, მესმის, რომ მათ აქვთ გარკვეული კითხვები და იბედია, ამ კითხვებს გაეცემა პასუხები“

– თქვენ გაქვთ თქვენი საშუალებები რეიტინგების დამოუკიდებლად შემოწმების?
– ბუნებრივია.
– რა ცვლილებები და რა ტიპის რეჟორირებები უნდა განხორციელდეს არხზე?
– არხზე არ იქნებიან დანიშნული ადამიანები მინიმუმ სამი თვის განმავლობაში. განთავისუფლებული ადგილები, ჩემი ცდა და სხვა, ვაკანტური დარჩება. ჩამოვა მონეველი სპეციალისტების გუნდი, რომლებიც ტელეკომპანიისთვის იმუშავენ. მაგალითად, ნიუსის მიმართულებით დაინყებენ მუშაობას, დაინყებენ რეორგანიზაციის პროცესს. დიაგნოსტიკის პროცესი ჩემთან ერთად ჩატარდა აღნიშნული გუნდის მიერ, დაიღო რეკომენდაციები, რა საჭიროებები არსებობს ნიუსის მიმართულებით. იბედია, ეს ჯგუფი ამ ყველაფერს შეძლებს, განახორციელებს და უკვე შემდეგ სამეთვალყურეო საბჭოში მოვისმენთ რეკომენდაციებს, რადგან ტელეკომპანიას სწორედ სამეთვალყურეო საბჭო მართავს, რომელშიც მეც ვარ წარმოდგენილი. ჩვენ ამ ჯგუფისგან რეკომენდაციებს სამი თვის შემდეგ მოვისმენთ.
– ეს ჯგუფი უკვე შერჩეულია?
– ჯგუფი უკვე შერჩეულია და სულ მალე ჩამოვლენ საქართველოში. იცით,

რომ მოლაპარაკებები მიმდინარეობდა ნათია აბრამიასთან და ამ ჯგუფის ერთ-ერთი ხელმძღვანელი სწორედ ნათია იქნება. მის მიერ შერჩეული ადამიანები ტრენინგებსაც ჩაუტარებენ ჟურნალისტებს. სხვადასხვა მიმართულებებით ჩატარდება რეჟორირებები.
– რა მიმართულებებით?
– ეს არის მულტიმედია, ე.წ. ინტეგრირებული ნიუსრუმი. არის სხვა ტექნოლოგიები, რომლის დაგეგმვასაც ვაპირებთ. თავიდან, როდესაც ტელეკომპანია პატარკაციმელების ოჯახს დაუბრუნდა, სულ რაღაც, სამ თვეში უკვე ეთერში გავედით. შესაბამისად, ყველაფრის დრო არ გვქონდა, რადგან, ეთერში გასვლა რომ დროში განვილიყო, ავტომატურად დადგებოდა ლიცენზიის ქონა-არქონის საკითხი. აქედან გამომდინარე ჩვენ მოვახერხეთ ის, რაც მოვახერხეთ იყო, რომ მაყურებლის ნდობა დაგვებრუნებინა. ახლა ბევრი რამ არის შესაცვლელი, ესაა ვიზუალური მხარე, ახალი ტექნოლოგიების დაგეგმვა, ინფორმაციის მონოდების მოქნილობა, გახსნილობა და სხვა დამატებითი საკითხები, რომლებიც წმინდა წყლის შიდა სამზარეულოა. ამ ყველაფრის გაუმჯობესებამ ჩვენს თანამშრომლებს საქმე უნდა გაუადვილოს. ამიტომ სასურველია, უცხო თვალმა შეხედოს, რომელიც უკეთ დაინახავს ყველაფერს, მით უფრო რომ ამ ადამიანებს დიდი გა-

მოცდილება ექნებათ.

– რაც შეეხება ნათია აბრამიას, ითქვამს, რომ არხის თანამშრომლებმა მისი კანდიდატურა გააპროტესტეს...
– არ ვიცი, ეს უნდა ჰკითხოთ იმ თანამშრომლებს, თუ ვინმემ გამოთქვა ასეთი პროტესტი, მე არ ვიქნები თავმდაბალი და გეტყვით, რომ ნიუსის თანამშრომლებს გარკვეული კითხვის ნიშნები გაუჩნდათ, რატომ არ შეიძლებოდა, რეორგანიზაციარეჟორირება ჩატარებულიყო ჩემი ხელმძღვანელად დარჩენის პარალელურად. ეს კითხვის ნიშნები თანამშრომლებს აქვთ და ალბათ, ამ კითხვებს ისინი საჯაროდაც დასვამენ. ეს ჩვეულებრივი პროცესია, არც ერთი რეჟორირება-რეორგანიზაცია მარტივად გადასატანი არ არის ხოლმე, მე მესმის თანამშრომლების, მესმის, რომ მათ აქვთ გარკვეული კითხვები და იბედია, ამ კითხვებს გაეცემა პასუხები.

– თანამშრომლების შეცვლა, გაშვება ან მიღება თუ იგეგმება?
– ამაზე არ ვფიქრობთ, დარწმუნებული ვარ, სამეთვალყურეო საბჭოს დანარჩენი წევრებიც არ ფიქრობენ ჯერ ამაზე. ჩვენ ამ ჯგუფისგან, რომელიც ტელეკომპანიაში მოვა, მომდევნო სამი თვის განმავლობაში რეკომენდაციებს მივიღებთ. ეს რეკომენდაციები იქნება სამუშაო პროცესთან დაკავშირებითაც, ადამიანებთან დაკავშირებითაც. გადაწყვეტილებას სამეთვალყურეო საბჭო მიიღებს სამი თვის შემდეგ.

– ოჯახის მთავარი მოთხოვნა რა იყო?
– ახლა ოჯახის მთავარი მოთხოვნაა საერთაშორისო სტანდარტებთან უფრო მეტად მიახლოება და სწორედ ამიტომ ჩამოყვება უცხოურ ტელეკომპანიაში გამოცდილებამდილებული ადამიანები.

– ჯგუფი, რომელიც ნათია აბრამიასთან ერთად ჩამოვა, უცხოელებითაც იქნება დაკომპლექტებული?
– არა, იქნებიან მხოლოდ ქართველები და სხვათა შორის, ეს ჩემი მოთხოვნა იყო. ჩვენ ადრე უცხოელი სპეციალისტები გე-

ყავდა ტრენინგებისთვის და რეჟორირების გასატარებლად ჩამოყვანილი. გულწრფელად გეტყვით, რომ ენის ბარიერიდან, მენტალობის ბარიერიდან გამომდინარე მათი ჟურნალისტებთან მუშაობა გართულდა. აქედან გამომდინარე, ერთად მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ სჯობდა, ამ ეტაპზე ეს ადამიანები უცხოეთში გამოცდილებამდილებული ქართველები ყოფილიყვნენ.

– აბრამიას გარდა, შეგიძლიათ, დაგვისახელოთ კიდევ ვინ იქნება?
– იცით, ამას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. გეტყვით, რომ პროცესზე სრულ პასუხისმგებლობას სწორედ ეს ჯგუფი იღებს. მერწმუნეთ, ასეთი წერილობითი არც ოჯახს არ აინტერესებს. მთავარია, რომ შედეგი ვნახოთ.

– როგორც ამბობენ, არჩევნების დასრულების შემდეგ არხზე ცვლილებები გავრცელდება, იგივე რევაზ საყვარელიძის დაკავშირებით ვრცელდება ინფორმაცია, რომ მას მეორე ტურის შემდეგ გაუშვებენ...
– ჩვენ, არც ერთი, არც მე და არც რეზო ამ ტელეკომპანიიდან არ მივიდვართ. შეიძლება გადავადვილდეთ, მაგრამ ვრჩებით მეწვემენტში და არ დავტოვებთ ვარო, პირიქით, დავინაწიურდით. აქედან გამომდინარე, გეტყვით, რომ არა მგონია, რეზო სადმე აპირებდეს წასვლას. ცვლილებები იქნება არამარტო ნიუსის მიმართულებით, მოვლენ ადამიანები, განახორციელებს ცვლილებებს, მოგვეცემენ რეკომენდაციებს, დაგვეხმარებიან.

– ახალი გადაცემები ხომ არ იგეგმება?
– ახალი გადაცემების საჭიროება არ არის, რადგან არხზე ორი სერიოზული პოლიტიკური ტოქშოუა, არის საკვირაო გადაცემა, ყველა გადაცემა დარჩება ამ ეტაპზე. იქნება ცვლილებები შეფუთვის, გადმოცემის თვალსაზრისით. ასევე, ყველა ჟურნალისტი რჩება არხზე.

– უშუალოდ თქვენ კმაყოფილი ხართ ცვლილებებით?
– ვერ გეტყვით, კმაყოფილი ვარ თუ არა, ეს იყო შემოთავაზება. მფლობელს უნდოდა, რომ ტელეკომპანიაში ამ ტიპის რეჟორირება და რეორგანიზაცია ჩატარებულიყო. მე მივიღე შემოთავაზება, რომ მათთან ერთად ნავსულიყავი სამეთვალყურეო საბჭოში, მოგხსენებთ, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წარმოადგენს პატარკაციმელების ოჯახი. მთხოვეს, რადგან შიდა სამზარეულოს ცოდნა, გამოცდილება, რომელიც, ბუნებრივია, მე უფრო მეტი მაქვს ამ ეტაპზე, ვიდრე ოჯახს, რომელიც ფიზიკურად შორს არის ტელეკომპანიისგან. მე დავთანხმდი ამ შემოთავაზებას, რადგან მიყვარს ეს ტელეკომპანია, ძალიან ბევრი ვიპოვე იმისთვის, იმ შედეგისთვის, რა შედეგაც ახლა აქვს ტელეკომპანიას, მე ვარ ამ ტელეკომპანიის გულშემოტიკვარი და ვრჩები ასეთად. მალე ყველა ერთად ვნახავთ, რა შედეგი დადგება და უკვე შემდეგ ერთობლივ გადაწყვეტილებას მივიღებთ, რა უნდა გავაკეთოთ შემდეგ.

– ვერ გეტყვით, კმაყოფილი ვარ თუ არა, ეს იყო შემოთავაზება. მფლობელს უნდოდა, რომ ტელეკომპანიაში ამ ტიპის რეჟორირება და რეორგანიზაცია ჩატარებულიყო. მე მივიღე შემოთავაზება, რომ მათთან ერთად ნავსულიყავი სამეთვალყურეო საბჭოში, მოგხსენებთ, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წარმოადგენს პატარკაციმელების ოჯახი. მთხოვეს, რადგან შიდა სამზარეულოს ცოდნა, გამოცდილება, რომელიც, ბუნებრივია, მე უფრო მეტი მაქვს ამ ეტაპზე, ვიდრე ოჯახს, რომელიც ფიზიკურად შორს არის ტელეკომპანიისგან. მე დავთანხმდი ამ შემოთავაზებას, რადგან მიყვარს ეს ტელეკომპანია, ძალიან ბევრი ვიპოვე იმისთვის, იმ შედეგისთვის, რა შედეგაც ახლა აქვს ტელეკომპანიას, მე ვარ ამ ტელეკომპანიის გულშემოტიკვარი და ვრჩები ასეთად. მალე ყველა ერთად ვნახავთ, რა შედეგი დადგება და უკვე შემდეგ ერთობლივ გადაწყვეტილებას მივიღებთ, რა უნდა გავაკეთოთ შემდეგ.

„ჩვენ ამ ჯგუფისგან, რომელიც ტელეკომპანიაში მოვა, მომდევნო სამი თვის განმავლობაში მივიღებთ რეკომენდაციებს. ეს რეკომენდაციები იქნება სამუშაო პროცესთან დაკავშირებითაც, ადამიანებთან დაკავშირებითაც. გადაწყვეტილებას სამეთვალყურეო საბჭო მიიღებს სამი თვის შემდეგ“

ბორში ჩატარებული სპეცოპერაციის სპეციალური რეპორაჟი

my View
მირიან გომეზიძე

21 ივნისს, გამთენიისას გორში მასშტაბური სპეცოპერაცია ჩატარდა... სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომლებმა ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით ერთდროულად ექვსი პირი აიყვანეს. მათ ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლით წაუყენეს, რაც სწორედ ქურდული სამყაროს წევრობას გულისხმობს.

„პრაიმტიმი“ შეეცადა, გაერკვია, რა სქემით მოქმედებდა დანაშაულებრივი დაჯგუფება? ვის კლანს წარმოადგენდა ეს ჯგუფი და რა კავშირები ჰქონდათ მათ საზღვარგარეთ მყოფ კანონიერ ქურდებთან? სასამართლო პროცესზე, სადაც დაკავებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდეს „კანონიერი“ ქურდების გვარები არ გასაჯაროებულა, თუმცა ჩვენი ინფორმაციით, შესაძლოა მალე ამ საქმეში გაგვჩვენონ „ავტორიტეტების“ მონაწილეობა გამოიკვეთოს. მანამდე მოდით ვნახოთ განცხადება, რომელიც შსს-ს სპეცოპერაციის შემდეგ გაავრცელა.

„ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის სამხარეო სამართლებ-



შიდა ქართლში მოქმედი დაჯგუფების კვლევა



ვაჟა თელია:
„ჩვენ ვაგროვებთ გამოძიებას და უსაქმიანობას, ამ ბრალდებით კიდევ რამდენიმე პირის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს“

ვაჟა თელია

კობა გ-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას – „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, 8 ვაზნა და 1 ცალი ხელყუმბარა, ნიკოლოზ მ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას – ჩანაწერებიანი ბლოკნოტი (ე.წ. ტყავი) და ე.წ. საერთოს თანხა 12 260 ლარის ოდენობით, ხოლო ოთარ ჯ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ჩანაწერებიანი ბლოკნოტი (ე.წ. ტყავი) და ე.წ. საერთოს თანხა 210 ლარის ოდენობით ამოიღეს.

გამოძიება ქურდული სამყაროს წევრობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 223-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს)”, – ნათქვამია შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

როგორც გავარკვეეთ, დაკავებულთაგან ერთ-ერთი 24 წლის გიორგი მარგველაშვილია, კრიმინალურ სამყაროში „მარგველას“ მეტსახელით ცნობილი. საქართველოს პრეზიდენტის სეხნია, ასაკის მიუხედავად, ერთხელ უკვე გახლავთ ნასამართლევი. 2006 წელს მარგველაშვილი იარაღის უკანონო ტარებისა და ხულიგნობისთვის გაუსამართლებიათ. „მარგველას“ მთლიანად შიდა ქართლში, როგორც ქურდული ტრადიციების აქტიურ მიმდევარს, ისე იცნობენ. უფრო მე-

ტიც, ის დღე-ღამე საბერძნეთში გამგზავრებას და „კანონიერ“ ქურდად მონათვლას გეგმავდა, ისევე, როგორც კიდევ ერთი დაკავებული ნიკა მაჩიტაძე, მეტსახელია „დამბო“. მაჩიტაძე 27 წლისაა, თუმცა კრიმინალურ წრეებში გაგვჩვენის მოპოვება უკვე მოახერხა. სწორედ „დამბოს“ ებარა ე.წ. ქურდული ობ-შაიკი, რომელიც სპეცოპერაციის დროს ამოიღეს.

სპეცოპერაციის დროს, ასევე, აიყვანეს სოფელ გუგუტიანთკარის მკვიდრი, 35 წლის კობა გუგუტიშვილი. შიდა ქართლში ის კრიმინალურ „ავტორიტეტად“ მიიჩნევა. გუგუტიშვილი წარსულში არაერთ საქმეზე, მათ შორის მკვლელობაზე გასამართლებული. მის დოსიეში პირველი განაჩენი ჯერ კიდევ 1994 წლით თარიღდება, მაშინ ის არასრულწლოვანი (15 წლის) გახლდათ.

წარსულში ნასამართლევია ოთარ ჯიხვაშვილიც, მეტსახელია „ჯიხვა“. სხვების მსგავსად, ისიც ქურდული ტრადიციების აქტიური მიმდევარია. სასამართლოში წარდგენილი დოსიედან ირკვევა, რომ 2006 წელს ყაჩაღობის ბრალდებით გაუსამართლებიათ.

დაკავებულთაგან ყველაზე უფროსი 50 წლის გოგი კუთხიშვილია, მეტსახელია სამუა. შიდა ქართლში ის ასევე კრიმინალურ „ავტორიტე-

ოს თანამშრომლებმა, სპეციალური ოპერატიული ღონისძიების შედეგად, ე.წ. ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით, დააკავეს დანაშაულებრივი ჯგუფის 6 წევრი: 1990 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი გიორგი მ., 1964 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გოგი კ., 1972 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი კობა გ., 1986 წელს დაბადებული ნიკოლოზ მ., 1986 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი რამაზ დ. და 1988 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ოთარ ჯ.

სამართალდამცველებმა გიორგი მ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას – ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და 30 ვაზნა, გოგი კ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას – „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი 8 ვაზნით, ცეცხლსასროლი თოფი „ვინჩესტერი“ 26 ვაზნით და 10 000 აშშ დოლარი,



ცოკერაციის დეტალები



გორში, გოგებაშვილის ქუჩაზე მდებარე, „ნათელიის“ კუთვნილ საცხოვრებელ სახლში თითქმის ყოველდღიურად იპრიზაზოდნენ ზემოხსენებული დაჯგუფების წევრები და სოციალური ქსელის მეშვეობით უკავშირდებოდნენ საზღვარგარეთ მყოფ ქართველ „კანონიერ“ ქურდავს

ოქიება ცნობილ „კანონიერ“ ქურდავზე გაიყვანა?

ტად“ მიიჩნევა. საშკას კრიმინალური დოსიე 1995 წლიდან იღებს სათავეს, როდესაც ის პირველად გაასამართლეს იარაღის უკანონო შექმნა-შენახვისთვის. დაბოლოს, სპეცოპერაციის დროს ასევე აიყვანეს 28 წლის რამაზ დავითიძე, იგივე „ნათელი“, რომელიც 2008 წელს ძარცვის ბრალდებით დააკავეს და სასჯელსაც იხდიდა. ამბობენ, რომ გორში, გოგებაშვილის ქუჩაზე მდებარე, „ნათელიის“ კუთვნილ საცხოვრებელ სახლში თითქმის ყოველდღიურად იპრიზაზოდნენ ზემოხსენებული დაჯგუფების წევრები და სოციალური ქსელის მეშვეობით უკავშირდებოდნენ საზღვარგარეთ მყოფ ქართველ კანონიერ ქურდავს. სკაიპის საშუალებით ისინი დავალებებს საბერძნეთში მყოფი „ავტორიტეტებისგან“ იღებდნენ, თუმცა გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, კონკრეტული გვარები არ გასაჯაროვებულა. „პრაიმტიმის“ დეტალების დასაზუსტებლად ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის სამმართველოს უფროსს, ვალერი თელიას დაუკავშირდა. ვალერი თელია, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპა-

რტამენტის შიდა ქართლის სამმართველოს უფროსი: – ამ დაჯგუფების მოქმედების ზონა იყო შიდა ქართლი, ძირითადად გორი. ისინი სისტემატურად იყვნენ ჩართულნი ქურდულ გარჩევებში, აყენებდნენ ფიზიკურ შეურაცხყოფებს მოქალაქეებს. – როგორც ირკვევა, მათ საზღვარგარეთ მყოფი ქართველი კანონიერი ქურდები მართავდნენ... – ამ საკითხზე ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით. გამოძიება მიმდინარეობს და თუ დადასტურდა მათი კავშირები საზღვარგარეთ მყოფ „კანონიერ“ ქურდებთან შესაბამისად ვიქმოვდებთ. ჩვენ ვაგრძელებთ გამოძიებას და შესაძლებელია, ამ ბრალდებით კიდევ რამდენიმე პირის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს. – სპეცოპერაციის დროს ე.წ. ობშიაკის თანხაც ამოიღეთ... საერთო ჯამში, რა თანხებზეა საუბარი? – დიახ, ამოღებულია 12 700 ლარი, 10 ათასი დოლარი. ასევე, ჩანანერებიანი უბის ნიგნაკი, სადაც მითითებულია კონკრეტული სახე-

ლები. ჩვენ ვმუშაობთ, რომ დავადგინოთ კიდევ კონკრეტული პიროვნებები, ვისგან შედიოდა ფული ე.წ. ობშიაკში. მითითებული იყო,

დაკავებულითაგან ერთ-ერთი 24 წლის გიორგი მარგველაშვილია, კრიმინალურ სამყაროში „მარგველას“ მეტსახელით ცნობილი. საქართველოს პრეზიდენტის სენსია, ასაკის მიუხედავად, ერთხელ უკვე გახლავთ ნასამართლავი

გავგზავნე ამდენი, დამრჩა ამდენი. გავგზავნე საბერძნეთში და ა.შ. პირდაპირ ბუღალტრულად იყო აღწერილი თევების მიხედვით... – თქვენ ასხენეთ სათამაშო აპარატები და ბაზარი... შეიძლება ითქვას, რომ ამ ჯგუფის სამიზნეები ძირითადად კერძო მენარმეები იყვნენ? – იყვნენ კერძო პირები, სანარმეოები. ასევე, რიგითი მოქალაქეები. იყვნენ ე.წ. კაი ბიჭები, რომლებსაც სთხოვდნენ ქურდულ „ობშიაკში“ თანხის შეტანას. – გარდა ქურდული სამყაროს წევრობისა, სხვა რაიმე დანაშაული თუ იკვეთება ამ ჯგუფის ქმედებებში? – ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღი მათი საცხოვრებელი სახლებიდან. ასევე, ამოღებულია ფულადი თანხა, ხელყუმბარა. შესაბამისად, ბრალი წარედგინათ იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შექმნა-შენახვისთვისაც. – როგორც ვიცი, დაკავებულითა ნაწილი ამნისტიის შედეგად არის განთავისუფლებული... – დიახ, აქედან სამი პირი განთავისუფლებულია ამნისტიით. ციხე-

ში ყოფნის პერიოდში ისინი წარმოადგენდნენ ე.წ. მაყურებლებს.

შიდა ქართლში ჩატარებული სპეცოპერაცია არ გახლავთ ერთადერთი, როდესაც ერთდროულად ქურდული სამყაროს რამდენიმე წევრი დააპატიმრეს. მანამდე კრიმინალური „ავტორიტეტებისგან“ ქვემო ქართლის რეგიონიც განმინდეს. მაშინ სპეცოპერაცია მარნეულისა და დმანისის რაიონებში ჩატარდა, სადაც ქურდული სამყაროს 13 წევრი აიყვანეს. დაკავებულებიდან 9 პირი წარსულში სხვადასხვა მძიმე დანაშაულისთვის იხდიდა სასჯელს. 13-ვე პირის დაკავება მათ საცხოვრებელ სახლებში მოხდა. სამართალდამცველებმა ჩხრეკისას „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, სანადირო თოფი, ნარკოტიკული ნივთიერება „მარიხუანა“ და ფსიქოტროპული აბები ამოიღეს. გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულები ქვეყნის გარეთ მყოფი ე.წ. კანონიერი ქურდების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. კერძოდ კი, რვაკაციანი დაჯგუფება კონკრეტულ დავალებებს იღებდა და ასრულებდა რუსეთში მცხოვრები ე.წ. კანონიერი ქურდის ნოდარ ჯიჩველაშვილისგან. ხოლო მეორე ხუთკაციანი დაჯგუფებას მართავდა ე.წ. კანონიერი ქურდი ნადირ სალიფოვი, მეტსახელად „გულუ“, რომელიც აზერბაიჯანის ციხეში იხდის სასჯელს. ნოდარ ჯიჩველაშვილი კრიმინალურ სამყაროში „შოშიაკ“ მეტსახელითაა ცნობილი. ის ქურდული სამყაროში ერთ-ერთ გავლენიან ფიგურად სახელდება. მისი სახელი ფიგურირებდა საზღვარგარეთ განთავსებულ რამდენიმე განმარტებულ ქურდულ „სხადნიაკზე“, რომელიც ასევე სპეცოპერაციით დასრულდა, თუმცა დაკავებულთა უმეტესობამ მართლმსაჯულებისგან თავის არიდება მოახერხა. მაგალითად, ასე მოხდა 2008 წელს, როდესაც რუსმა სამართალდამცველებმა მოსკოვის გარეუბანში, პიროგოვსკის წყალსაცავზე „დიდი წმენდა“ ჩატარეს. სპეცოპერაციის შედეგად, მილიციის „ხაფანგში“ 30-ზე მეტი კანონიერი ქურდი გაეგზავნა, მათ შორის იყო ნოდარ ჯიჩველაშვილიც. „შოშიასთან“ ერთად, 2008 წლის 7 ივლისს ჩატარებული სპეცოპერაციის დროს, ასევე, დააპატიმრეს კრიმინალური სამყაროს მაღალ იერარქიულ საფეხურზე მდგომი ისეთ „ავტორიტეტები“, როგორებიც არიან: ალექსანდრე ბორი, იგივე „ტიმოხა“, დიმიტრი გალევვი, იგივე „გალევი“, როლანდ გეგეჭკორი, „შლიაპა“, მერაბ ჯანგველაძე – „მერაბ სოხუმელი“, თემურ ნემსინვერაძე, ტარიელ ონიანი – „ტარასა“ და სხვ. რაც შეეხება კანონიერ ქურდ ნადირ სალიფოვს („გულუ“), რომელიც რამდენიმე თვის წინ ქვემო ქართლში დაკავებულ დაჯგუფებას აზერბაიჯანის ციხიდან მართავდა... სალიფოვი დედ ჰასანის დაჯგუფების ერთ-ერთ გავლენიან წარმომადგენლად ითვლებოდა. ამბობენ იმასაც, რომ სწორედ მან იძია შური პოსტსაბჭოთა სივრცის კრიმინალური სამყაროს ნათლიმამის, ასლან უსოიანის (დედ ჰასანის) მკვლელებზე.

მოკლედ, როგორც ირკვევა, შიდა ქართლის კრიმინალურ სამყაროს საბერძნეთში მყოფი ქართველი კანონიერი ქურდები აკონტროლებდნენ ქვემო ქართლს – ჯიჩველაშვილი და სალიფოვი. სავარაუდოდ, ანალოგიური კავშირები გამოიკვეთა საქართველოს სხვა რეგიონებშიც, სადაც ქურდული სამყაროს წინააღმდეგ ასევე მასშტაბური სპეცოპერაციები ჩატარდა, ასე მაგალითად: 2013 წლის მაისში სამეგრელოსა და იმერეთში სპეცოპერაციის დროს აიყვანეს ქურდული სამყაროს 12 წევრი; ივნისში აჭარის რეგიონში ამავე ბრალდებით დააკავეს 5 პირი; ივლისში თბილისში აიყვანეს 6 პირი.





my View
ნათუნა მგალაშვილი

ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას საპარლამენტო უმრავლესობა ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ მიღწევად აფასებს. თითოეული მათგანი ბენდიერია, რომ მიუხედავად დაპირისპირებისა, პოლიტიკურმა ძალებმა მოახერხეს წარმატების ერთად აღნიშვნა და ერთხმად აცხადებენ, რომ საქართველო მომდევნო წლების განმავლობაში ბევრი გამოწვევის წინაშე დადგება, რომელსაც ასევე ერთად უნდა გაუმკლავდნენ...

ნუკრი ქანთარია, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი:

– ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ დაიწყო უფრო შრომატევადი, თუმცა ძალიან საინტერესო პროცესი. ეს იქნება ევროპულ სტანდარტებთან მიახლოების პროცესი, რომელიც ნამდვილად არ იქნება იოლი. მეორე მხრივ, რა თქმა უნდა, ევროპამაც უნდა გადმოდგას ნაბიჯები, რომ ქართველმა მოსახლეობამ იგრძნოს ამ ეტაპის სიკეთე და მნიშვნელობა. ჩვენ არც ახლა ვართ და არც შემდგომში ვიქნებით ევროპული ოჯახის მდგომარეობი, ჩვენ ევროპის სრულუფლებიანი წევრი გავხდებით. ბუნებრივია, არავინ არ უნდა ელოდოს, რომ, რადგან ხელი მოვაწერეთ, რძისა და თაფლის მდინარეები წამოვა, წინ საქმოდ რთული პერიოდი გველის.

– არასაპარლამენტო ოპოზიციის წინააღმდეგ მიიჩნევა, რომ საქართველო დადგება არჩევანის წინაშე – ან ტერიტორიული მთლიანობა, ან ევროინტეგრაცია...

– ასე ნამდვილად არ უთქვამს ბურჯანაძეს და რატომ ხდება ამის გამოგონება, არ ვიცი. წინა ბურჯანაძემ უნდა თქვას, ვისგან გაიგო ეს ამბავი, რა წყარო გააჩნია, ან ვინ უთხრა, რომ საკითხი ასე დადგება: ან ტერიტორიული მთლიანობა, ან ევროპულ ოჯახში შესვლა. ასე ნამდვილად არ არის და ვფიქრობ, ეს არის ერთგვარი პოლიტიკური სვლა ბურჯანაძის მხრიდან.

– თქვენზე კოლეგა სოსო ჯაჭვლიანი ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს ითხოვს, ეთანხმებით?

„ვადამდელი არჩევნები შეიკრიბან სამი თვის შემდეგ რომ ჩაგვეტარებინა, მაშინ კიდევ ექნებოდა გარკვეული საფუძველი ამ ნაბიჯს, მაგრამ ახლა, როცა ორი წელია გასული, მსგავსი გადაწყვეტილება არანაირად არ იქნება გამართლებული“

ქეთი ხატიაშვილი

ირაკლი ალასანია ისევ სკანდალში გაეხვია, ხმაურია მაია ფანჯიკიძის უწყების გარშემოც. როგორც აღმოჩნდა, თავდაცვის მინისტრი მიიჩნევს, რომ საქართველო ნატოსთვის ჯერ მზად არ არის, საგარეო უწყება კი დღემდე არ ნიშნავს დიდ ბრიტანეთში საქართველოს ელჩს, არადა უელსის სამიტი ახლოვდება.

ექსპერტების აზრი გაიყო, თუმცა ფაქტია, ირაკლი ალასანიამ ადრე თქვა: საქართველო მზად არის ნატოს წევრობისთვის. მოგვიანებით კი საკუთარი განცხადება რადიკალურად შეცვალა და განაცხადა: საქართველო მზად არ არის ნატოს წევრობისთვის. საერთოდ, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა თავდაცვის მინისტრი საკუთარ განცხადებებს რადიკალურად ცვლის. იყო შემთხვევები, როცა უფრონაღვრისადაც აბრალებდა, კი მაგრამ, მე ხომ ასე არ მითქვამსო.

ახლა, უხერხულ მდგომარეობაში ალასანია აპატურაიმ ჩააგდო. ალიანსის სპეციალური წარმომადგენლის სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში, ჯეიმს აპატურაის განცხადებით:

– არც ერთი ქართველი პოლიტიკოსი არ მეუბნება, რომ ამ წუთში საქართველო NATO-ს წევრობისთვის არის მზად. – ეს განცხადება ჯეიმს აპატურაიმ „პირველ არხთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში გააკეთა.

და მხოლოდ ამის შემდეგ თქვა ირაკლი ალასანიამ, და სხვათა შორის, პირველად, რომ აპატურაი მართალია:

– ჯეიმს აპატურაი მართალია, როდესაც ამბობს, რომ საქართველო დღეს ნატოში სრული წევრობისთვის მზად არ არის. დღეს საქართველო და ნატო საუბრობენ შემდეგ ნაბიჯზე – ინტეგრაციაზე, რომელიც არის გაწევრიანების სამოქმედო გეგმა, ერთნაირი დანიშნულების მქონე და გეგმიური გარკვეული ნაბიჯი, რომ სრულიად მზად ვიყოთ, პოლიტიკური სისტემით, უსაფრთხოების ზომებითა და თავდაცვისუნარიანობის დონით, ნატოს წევრობისთვის.

ირაკლი ალასანიამ აპატურაის სიტყვები აქაც ისე გაასალა, თითქოს კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატოს სპეციალური წარმომადგენელმა საკუთარი შეფასება შემოგვთავაზა, ანუ თითქოს აპატურაის აზრია, რომ საქართველო ნატოში გაწევრიანებისთვის მზად არ არის. რეალურად, ირაკლი ალასანიას უნდა აეხსნა, რატომ არ აყენებდა ის მოლაპარაკებების დროს ამ საკითხს, ან რატომ მიაჩნია თავდაცვის მინისტრს, რომ საქართველო ახლა ნატოს წევრობისთვის მზად არ არის. და ეს მაშინ, როცა უკვე დიდი ხანია მისგან მხოლოდ ოპტიმისტური განცხადებები გვესმის და მინისტრი მუდმივად ამაყობს საკუთარი მიღწევებით.

ალასანიამ განმარტებები სულ სხვა მიმართულებით გააკეთა:

– აქ არაფერი გასაკვირი არ არის. ამ ეტაპზე ჩვენ ვსაუბრობთ ინტეგრაციის პროცესში საქართველოს შემდეგ ნაბიჯზე. თუმცა მიმართა, და ვამინტონიცი ვაკეთებ ამის შესახებ განცხადება, ის, რაც უკრაინაში ხდება, რუსეთის აგრესია და რეგიონალური უსაფრთხოების კონტექსტი, უნდა გეკარნახობდეს, რომ საქართველოსთან უნდა დაინწყოს ახლა, ძალიან მალე გაწევრიანებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები. მაგრამ ეს არის ჩვენი სურვილი. აქედან გამომდინარე, ტექნიკურად აბსოლუტურად მართალია ჯეიმს აპატურაი.

მეორე საკითხი, რაც შეეხება თავდაცვისუნარიანობასა და თავდაცვით შეიარაღებას. აბსოლუტურად სწორია, რომ ნატოს შეიარაღება არის წევრი ქვეყნების შეიარაღებები. აქედან გამომდინარე, როდესაც ვსაუბრობთ ნატოს შესაძლებლობებზე, ვსაუბრობთ იმაზე, რომ ის წევრი ქვეყნები, ვისაც ასეთი შესაძლებლობები აქვს, იქნება ეს საპაერო თავდაცვა თუ ჩვენი საჭირო სხვა შეიარაღება, ორმხრივ ფორმატში მოლაპარაკებების შედეგად უნდა გადაწყდეს.

აქვე დავამატებ, რომ ამ კუთხით მიმდინარე მოლაპარაკებები, აღარ დავაკონკრეტებ, ვისთან და როგორ, წარმატებით მიმდინარეობს. იმედი მაქვს, რომ ძალიან მალე უკვე საჯაროდაც გაცხადდება ამ მოლაპარაკებების შედეგები.

რა თქმა უნდა, ჩვენ ვთხოვთ თავდაცვის სამინისტროს კომენტარი ამ საკითხზე. საინტერესოა, რატომ შეიცვალა თავდაცვის მინისტრმა პოზიცია რადიკალურად. ბუნებრივია, ალასანია არ გამოგვიხმაურებია. როგორც ჩანს, სათქმელი არაფერი აქვს. მთავარი ოპოზიციური ძალა, ნაციონალურების სახით, მიიჩნევს, რომ ალასანია არ არის ახალი ხელისუფლების გუნდის წევრი. მათი აზრით, თავდაცვის მინისტრმა, უბრალოდ, მთავრობის მოთხოვნა შეასრულა.

ვალა თავდაცვის მინისტრმა პოზიცია რადიკალურად. ბუნებრივია, ალასანია არ გამოგვიხმაურებია. როგორც ჩანს, სათქმელი არაფერი აქვს.

მთავარი ოპოზიციური ძალა, ნაციონალურების სახით, მიიჩნევს, რომ ალასანია არ არის ახალი ხელისუფლების გუნდის წევრი. მათი აზრით, თავდაცვის მინისტრმა, უბრალოდ, მთავრობის მოთხოვნა შეასრულა.

გიგა ბოკერია, უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საგარეო ურთიერთობათა მდივანი განმარტებით:



– ვერც ერთი ქვეყანა, მათ შორის, ვერც საქართველო, ვერ იქნება მზად მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადასადგმელად საკუთარი ეროვნული ამოცანისკენ. ამ შემთხვევაში NATO-ს წევრობისკენ, თუ მისი მთავრობა, ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ამისთვის მზად არ არის.

ექსპერტების ნაწილისთვის ნაციონალურების ეს პოზიცია მისაღებია. ეს, მიუხედავად იმისა, რომ ალასანია საერთოდ ცნობილია თვითშემოქმედებით. მაგალითად, მისთვის არავის დაუფალებია რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებზე განცხადების გაკეთება, მაგრამ გააკეთა; არავის უთხოვია, მს სამინისტროს შენი დახმარება სჭირდება გამოძიებაში, მაგრამ დემონსტრაციულად შესთავაზა „დახმარება“... ასე რომ, ახლა ძნელი დასაჯერებელია, ალასანია სამინიშნულად დაუფალებს იღბდეს და მას ხუთი-ანზე ასრულებდეს.

ზოგიერთი ექსპერტი შეფასებებში არ ჩქარობს. გიორგი თავდგირიძის განმარტებით, ამ საკითხზე განმარტება სამი მინისტრისგან უნდა მივიღოთ: ალასანიასგან, ფანჯიკიძისგან და პეტრიაშვილისგან:

– ის, რაც აპატურაიმ თქვა, საკმაოდ სკანდალური იყო. ჩვენ სამი უწყებისგან უნდა მივიღოთ განმარტებები – საგარეო საქმეთა, ინტე-

რდება გამოძიებაში, მაგრამ დემონსტრაციულად შესთავაზა „დახმარება“... ასე რომ, ახლა ძნელი დასაჯერებელია, ალასანია სამინიშნულად დაუფალებს იღბდეს და მას ხუთი-ანზე ასრულებდეს.

ზოგიერთი ექსპერტი შეფასებებში არ ჩქარობს. გიორგი თავდგირიძის განმარტებით, ამ საკითხზე განმარტება სამი მინისტრისგან უნდა მივიღოთ: ალასანიასგან, ფანჯიკიძისგან და პეტრიაშვილისგან:

– ის, რაც აპატურაიმ თქვა, საკმაოდ სკანდალური იყო. ჩვენ სამი უწყებისგან უნდა მივიღოთ განმარტებები – საგარეო საქმეთა, ინტე-





გიორგი თავდგირიძე: „ის, რაც აპატურაიძე თქვა, საკმაოდ სკანდალური იყო. ჩვენ სამი უწყებებისგან უნდა მივიღოთ განმარტებები“

„სიტყვებით ისინი პროდასავლურები არიან და საქმით არაფერს ამისთვის არ აკეთებენ“


გრაჯისა და თავდაცვის სამინისტროებისგან. ამ უწყებებს აქვთ ურთიერთობა ნატოს შესაბამის ინსტრუქტორებთან და მათი საქმეა, როდის, სად და რა ფორმით დააყენონ ესა თუ ის საკითხი, ვის უნდა მიმართონ და ასე შემდეგ.

პრობლემა აღმოჩნდა ისიც, რომ ქართულ მხარეს ეს საკითხი თურმე საერთოდაც არ დაუყენებია. მაშინ გვეცოდინებოდა, რომ ჩვენი მხრიდან, ჩვენმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელებმა ყველაფერი გააკეთა, მაგრამ საგარეო პოლიტიკური და უსაფრთხოების კონსულტურა არ აძლევს საშუალებას ნატოს, კონსულტუსს მიადნის თავის პარტნიორ ქვეყნებთან.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ არა მხოლოდ კონსულტუსია პრობლემა, არამედ ისიც, რომ ქართულ მხარეს ეს საკითხი პრინციპულად არ დაუყენებია და ეს სამ მინისტრს უნდა მოეკითხოთ – ფანჯიკიძეს, ალასანიასა და პეტრიშვილს. თუ ჩვენ ამ სამ მინისტრს ახსნა-განმარტებას არ მოვთხოვთ, მაშინ გამოდის, რომ ეს ხელი-სუფლების პოლიტიკაა და არა ამ სამი მინისტრის არაკომპეტენტურობა ან არაჯეროვანი მუშაობა.

– კი მაგრამ, ფიგურები, რომლებიც თქვენ დაასახელეთ, კოალიციაში მკვეთრად გამოხატულ პროდასავლურ პოზიციებზე დგანან...

– ვიცნობ ქართველ პოლიტიკოსებს, რომლებიც ერთს ამბობენ და მეორეს აკეთებენ. მაგალითად, ალასანია მუდმივად აპულირებს, რომ საქართველოს თავდაცვის შესაძლებლობები უნდა გაიზარდოს და როცა საქმე საქმეზე მიდგება, აღმოჩნდება, რომ თავდაცვის უწყების შიგნ-



ით ეს შესაძლებლობები არ იზრდება, ნათელი მაგალითი: თურმე „სუ-25“-ს იმიტომ ვყიდით, რომ მას რეგლამენტირებულ სამუშაოებს ვერ ვუტარებთ. ასე რომ, სიტყვებით ისინი პროდასავლურები არიან, საქმით კი,

როგორც აღმოჩნდა, ამისთვის არაფერს აკეთებენ.

– ალასანიამ ლიად განაცხადა, რომ საქართველო მზად არ არის ნატოში გასანევრიანებლად.

– კი მაგრამ, მათი მხრიდან, განსაკუთრებით ალასანიასგან, ყოველთვის ოპტიმისტურ განცხადებებს ვისმენდით...

– ეს განცხადებები ჰაერზე ნათქვამი სიტყვები იყო. და როგორც კი აპატურაიძე ფარდა ახადა რეალობას, აღმოჩნდა, რომ ეს ოპტიმიზმი მხოლოდ საუბარი იყო.

თავდგირიძე მიიჩნევს, რომ მათ, ვინც პასუხისმგებლები იყვნენ ნატოსთან მოლაპარაკებებზე, უნდა ახსნან, რას ნიშნავდა აპატურაის განცხადება.

ექსპერტების შეფასებით, უცნაურია ის ფაქტიც, რომ უელსის სამიტის წინ საგარეო საქმეთა სამინისტრო ვერა და ვერ ახერხებს ბრიტანეთში საქართველოს ელჩის დანიშვნას.

მასსოვს, როგორი კრიტიკული იყო მაია ფანჯიკიძე, პრეზიდენტი ხელს არ ანერს ელჩების დანიშვნას და ქვეყნის განვითარებას აფერხებს ყველა მიმართულებით. განსაკუთრებით გამოყოფდა ბრიტანეთში ელჩის საკითხს. შესაძლოა იმიტომ, რომ ამ პოსტზე პრეზიდენტ სააკაშვილს თედო ჯაფარიძის კანდიდატურა

შესთავაზეს, რომელსაც მან ხელი არ მოაწერა. თუმცა ჯაფარიძე არც მას შემდეგ დაუმტკიცებიათ ელჩად, რაც სააკაშვილმა პოსტი და საქართველო თითქმის ერთად დატოვა. თუმცა, ჯაფარიძე არა უბრალოდ ლობირებდა, ირწმუნებოდა, სააკაშვილია შემაფერხებელი, თორემ ახალი პრეზიდენტის პირობებში ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა:

– მე თედო ჯაფარიძესთან ვერ მოვახერხე შეხვედრა, რადგან ის საქართველოში არ იმყოფებოდა. გახსოვთ მისი განცხადება, რომ დიდ ბრიტანეთში არ სურდა ძველი პრეზიდენტის პირობებში ყოფილიყო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი. ამ პერიოდის განმავლობაში ამ თემასთან დაკავშირებით მასთან საუბარს აზრი არ ჰქონდა, რადგან მაინც არაფერი შეიცვლებოდა. მას შემდეგ, რაც ცვლილებები განხორციელდა და ახალი პრეზიდენტი მოვიდა, ამ თემამაც უკვე დაიწყო კონსულტაციები მთავრობაში. მსურს, რომ დიდ ბრიტანეთში სრულუფლებიანი საგანგებო ელჩი თედო ჯაფარიძე იყოს...

დღემდე არ არის არც ჯაფარიძე და არც ვინმე სხვა, ევროპულ ფასეულობათა ინსტიტუტის დამფუძნებლის მამუკა ულენტიის შეფასებით, ეს საგარეო საქმეთა სამინისტროს მუშაობის სერიოზულ ხარვეზებზე მიუთითებს:

– საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელთა დანიშვნაში არსებულ პრობლემებს კოაბ-

იტაციას აბრალებდა. მას მერე, რაც კოაბიტაცია უკვე კარგა ხანია დასრულებულია, ჯერ კიდევ არაა დანიშნული რამდენიმე დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელი. პირველ რიგში, ეს დიდ ბრიტანეთში ჩვენს საელჩოს ეხება, სადაც შემოდგომაზე უელსის სამიტი ტარდება.

„აქცენტიან“ საუბარში თედო ჯაფარიძემ მხოლოდ უხილი გამოთქვა და კონკრეტული მიზეზი ვერ დაასახელა:

– ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, უხერხულობას ქმნის, რა თქმა უნდა, გარკვეული კითხვები ებადებათ, ალბათ, ჩვენს ბრიტანელ კოლეგებს. ჩემამდე ინფორმაცია არ მოსულა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტრო ძალიან აქტიურად მუშაობს, ატარებს კონსულტაციებს, ჰყავს შერჩეული რამდენიმე კანდიდატი და გადანყვეტილება იქნება მიღებული. ეს პროცესი გაჭიანურდა. მოგეხსენებათ, თავიდან ეს არ იყო საგარეო საქმეთა სამინისტროს ბრალი, თავის დროზე კანდიდატურა დაიბლოკა. შემდეგ არსებობდა სხვადასხვა ნიუანსები. პროცესი ოდნავ დროში გაიწვია, ამაში გეთანხმებით, მაგრამ იმედია, ეს თემა უახლოეს პერიოდში დაიხურება.

საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ საკითხზე განმარტებებს ჯერ არ აკეთებს. ისე, გაუგებარია, ახლა რატომ არავის აბრალებს ფანჯიკიძე, სახელმწიფოებრივად ვერ აზროვნებს და ელჩების დანიშვნას აბრკოლებს შეგნებულად, როგორც ამას სააკაშვილის მისამართით თამამად აცხადებდა.



მამუკა ულენტი: „ჯერ კიდევ არაა დანიშნული რამდენიმე დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელი. პირველ რიგში, ეს დიდ ბრიტანეთში ჩვენს საელჩოს ეხება“

SOS! შეზღუდული შესაძლებლობების

სალომე გოგონია

ეს ის შემთხვევაა, როცა უფლებადამცველი ორგანიზაციები რატომღაც დუმის ამჯობინებენ. მომხდართან დაკავშირებით არც ერთს პროტესტი არ გამოუხატავს და ქუჩაში არ გამოსულან მოთხოვნით - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების უფლებებს ნუ არღვევთო. ჩვენ გვახსოვს რუსთაველზე გამართული არაერთი აქცია უმცირესობების უფლებების დასაცავად, მათ შორის ლგბტ პირების... არადა ეს ადამიანებიც ხომ უმცირესობაში არიან დანარჩენ სამყაროსთან და იმის მაგივრად, რომ მათ საზოგადოებასთან ინტეგრაციაში დაეხმაროთ, მათი უფლებები ყოველ ნუთას ირღვევა... ამაზე რატომღაც ყველა თვალს ვხუჭავთ და ხშირად მსგავს ფაქტებს გულგრილადაც კი ჩავუვლით-ხოლმე.

შემთხვევა, რომელზეც ქვემოთ ვიამბობთ, დიდუბეში, თევდორე მღვდლის #48-ში მდებარე სკვერში მოხდა. დაახლოებით ერთი თვის წინ, რაიონის გამგეობამ სკვერში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის სპეციალური საქანელა დაამონტაჟა. თუმცა, ზოგიერთმა მშობელმა ეს გააპროტესტა და მოითხოვა, რომ „ასეთი ბავშვების საქანელა სხვაგან წაეღოთ“ (?) და მისი დემონტაჟიც თვითნებურად განახორციელეს.

ფაქტის შესახებ საზოგადოებისთვის სოციალური ქსელის მეშვეობით გახდა ცნობილი. საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა გიორგი კუკელიძემ სოციალურ ქსელში ასეთი შინაარსის განცხადება განათავსა: „გაცოფებული ვარ, დიდუბის რაიონში დავდგით შშმ ბავშვებისთვის განკუთვნილი კარუსელი, დღეს ჩამოხსნილი დაგვხვდა. მშობლებმა გამოგვიცხადეს მასეთი ბავშვებისთვის სხვა სკვერი გახსენითო, გადავირევი“, - ამგვარ ამბავს გადავანყვი მეგობრის მიერ გაზიარებულს და აჰა, გაგიზიარეთ“.

ფაქტი დავადასტურეს დიდუბის გამგეობაში, სადაც აცხადებენ, რომ საქანელას აღდგენა უახლოეს დღეებში განხორციელდება და არ დაუშვებენ მის სხვა სკვერში გადატანას.

„პრაიმტიმის“ აღნიშნულ სკვერში იმყოფებოდა. ის საქანელაც ვნახეთ, რომელმაც ზოგიერთი მშობლის „აღმუთება“ გამოიწვია და ადგილობრივებსაც გავესაუბრეთ.

თევდორე მღვდლის ქუჩა #48-ში არსებული სკვერში იმ დროს მივედი, როცა ბებიებბაბუები შვილიშვილებს ასეირნებდნენ და იქვე არსებულ საქანელასა და სასრალოზე ათამაშებდნენ. ამ გასართობის გვერდით უსახურად გამოიყურებოდა ჯაჭვებდანყვეტილი ვარდისფერი საქანელა. ეს სწორედ ის საქანელაა, რომლის დადგამაც ასეთი აუ-

„მე არ ვიცი ვინ ჩამოხსნა ეს საქანელა, მაგრამ თუ ეს სიმაართლეა, რასაც გაკითხვებით, გაუინ სირცხვილი ჩვენ. რომელ ეპროკაზაა ლაპარაკი, გაკითხვებით? რას ნიშნავს, რომ ასეთ ბავშვებს სხვა სკვერი გაუხსენითო?“

„შეიძლება, რომელიღაც უგუნურმა მშობელმა მართლაც თქვა ასეთი რამ, მაგრამ რაღა მის ნათქვამს წერთ? ჩვენი დაწერეთ. ეს საქანელა ერთი თვის წინ დადგეს. სულ რამდენიმე ბავშვმა მოახერხა ქანაობა. მეათე კლასელი ბიჭები, დაახლოებით ათნი, შემოსხდნენ და ვერ გაუძლო, ცუდად დამონტაჟებული იყო და მოწყდა“

ვნებათაღელვება და უარყოფითი შეფასება მოჰყვა. ალბათ, ასეთმა შეფასებებმა განაპირობა ის, რომ ადგილზე მისულებმა მოსახლეობისგან კარდინალურად განსხვავებული მოსაზრებები მოვისმინეთ. კერძოდ, ჩვენთან საუბარში სკვერში მყოფთ გავრცელებული ინფორმაცია უარყვეს და საქანელის დემონტაჟის მათეული ვერსია გვიამბეს.

„შეიძლება, რომელიღაც უგუნურმა მშობელმა მართლაც თქვა ასეთი რამ, მაგრამ რაღა მის ნათქვამს წერთ? ჩვენი დაწერეთ. ეს საქანელა ერთი თვის წინ დადგეს. სულ რამდენიმე ბავშვმა მოახერხა ქანაობა. მეათე კლასელი ბიჭები, დაახლოებით ათნი, შემოსხდნენ და ვერ გაუძლო, ცუდად დამონტაჟებული იყო და მოწყდა. აქ ბანერი ან რაიმე გამაფრთხილებელი ნიშანი უნდა გააკეთონ, რომ ასეთი და ასეთი ბავშვების საქანელა და არავინ უნდა დაჯდეს. პატარა შვილიშვილი მყავს და ვუთხარი, ბებო, ეს ავადმყოფი ბავშვების საქანელაა და არ დაჯდე-მეთქი. იმან გაიგო და დიდები ვერ გაიგებენ? ბოძები კარგად დამონტაჟებული არ იყო. ნახეთ, ახალი ჩაბეტონებულია, ამ საქანელაზე ქანაობისას 9 ბავშვი უკვე დაზიანდა, ერთ გოგოს წვივებში მოხვდა სპეციალური ჩამკეტი, რაც ამ საქანელას აქვს, კარგად არ იკეტება და როცა გოგონა მივიდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის გამოსაყვანად, ეს რკინა ჩამოვარდა და წვივები ჩაუმტვრია. სასწრაფო, პატრული გამოვიძახეთ და მერე საქანელას დემონტაჟი გაუკეთეს. პირიქით, ასეთ ბავშვებს საქანელები ასეთ სკვერებში უნდა გაუკეთონ, რომ სხვა ბავშვებთან ურთიერთობა ჰქონდეთ. რომელი ნორმალური მშობელი იტყვის, რომ ასეთ ბავშვებს სხვა სკვერი გაუხსენითო? ჩემ სანაცნობოში ეს არავის უთქვამს“, - გვითხრა ქალბატონმა ირინამ.

თუმცა, მიუხედავად იმისა რომ ეს ქალბატონი ეს რულებით არ ენიანაღმდეგება მსგავსი საქანელების მონტაჟს სკვერებში, ის მაინც ავადმყოფებად მოიხსენიებს იმ ბავშვებს, რომლებიც დანარჩენი ადამიანებისგან მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებად მოიხსენი-

„აქ ბანერი ან რაიმე გამაფრთხილებელი ნიშანი უნდა გააკეთონ, რომ ასეთი და ასეთი ბავშვების საქანელა და არავინ უნდა დაჯდეს“

იოტაჟი გამოიწვია. საქანელა უფუნქციოა. ბოძებისგან მოშორებით ეგდო, რომელზეც თავის დროზე ჯაჭვებით დაამარგეს. სპეციალური საქანელა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის დადგეს, რომლებისთვისაც დედაქალაქში არანაირი სახის ატრაქციონი და გასართობი არ არსებობს. თუმცა, ზოგიერთი შეუგნებელი მშობლის გადაწყვეტილებამ, ამ ბავშ-

ვებს ეს ერთადაერთი გასართობი დროებით მოუსპო. შესაძლოა, ეს ამბავი ისე მიჩქმალულიყო, რომ ქალაქში მხოლოდ რამდენიმე ადამიანს გაეგო. თუმცა, სოციალურ ქსელში გავრცელებულ ინფორმაციას საზოგადოების მხრიდან დიდი

„ასეთი ბავშვები ჩვენი შვილების, შვილიშვილების გვერდით უნდა იზრდებოდნენ, რომ მათ თანაგრძობა, მეგობრობა, ერთმანეთის გატანა ისწავლონ“



მქონე ბავშვების უფლებები ირღვევა!



EXCLUSIVE

ებთან... თუმცა, დღეს მთელი მსოფლიო თანხმდება იმაზე, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს, არამედ თავად გარემოა მათთვის შეზღუდული, რაც არ იძლევა საზოგადოებაში მათი სრულფასოვანი ინტეგრირების საშუალებას.

სკვერში მოთამაშე ბიჭების ბაბუებმაც გვითხრეს, რომ საქანელა ცუდად დამონტაჟებული იყო და ამიტომ ჩამოვარდა.

„შვილო, სხვა საქმე არ გაქვთ? რისთვის მოხვედით? არავის არ ჩამოუხსნია ეს საქანელა. ბოძები ჩაბეტონებული არ იყო და რამდენიმე ბავშვი დაშავდა. მოწყდა თავისით“. - მითხრეს ხანშიშესულმა მამაკაცებმა.

„მე არ ვიცი ვინ ჩამოხსნა ეს საქანელა, მაგრამ თუ ეს სიმართლეა, რასაც მეკითხებით, მაშინ სირცხვილი ჩვენს, რომელ ევროპაზეა ლაპარაკი, გეკითხებით? რას ნიშნავს, რომ ასეთ ბავშვებს სხვა სკვერი გაუხსენითო? პირიქით, ასეთი ბავშვები ჩვენი შვილების, შვილიშვილების გვერდით უნდა იზრდებოდნენ, რომ მათ თანაგრძნობა, მეგობრობა, ერთმანეთის გატანა ისწავლონ. ჩვენ არც ევროპა ვართ და არც აზია. რაღაც სხვა ვართ, ჩვენი წესები გვაქვს. ამ თემასთან რა მოსატანია, მაგრამ შეიძლება სკვერში ძალღეობის ასეირნო ან სასრიადლოს ძალღეობა გააკარო, სადაც პატარები თამაშობენ? რომელია დაცული იმისგან, რომ ღვიძლში ბენჯი არ მოხვდება და ათასი უბედურება არ დაემართება? რომელ ევროპაში ინტეგრირებაზეა საუბარი, როცა ჩვენს საზოგადოებას ელემენტარული კულტურა და შეგნება არ გააჩნია. რად უნდა ამ საქანელას გამაფრთხილებელი ნიშანი, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვისაა განკუთვნილი? რა, ისე ვერ უნდა მიხვდე, რომ ამხელა ვირი, ბავშვის საქანელაზე არ უნდა ჩამოვდე? როგორ ოჯახებშიც იზრდებიან, ეტყობათ კიდეც“. - გვითხრა ხანშიშესულმა ბატონმა.

სამწუხაროდ, მცდელობის მიუხედავად, ის მშობლები ვერ ვიპოვეთ, რომლებმაც საქანელას დემონტაჟი მოითხოვეს და შემდეგ თვითნებურად განახორციელეს კიდეც. შესაძლოა, ატეხილი აჟიოტაჟის შემდეგ, ამ



„რამდენიმე დღის წინ, თერთმეტამდე ბავშვი ერთდროულად ავიდა. ქანაობისას ერთ-ერთი ჩამოვარდა. მშობლებმა პანიკა ატეხეს, გამოიძახეს პატრული და საქანელა თვითნებურად ჩამოხსნეს. თქვეს, არ გვინდა ეს საქანელა აქ იყოს, სხვაგან გაუკეთეთო. ეს ჩემთვის მიუღებელია და მგონი ყველა ადამიანისთვის. ეს საქანელა აღდგენის პროცესშია და ისევ დამონტაჟდება“

თემაზე საუბარს თავს არიდებენ. მართალია, სკვერში მყოფმა საზოგადოებამ კატეგორიულად უარყო გავრცელებული ინფორმაცია, მაგრამ საპირისპირო გვითხრეს დიდუბის გამგეობაში. დიდუბის რაიონის გამგებლის მოადგილე დავით ნაფეტვარიძე „პრაიმტიმთან“ საუბარში აცხადებს, რომ მშობლებმა დემონტაჟი თვითნებურად განახორციელეს. თუმცა, გამგეობა საქანელას კვლავ აღადგენს.

„დაახლოებით ერთი თვის წინ, თევდორე მღვდლის ქუჩის კუთხეში მდებარე სკვერში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საქანელა დავამონტაჟეთ. რამდენიმე დღის წინ, თერთმეტამდე ბავშვი ერთდროულად ავიდა. ქანაობისას ერთ-ერთი ჩამოვარდა. მშობლებმა პანიკა ატეხეს, გამოიძახეს პატრული და საქანელა თვითნებურად ჩამოხსნეს. თქვეს, არ გვინდა ეს საქანელა აქ იყოს, სხვაგან გაუკეთეთო. ეს ჩემთვის მიუღებელია და მგონი ყველა ადამიანისთვის. ეს საქანელა აღდგენის პროცესშია და ისევ დამონტაჟდება. არ ვიცი რა უნდა ვთქვა, პირიქით, მშობლებმა ხელი უნდა შეუწყონ ამ ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრირებას. ჩვენ არ დავუშვებთ, რომ სხვაგან დავამონტაჟოთ ეს საქანელა. პირველები ვართ, ვინც ასეთი საქანელა დავამონტაჟეთ, ისევე იქ აღდგება და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები ისარგებლებენ“. - აცხადებს ნაფეტვარიძე, რომელიც მოსახლეობის ნათვამს, თითქოს საქანელა ცუდად იყო დამონტაჟებული, არ ადასტურებს.

„არა, საქანელა კარგად დამონტაჟებული იყო. ახლა კიდევ უფრო მაგრად ვაბეტონებთ, რომ ვიღაცამ თვითნებურად ვერ ჩამოხსნას. იმ წონისთვის, რა წონისთვისაც ეს საქანელაა განკუთვნილი, უძლებს, მაგრამ თხუთმეტი ადამიანი რომ შემოსხდება, ვერ გაუძლებს. სხვა სკვერებშიც ვაპირებთ დამონტაჟებას. დილოშიც გავაკეთეთ, მაგრამ მსგავსი შემთხვევა, რომ ვინმეს ჩამოეხსნას, არ ყოფილა. არ უნდა დავუშვათ, რომ მსგავსი რამ კიდევ განმეორდეს. - ამბობს გამგებლის მოადგილე.

ცნობისთვის, ანალოგიური საქანელა ზოოპარკშიც დამონტაჟდა. თუმცა, მისი დემონტაჟის სურვილი არავის გამოუთქვამს. შესაძლოა იმიტომ, რომ ტერიტორია დაცულია, იქაურობას ზოოპარკის ადმინისტრაცია აკონტროლებს.

დასაწინაა, რომ ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიმართ სრულ გულგრილობას და ხშირად მტრულ განწყობასაც ავლენს.

პრაქტიკულად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები საზოგადოებისგან გარიყულები არიან. მათ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ექმნებათ დაბრკოლება, ტრანსპორტში, ბანკებში, ქუჩებში და ა.შ. ხშირად გვაწინააღმდეგება, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს. შეიძლება გარემო იყოს შეზღუდული. გარემო, რომელშიც დღეს ეს ადამიანები ცხოვრობენ. თუმცა, ამ გარემოს შეცვლა თითოეულ ჩვენგანს ძალუძს. მთავარია სურვილი და მონდომება.

მარიამ ნადირაძე

ამ ეტაპზე ძველი და ახალი ხელისუფლება ერთდროულად ზეიმობს, რომ სასამართლო სისტემა დამოუკიდებელი ხდება... ყოფილი იმიტომ, რომ დღეს უკვე დაცვის პოზიციაში მყოფს, ერთადერთი საყრდენი სწორედ სასამართლოში ეგულება. ახალი კი იმიტომ, რომ მას თამამად შეუძლია განაცხადოს – სასამართლო პოლიტიკური წინხისგან თავისუფალია.

არ ზეიმობს მხოლოდ საზოგადოება, რომელიც დიდ იმედებს ამყარებდა ამ სისტემაზე და დღეს შთაბეჭდილება ექმნება, რომ ის კვლავ ძველი ხელისუფლების კონტროლქვეშაა.

რამდენად სამართლიანია საზოგადოების ეს განწყობა?

„პრაიმტიმს“ უზენაესი სასამართლოს ყოფილი პრეზმდივანი, ჟურნალისტიკის დოქტორი ხათუნა ჩარკვიანი ესაუბრება:

– დღეს სასამართლო ხელისუფლება ვერ კიდევ წინსვლა ქვეშაა. ეს შეიძლება ლოგიკური იყოს, რადგან საზოგადოებამ ძალიან მძიმე ათწლიანი პერიოდი გამოიარა. თუმცა, სანამ მთავარ თემას შევხებოდეთ, ცოტა შორიდან მივხედო და ვიხსენებ: სასამართლო რეფორმა საქართველოში გახსოვთ, რომ 1998 წელს დაიწყო. მაშინ შეიქმნა იუსტიციის საბჭო, რომელსაც პირდაპირ ჰქონდა კანონით გათვალისწინებული, რომ სათავეში უნდა ჩასდგომოდა სასამართლო რეფორმას. ამ რეფორმის ერთ-ერთი ლიდერი ექსპრეზიდენტი სააკაშვილი იყო. ძალიან მნიშვნელოვანი მიზანი ჰქონდა ამ ყველაფერს. მას, პრაქტიკულად, უნდა შეეცვალა ყოფილი საბჭოური კანონმდებლობა და აქედან გამომდინარე სასამართლო. მართლაც, ძალიან მოკლე პერიოდში, დაახლოებით წელიწადნახევარში მოხერხდა სრულიად ახალი სასამართლო კორპუსის ჩამოყალიბება მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგად და სრულიად ახალ კანონმდებლობაზე დაყრდნობით მივიღეთ ახალი სასამართლო სისტემა, რომელსაც უნდა განხორციელებინა ძალიან სერიოზული, დემოკრატიული ძვრები ქვეყანაში, ვინაიდან სახელისუფლებო გადაწყვეტილების პრინციპში სწორედ ის იძლევა ბალანსს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებს შორის. ამ ყველაფერს ძალიან საინტერესო ფაქტებმა შეუწყო ხელი. პირველი რგოში, ეს იყო პოლიტიკური ნება – პრეზიდენტი შევარდნაძე, ახალგაზრდა რეფორმატორების გუნდი, პარლამენტის თავმჯდომარე, ზურაბ ჟვანიანი, იუსტიციის საბჭოს წევრები, ერთსულოვანი მედია ყველაფერს აკ-



ქოტე კუზლავაძე

ეთებდა, რომ რეალურად მომხდარიყო ძველი სასამართლო კორპუსის შეცვლა ახალი მოსამართლეებით და შედეგად მივიღეთ 330 ახალი მოსამართლე. შეიქმნა საპილოტე სასამართლოები, შენობები მაქვს მხედველობაში. უამრავი ცვლილება განხორციელდა საკანონმდებლო დონეზე. სასამართლოში მოვიდა ახალი ძალა, რომელსაც შეეძლო, სრულიად ახალი ტიპის მართლმსაჯულება განეხორციელებინა. მოხერხდა სისტემური კორუფციის დაძლევა. ეს არ იყო მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი აზრი. ამას აქტიურად მხარს უჭერდა და აფასებდა ამერიკის იურისტთა ასოციაცია, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართული ამ პროცესში, მათ შორის, ტექნიკური თვალსაზრისით, მხოლოდ ბანკი ვეიჭერდა მხარს. გამოიყო 13,4 მილიონი დოლარი, რომელიც უნდა მოხმარებოდა ახალი სასამართლოების მშენებლობას, ვინაიდან მოსამართლეს ნამდვილად სჭირდებოდა ის გარემო, რომელიც მოქალაქეებს განაწყობდა მისდამი პატივისცემით, ნდობით. სხვათა შორის, ძალიან საინტერესო შედეგები დაიდა. ბევრი გადაწყვეტილება ორიენტირებული იყო მოქალაქეზე, რაც რეალურად დემოკრატიული სახელმწიფოს მთავარი ქვაკუთხედი, ვინაიდან აქ ადამიანია მთავარი ღირებულება...

– მერე, სად წავიდა ეს ყველაფერი?

– მერე იყო ის, რომ მოხდა რევილინგა და ჩვენ რაც ვნახეთ, ის იყო, რომ მოხდა სრული დევალიგაცია დემოკრატიული ღირებულებების და მივიღეთ ძალიან მძიმე რეჟიმი. დღეს „ნაციონალური მოძრაობა“ აღიარებს, რომ იყო ბევრი შეცდომა, თუმცა ის, რაც მაშინ ხდებოდა, არა თუ შეცდომა, არამედ დანაშაული იყო. თავის დროზე, როცა მიხეილ სააკაშვილი ცნობილ რეფორმას ჩაუდგა სათავეში, ამ რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ის გახლდათ, რომ სასამართლო ხელისუფლება გათავისუფლებულიყო პროკურატურის კონტროლისაგან. რაც რეალურად მიღწეულ იქნა.

– გამოდის, რომ სააკაშვილმა ყ-

ელაზე კარგად იცოდა, რა შედეგი მოაქვს პროკურატურის წინხისგან განთავისუფლებულ სასამართლო სისტემას და პირიქით, რა შემთხვევაში სჭირდება ხელისუფლებას სასამართლოზე პროკურატურის წინხის დანახვა?

– ამ პროცესში მხოლოდ სააკაშვილი არ იყო ჩართული. მასსოვს, მაშინ საქართველოში მოქმედებდა ორგანიზაცია „ალპე“, ანუ სამართლებრივი განათლების ასოციაცია. მისი ხელმძღვანელი გახლდათ გიგე უგულავა, რომელიც 2001 წლიდან ჩაუდგა ამ ორგანიზაციის სათავეში. როდესაც ახალმა სასამართლო სისტემამ ფუნქციონირება დაიწყო, ანუ 1999 წლის 15 მაისიდან, საჭირო იყო, რომ ხალხს მეტი გაეგო ამ სისტემის შესახებ და ამას აკეთებდა სწორედ ეს ორგანიზაცია – გამოსცემდა ბროშურებს, ჟურნალებს, ბუკლეტებს, ახორციელებდა ძალიან საინტერესო საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროექტებს... თუმცა, სასამართლო სისტემა არ მოიცავს მხოლოდ მოსამართლეთა კორპუსს, მას ჰყავს ბრალდებისა და დაცვის მხარეებიც. გეგმაში იყო, რომ ამ მიმართულებითაც განხორციელებულიყო რეფორმები, მაგრამ რევილინგა მოხდა და ეს ყველაფერი ვერ მოესწრო. რევილინგამ საერთოდ შეცვალა ყველაფერი. მოვიდა სულ სხვა იდეებით და მერე ჩვენ რეალობაში ვნახეთ, რაც იყო...

– იგივე ადამიანები, რომლებიც მანამდე სასამართლოს ათავისუფლებდნენ, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, პრაქტიკულად, სასტიკად გაუსწორდნენ ამ სისტემას...

– ბუნებრივია, აღმასრულებელი ხელისუფლების გამკაცრებამ და პოლიტიკური ზედამხედველობის დაბრუნებამ სასამართლო სისტემაზე არა მხოლოდ დაამახინჯა, არამედ სრულიად გაანადგურა ეს ყველაფერი.

– ეს მიზანმიმართულად გააკეთა სააკაშვილის ხელისუფლებამ?

– მიზანმიმართული იყო თუ არა ეს, ამის შესახებ ჩვენ შედეგებით უნდა ვიმსჯელოთ და ეს შედეგები ყველასთვის თვალნათელი გახდა. 10

წელი გავიდა მას შემდეგ. გვახსოვს შემინებული მოსამართლეები, რომლებიც, ამბობდნენ კიდევ, რომ ნორმალურად იყვნენ გადაქცეულები და პრაქტიკულად პროკურატურის ბრალდებაზე ბეჭედის დარტყმით შემოიფარგლებოდნენ. ამან მთლიანად გაანადგურა ის ყველაფერი, რაც რეფორმის ფარგლებში განხორციელდა. არადა, სახელმწიფომ საკმაოდ ბევრი ფული დახარჯა თავის დროზე ამ მოსამართლეების ტრენინგებისთვის საზღვარგარეთ. ეს ათი წელი, რა თქმა უნდა, ძალიან სერიოზულად უნდა შე-

უსწორდებოდა პროკურატურა კერძო საკუთრებას, ბიზნესს, ადამიანებს – ასე იოლად იქნებოდა შესაძლებელი გამოსვლა. სასამართლოს შიში და ტერორი მოეხსნა, თუმცა მოსამართლეების ფსიქიკაში დარჩა ამ ყველაფრის ნალექი და ეს ასე იოლად არ იკურნება.

– საზოგადოება კი სამართლიანობის აღდგენას ხომ ადამიანებისგან ითხოვს?

– ჩვენ ვნახეთ, რომ წინა ხელისუფლებიდან მხოლოდ რამდენიმე ადამიანი დაკავებული და სასამართლოში პროცესები მიმდინარეობს. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რა რაოდენობის საქმე შევიდა პროკურატურაში, კიდევ მრავალი პროცესის მომსწრე გავხდებით. მაგრამ, როგორც ჩანს, იქაც არ ჰყოფნით რესურსი და პირველადი პათოსი რაღაცნაირად შენედა, რაც უდავოდ იწვევს საზოგადოების უკმაყოფილებას.

– უკვე მიმდინარე პროცესების შედეგები და ზოგიერთი გადაწყვეტილება ხალხს უკვე აძლევს გარკვეულ სურათს, რომლის საფუძველზეც ჩნდება სტიგმა, რომ სასამართლო კვლავაც ნაციონალისტია...

– სამართლიანობის აღდგენა სერიოზული ტემპით რომ წარმართულიყო, საზოგადოებას არ დარჩებოდა ეს განწყობა და სასამართლო საბოლოოდ არ დაკარგავდა ნდობას, რაც ისედაც დაკარგული ჰქონდა ნაციონალური ხელისუფლების დროს.

– შეგიძლიათ თქვათ, რომ სასამართლოს ისევ არ ენდობა ხალხი?

– შემიძლია ვთქვა, რომ სასამართლოს არ აქვს მაღალი ნდობა, მიუხედავად იმისა, რომ მასზე პოლიტიკური წინხის მოხსნილია.

– ლოგიკურად მიგაჩნიათ, რომ ერთი და იგივე მოსამართლე, რომელიც გუშინ პროკურატურისთვის მისაღებ გადაწყვეტილებას იღებდა, დღეს მას კრიჭამი უდგას და იმ დევოკატების სასარგებლო გადაწყვეტილებას იღებს, რომლებიც თავის დროზე პროკურატურაში მუშაობდნენ, ან რევილინგთან დაახლოებული პირები იყვნენ?

– როგორც წესი, მოსამართლე გადაწყვეტილებას იღებს თავისი მინა-



ხათუნა ჩარკვიანი

ის კონტროლს ექვემდებარება?!

„საზოგადოებაში ჩნდება საპარტიო-პარტიო პრეტენზიები იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც წინა ხელისუფლებას წარმატებით ემსახურებოდნენ“

EXCLUSIVE



„10 წელი არ არის ათი დღე. ეს არის მთელი დეკადა. იმდენი რამეა დაშავებული, რომ ამის ერთგვარად გამოსწორება ძალიან რთული იქნება, მით უმეტეს იმ სისტემაში, რასაც სასამართლო სისტემა ჰქვია“

განი მრწამსით და კანონის შესაბამისად. როგორც არ უნდა ყოფილიყო მისი შინაგანი მრწამსი, წინა ხელისუფლების პირობებში ის იღებდა მხოლოდ პროკურატურისთვის მისაღებ გადაწყვეტილებას. ამ ყველაფრისგან განთავისუფლება ერთ დღეში ხომ არ მოხდებოდა? მოსამართლეთა კორპუსი ხომ არ შეცვლილა? ეს ის ხალხია, ვინც სააკაშვილის მმართველობის დროს იქნა არჩეული მოსამართლეებად...

– ანუ ეს არის მადლიერი ხალხი?

– რეალურად ეს არიან ადამიანები, რომლებიც იმ რეჟიმის პირობებში შეუდგა სასამართლო ხელისუფლების განხორციელებას. შეგახსენებთ, რომ, როცა სააკაშვილი ხელისუფლებაში მოვიდა, მთელი ძველი სასამართლო კორპუსი სახლში გაუშვეს. ბევრმა მოსამართლემ უპირობოდ და უყოყმანოდ მიიღო სახლში წასვლის გადაწყვეტილება, თუმცა იყვნენ მეამბოხეებიც, რომლებსაც იცით თქვენ, როგორ გაუსწორდნენ. ისინი საერთოდ ჩამოშორეს სისტემას. სხვათა შორის, მათ საქმე მოიგეს სტრატეგიაში და რამდენადაც ვიცი, ისინი ელოდებიან აღდგენას. რატომღაც ძალიან ჭიანჭურდება ეს პროცესი.

– ის, ვინც სააკაშვილმა მაშინ სახლში გაუშვა, სულ რამდენიმე წლით ადრე რეფორმის ფარგლებში არ მოიყვანა?

– ფაქტია, რომ მოხდა ის, რაც მოხდა.

– ერთი პარალელი მინდა შემოგთავაზოთ: როცა სააკაშვილის ხელისუფლებამ მოიცალა სასამართლო სისტემისთვის, რაც რეკონსტრუქციის თითქმის ნახევარ წელიწადში მოხდა, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ლადო ჭანტურია თავისი განცხადებით წავიდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი საკონსტიტუციო ვადა არ იყო გასული... თუმცა ძალიან ჯიუტი აღმოჩნდა კოტე კუბლაშვილი და ვინაიდან მას საკონსტიტუციო ვადა გასული არ ჰქონდა, ცოცხალი თავით არ დათმო პოზიცია... ლადო ჭანტურიას წასვლის შემდეგ სააკაშვილმა პროკურატურას დაუჩოქა სასამარ-



„ლადო ჭანტურია ამ განცხადებას საჯაროდ გააკეთა. სხვათა შორის, იმ შეხვედრაზე, რომელსაც მიხეილ სააკაშვილიც ესწრებოდა...“

ლადო ჭანტურია

როლო, კუბლაშვილის არწასვლის შემდეგ კი სასამართლო ძველი ხელისუფლების სასარგებლო გადაწყვეტილებებს იღებს ძირითადად... ის, რაც მოახერხა სააკაშვილმა და ვერ შეძლო ივანიშვილმა, ახალი ხელისუფლების სისუსტეა, თუ?..

– ლადო ჭანტურია ამ განცხადებას საჯაროდ გააკეთა. სხვათა შორის, იმ შეხვედრაზე, რომელსაც მიხეილ სააკაშვილიც ესწრებოდა...

– ხომ არ ჰქონდა ამ ყველაფერს რამე კულუარული ბეჭედი, მით უმეტეს, იმ ფაქტსაც თუ გავითვალისწინებთ, რომ სააკაშვილის საკრებულოს თავმჯდომარეობის დროს შექმნილ ე.წ. შავ სიაში ერთ-ერთ მონიშნულ პოზიციას სწორედ ლადო ჭანტურია იკავებდა?

– ჩემი კომპეტენციის ფარგლებში ვერ ვიქნები მართალი, რომ ვისაუბრო იმაზე, რის შესახებაც ზუსტი ინფორმაცია არ მაქვს. მთავარია, რომ ჩვენ გვაქვს ფაქტის დონეზე შემდგარი შედეგები, ის, რაც დატოვა წინა ხელისუფლებამ და მოდით, შევაფასოთ ადამიანები ქმედებების მიხედვით.

– ფაქტია, რომ ჭანტურია წასვლასა და კუბლაშვილის არწასვლასაც მოჰყვა თავისი შედეგები და მათ შორის პარალელებს ავლებს საზოგადოება...

– საზოგადოება ძალიან კატეგორიული ახალი ხელისუფლების მიმართ, თუმცა ამას თავისი საფუძველი აქვს, ვინაიდან პროცესები ძალიან წელიტეში მიდის. პირველ ეტაპზე საზოგადოებამ მიიღო ეს კოპიატაციის რეჟიმი იმისთვის, რომ არ მომხდარიყო სხვა ტიპის ანგარიშსწორება, თუნდაც ისეთი, როგორსაც წინა ხელისუფლება მიმართავდა. შესაბამისად, საზოგადოებაში ჩნდება სამართლიანი პრეტენზიები იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც წინა ხელისუფლებით ნარმატებით ემსახურებოდნენ და ახლა კვლავაც რჩებიან ხელმძღვანელ პოზიციებზე. ამიტომაც, ვინმეს ახლა შეიძლება გაუჩნდეს სურვილი, რომ ხალხს ამ სასამართლოს ნდობა ჰქონდეს? ის რომ ამ სისტემას პოლიტიკური ზენოლა მოეხსნა, ამის შედეგები ქვედა დონეზე შეიძლება უფრო სწრაფად დაინახოთ. რაც შეეხება ხელმძღვანელობას, იქ ნამდვილად უნდა ჩატარდეს სერიოზული რეფორმები.

– თუმცა კოტე კუბლაშვილის ამ პოზიციაზე დარჩენა არ გახლავთ ერთადერთი მიზეზი იმისთვის, რომ ხალხი არ ენდოს სასამართლოს. შეგვიძლია ბოლოდროინდელი გადაწყვეტილების შესახებაც ვიმსჯელოთ, თუნდაც ბაჩანა ახალაიას ოთხი გამამართლებელი განაჩენი...

– ყველგან, სადაც რეკოლუცია

განხორციელდა, პირველ რიგში დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა სასამართლო, რადგან ესენი არიან ადამიანები, ვისაც უნდა განხორციელდებოდა სამართალი ქვეყანაში. გამონაკლისი არც საქართველოა. როდესაც სააკაშვილის რეჟიმის დროს მოსამართლეების თითქმის 90 პროცენტი გაუშვეს სახლში, ეს არ ნიშნავდა იმას, რამდენი დამოუკიდებელი მოსამართლე ჰყოლია ქვეყანას? შესაბამისად, ის ადამიანები, რომლებმაც თავის დროზე შეაფასეს ეს პოზიცია, მორჩილებით გაუძლეს რეჟიმს და დღესაც რჩებიან მოსამართლეებად, გარკვეულ შთაბეჭდილებას, რა თქმა უნდა, ქმნიან. შესაძლებელია, ბევრი მათგანი კომპეტენტურია, თუმცა მათი ასაკიც უნდა გავითვალისწინოთ, როცა მათ მოსამართლეობა დაიწყეს. ბევრი არაადამიანურ შრომას ეწეოდა. ათასობით საქმე ჰქონდა თითოეულს. ამას თუ იმ შიშსაც დავუმატებთ, რა პირობებშიც უხდებოდათ მუშაობა, ყველაფერი გასაგები გახდება. ადამიანი კი მანქანა არ არის, რომ ღირებულებათა სისტემა შეუცვალო, ჩიპი ჩაუდგა და მან სხვანაირად დაიწყოს მუშაობა. 10 წელი არ არის ათი დღე. ეს არის მთელი დეკადა. იმდენი რამეა დაშავებული, რომ ამის ერთგვარად გამოსწორება ძალიან რთული იქნება, მით უმეტეს იმ სისტემაში, რასაც სასამართლო სისტემა ჰქვია.

„ის რომ ამ სისტემას პოლიტიკური ზენოლა მოეხსნა, ამის შედეგები ქვედა დონეზე შეიქმნება უფრო სწრაფად დაზინახოთ. რაც შეეხება ხელმძღვანელობას, იქ ნამდვილად უნდა ჩატარდეს სერიოზული რეფორმები“



GEORGIAN airways

დაგეგმვა და შესყიდვა

ინფორმაცია და მომსახურება

შემოთავაზებები

ჩვენ შესახებ

მოსკოვი

€195-დან

ბილეთის ყიდვა რთული მარშრუტი

გაფრენა

Tbilisi International

ჩაფრენა

Moscow, Vnukovo

- ორი გზა
- ერთი გზა

გაფრენის თარიღი

დეკემბერი 2013

ორ	სამ	ოთ	ხუთ	პარ	შაბ	კვი
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30	31					

ზდასრ. (12+ წ)

1

ბავშვი (2-11 წ)

0

ჩვილი (<2 წ)

0

ძიება

ამსტერდამი
€ 299-დან

მოსკოვი
€ 195-დან

ბათუმი
€ 56-დან

მანila-აზივი
€ 300-დან

ვიენა
€ 299-დან

იერუსალიმი
€ 295-დან

ერევანი
€ 47-დან

ერევანი
€ 328-დან

დაჯავშნეთ ბილეთები online
ჩვენს ვებ-გვერდზე
WWW.AIRZENA.COM



20 წელი თქვენს გვერდით

„აღამიანები დაიბნენ და მოდით, ერთხელ და სამუდამოდ გავარკვიოთ, ვისკენ არის ხალხი“

my View
მირიან ბოქოლიშვილი

პარლამენტში ერთადერთი დეპუტატი ითხოვს ვადამდელ არჩევნებს. სოსო ჯაჭვლიანის რეაქციას კოლეგები დაგვიანებულს უწოდებენ და აცხადებენ, რომ მოქმედი პარლამენტი ან არჩევისთანავე უნდა დაშლილიყო ან საერთოდ აღარ უნდა გაფორმებულიყო ლეგიტიმურობა-არალეგიტიმურობის საკითხი. თუმცა ასე არ მოხდა. თავის დროზე ჯაჭვლიანით სხვებიც ფიქრობდნენ. ამ სხვებში ძირითადად ნინო ბურჯანაძისგან, იგივე „სახალხო კრების-გან“ წამოსული გაპოლიტიკებულნი ადამიანები იყვნენ. დღეს იგივე ნუკრი ქანთარია, გოგი ქავთარაძე ჯაჭვლიანს ემიჯნებიან და აცხადებენ, რომ პარლამენტმა თავისი ვადა ბოლომდე უნდა მიიყვანოს.

სოსო ჯაჭვლიანი, „ქართული ოცნების“ წევრი:

– მე ვთქვი, რომ კარგი იქნებოდა ვადამდელი არჩევნები, მაგრამ ასე ბევრი რამე მინდა. რა თქმა უნდა, ყველაფერი ისე ვერ იქნება, როგორც მე მინდა. აგ-ისხნით, რატომაც მოვიტხოვე ვადამდელი არჩევნები: ჯერ იყო საპარლამენტო არჩევნები, შემდეგ – საპრეზიდენტო. საპარლამენტო არჩევნების დროს, მოგესხნებოდა, როგორი დაძინებული იყვნენ ადამიანები, ისიც იცით, როგორ გააყალბეს ნაციონალურმა მაშინდელი არჩევნები, რამდენი სახელმწიფო რესურსი გამოიყენეს, მაგრამ მიუხედავად მათი ყველაფერის მცდელობისა, მაინც მოვიდა ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“. მიუხედავად ამისა, მაშინ ნაციონალურმა მაინც ბევრი ხმა დაიწერეს, ამდენი მათ ნამდვილად არ მიუღიათ. რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნებს, ამ პერიოდისთვის „ქართულმა ოცნებამ“ ბევრი რამის გაკეთება მოახსნო, მაგრამ ჩვენ ძალიან სუსტი პიარი გვაქვს. მე არ დავიწყებ ახლა იმის ჩამოთვლას, რა გავაკეთეთ, არც გატარებულ რეფორმებზე ვისაუბრებ, თუმცა ფაქტია, რომ ხალხამდე ამ ყველაფერმა ვერ მიაღწია. ამას მე მაშინ მივხვდი, როდესაც საპრეზიდენტო არჩევნებზე ნაციონალური მეორე ადგილზე გავიდნენ. ძალიან გამიკვირდა, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ძალიან მოკლე დროში, უკვე საპრეზიდენტო არჩევნებზე ნაციონალური მეორე ადგილზე გავიდნენ. მართალია, გითხრათ, მეგონა, რომ ისინი საერთოდ ვერ მიიღებდნენ ხმებს გასული ცხრანობიანი რეჟიმის გამო. იგივე მოლოდინი მქონდა თვითმმართველობის არჩევნებზე, ნებისმიერ პოლიტიკურ ძალას ველოდი მეორე ადგილზე, ოღონდ არა ნაციონალურს. სწორედ აქედან გამომდინარე ვთქვი, რომ კარგი იქნებოდა, ვადამდელი არჩევნები ჩატარებულიყო, რადგან ადამიანებს ძალიან დიდი



„რაც შეეხება ბურჯანაძის პარლამენტში შესვლის შესახებ, პარლამენტში შესვლის შესახებ აქვს ყველა იმ პარტიას, რომელმაც ახლა პატარა წარმატებას მაინც მიაღწია“

„ნინო ბურჯანაძის მიერ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნა, მაშინ როცა მეც იბრუნებოდა, მხოლოდ დამთხვევაა, ალბათ, და მეტი არაფერი. ნინო ბურჯანაძისთან პარალელურად გავლენა სწორი არ იქნება“

EXCLUSIVE

სოსო ჯაჭვლიანი: „თვითმმართველობის არჩევნებზე ნებისმიერ პოლიტიკურ ძალას ველოდი მეორე ადგილზე, ოღონდ არა ნაციონალურს“

წარმოდგენა აქვთ საკუთარ თავზე, საკუთარ პარტიაზე. მათ თავად უნდა ნახონ საკუთარი შესაძლებლობები.

– თვითონ ჩამოთვალეთ ბოლო სამი არჩევნები, სადაც ნაციონალური მეორე ადგილზე გავიდნენ, ფიქრობთ, რომ ვადამდელი არჩევნების შემთხვევაში ისინი პარლამენტში ველარ მოხვდებიან?

– ადამიანები დაიბნენ და მოდით, ერთხელ და სამუდამოდ გავარკვიოთ, ვისკენ არის ხალხი. მე რომ მეგონია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნამდვილად ისეა.

– მეგონი, თქვენ უფრო საკუთარ თავს გინდათ დაუბრუნდეთ?

– იყოს ასე. მე ისიც მაინტერესებს, ჩემს შემთხვევაში როგორ იქნება. თუ გარეთ დავრჩები, მაშინ ვიტყვი, რომ ასე იყო საჭირო. სხვა ინტერესი არ მაქვს, მინდა ხალხს მიეცეს საშუალება, ყოველგვარი მანიპულაციების გარეშე ჩატარდეს არჩევნები. ეს ძალიან კარგი იქნება.

– თვითმმართველობის არჩევნები ხომ იყო მანიპულაციების გარეშე?

– იცით, როგორ არის? ნაცი-

ონალურს აქვთ ერთი ძალიან კარგი თვისება – ისინი იქცევიან ისე, როგორც სექტა, მე მათ, როგორც პარტიას, ვერ აღვიქვამ. სექტას აქვს მაგარი თვისება – ისინი ერთიანდებიან დანაშაულის ირგვლივ. როდესაც არჩევნებზე მოდის, მაგალითად, მილიონი ადამიანი, ამ მილიონი ადამიანიდან მათი ამომრჩეველი სტაბილურად არის ერთი და იგივე რაოდენობა. მათი მხარდაჭერები ჯარისკაცების მსგავსად ხმის მისაცემად ნებისმიერ ამინდში, ნებისმიერ დროს ერთი და იგივე პროცენტულად. როდესაც ხალხში გაჩნდა ნიჰილიზმი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვინმემ ნაციონალურს ერთი ხმით მეტი მისცა. ჩვენი შეცდომა სწორედ ის არის, რომ ხალხს უნდა დავანახოთ, რა გავაკეთეთ და ჩვენი მხარდაჭერები გარეთ უნდა გამოვიყვანოთ. ვადამდელი არჩევნები რომ ჩატარდეს, იმ დღეს დილიდან საღამომდე მუხლებზე დაჩოქილი ვივლი და ხალხს შევხვებოდი, ოღონდ არჩევნებზე გამოვიდნენ და ვისაც უნდათ, იმას მისცენ ხმა.

– თქვენი მოთხოვნა ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით ემთხვევა არასაპარლამენტო ოპოზიციის მოთხოვნას, იგივე ნინო ბურჯანაძე უკვე დიდი ხანია, იგივე მოთხოვნას აყენებს, დღეს კიდევ გაქვთ მასთან რაიმე ტიპის ურთიერთობები?

– ნინო ბურჯანაძის მიერ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნა, მაშინ როცა მეც იგივე განვაცხადე, მხოლოდ დამთხვევაა, ალბათ, და მეტი არაფერი. ნინო ბურჯანაძესთან პარალელურად გავლენა სწორი არ იქნება. მე საერთოდ არაფერს ვუშვავ, არც იმდენი თბილისში არაფერი, თანაც ამ ტელევიზიის ფონზე ვერაფერი დავმალავ. როგორც ვიცი, ეს მოთხოვნა მართლაც ნინო ბურჯანაძეს არ აქვს, მეგონი, სხვების მოთხოვნაც არის.

– ბურჯანაძის ძალა თბილისის საკრებულოში შევიდა, როგორ ფიქრობთ, მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე ექნებათ მათ მანია?

– თვითმმართველობის არჩევნებზე ბურჯანაძის გუნდმა თანხი პროცენტი გაამყარეს. ნე-

ბისმიერი პარტია, ვინც არ უნდა იყოს, როდესაც პარლამენტში თუ საკრებულოში შედის, ძლიერდება. მე ვნატობ ისეთ ქვეყანას, ისეთ პარლამენტსა და ისეთ საკრებულოს, სადაც პარტიები ითანამშრომლებენ და ერთმანეთის ჯინაზე არ მოიქცევიან. სწორედ ასეთ დროს დალაგდება ქვეყანა. რაც შეეხება ბურჯანაძის პარლამენტში შესვლის შანსებს, პარლამენტში შესვლის შანსი აქვს ყველა იმ პარტიას, რომელმაც ახლა პატარა წარმატებას მაინც მიაღწია. თუმცა გააჩ-

გუნდურობას მივყვე. მაგრამ როცა წინააღმდეგ მივეცი, ის იყო სოსო ჯაჭვლიანი. რა თქმა უნდა, ანტიდისკრიმინაციულ კანონთან დაკავშირებით მე ჩემი მოსაზრება მაქვს. წარმოიდგინეთ, ერთ დღეს თბილისში თხუთმეტი წლის ბიჭი სამმა ერაყელმა გააუპატიურა. ეს მოხდა მაშინ, როცა ორ-სამ დღეში ანტიდისკრიმინაციული კანონი უნდა მიგვეღო, ტელევიზიებმა ეს ფაქტი გააშუქეს და მართალია გითხრათ, დარწმუნებული ვიყავი, მთელი საზოგადოება გამოვიდოდა ქუჩაში. შენც არ მომიკვდე, ერთი კაცი არ გამოსულა გარეთ. ანუ საზოგადოება როგორ იქცევა? ასეთ ფაქტებზე არავითარ რეაგირებას არ ახდენს. აბა, წარმოვიდგინოთ თითოეულმა ჩვენგანმა, რომ ეს თხუთმეტი წლის ბიჭი არის ჩვენი შვილი... საზოგადოებამ მაშინ საკუთარი რეაქცია აჩვენა და ის იყო ნული. იმ თხუთმეტი წლის ბიჭზე სწორი რეაქცია რომ ჰქონოდა საზოგადოებას, ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა. როდესაც ანტიდისკრიმინაციულ კანონს მესამე მოსმენით ვიღებდით თხუთმეტი წუთით ადრე გამოვიდოდა გარეთ და კაციშვილი არ იღებდა. მანამდე სასულიერო პირები იყვნენ, მაგრამ ისინიც დაიშალნენ, თითქოს ისეთი რამ ხდებოდა, რაც მისაღები იყო. შე კაი ადამიანო, ერთი საათი თუ იდეტი, თხუთმეტი წუთი კიდევ მოგეთმინა და მდგარიყავი. მე კი არ განვიკითხავ, უბრალოდ, რას ნიშნავს ასეთი დამოკიდებულება მათი მხრიდან? საქართველოში არასოდეს არავინ დასჯილა იმის გამო, რომ განსხვავებული იყო პიროვნულად, თვისებებით, ორიენტაციით. აქ საუბარია უბრალოდ რაღაცაზე: მე ჩემი ცხოვრების წესი მაქვს, სხვას სხვანაირი წესი აქვს, რა თქმა უნდა, ფარდის უკან ვერაფერი ვერ გავაკონტროლებ, რას გავაკეთებ, მაგრამ ერთმანეთს ხელი არ უნდა შევუშალო.

– ანუ გუნდში დაპირისპირება არ გქონია?

– იცით, კოალიცია რითია კარგი? შენ იქ მონასავით არ ხარ, ყველას საკუთარი აზრი აქვს და ამის გამო არც მე შემიძნია პრობლემა.

„სოსო ჯაჭვლიანს არაფერი ეშლება, მაგრამ მერა გუნდში ჭრელად რომ არ გამოჰჩენილიყავი გუნდურობას მივყავი. თუმცა როცა წინააღმდეგ მივეცი ხმა, ის იყო სოსო ჯაჭვლიანი“



„მინდა ხალხს მიეცეს საშუალება, ყოველგვარი მანიპულაციის გარეშე ჩატარდეს არჩევნები“

ბურჯანაძე & ჩხარტიშვილი



ნინო ბურჯანაძისთვის ქვეყანაში განგაშის ზარის დროა. ზუსტად ასეთი შინაარსის მესიჯი გაუგზავნა მან მოსახლეობას საკუთარი კაბინეტიდან. კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ დრო გადის, ხელისუფლებები იცვლებიან, ბურჯანაძე კი თავის ძველ აღმფრთვებელს ჩარჩენილი. როგორც ჩანს, ის მანამ აპირებს ხელისუფლების სათავეში მყოფი პოლიტიკური გუნდის კრიტიკას, სანამ იქ საკუთარ თავს არ იხილავს. თავისუფლად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კრიტიკა სამუდამო იქნება... თუმცა ფაქტია, რომ თვითმმართველობის არჩევნებში დაგროვებულ პროცენტებზე წუნუნის მაგივრად „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ხმაურისთვის აბსოლუტურად განსხვავებული თემა შეარჩია: ტერიტორიული მთლიანობა თუ, როგორც თავად უნოდებს, „რომელიც ორგანიზაციაში განვითარდება?“ საპასუხოდ მან პარლამენტის თავმჯდომარისგან გულწრფელი რჩევა მიიღო, თავშეკავება ცუდი უნარი არ არის პოლიტიკოსისთვის... ნინო ბურჯანაძე არ ითვლისწინებს დავით უსუფაშვილის რჩევას და ახლა რუსული თემის წამოწვევით ცდილობს, საკუთარი მხარდამჭერების რიცხვის გაზრდას. როგორც ექსპერტები ამბობენ, პრორუსულმა ძალებმა საკრებულოებში შესვლა სწორედ არჩევნებზე მოსული ამომრჩევლის დაბალი მარჩვენების წყალობით მოახერხეს. ბუნებრივია, მათ სასარგებლოდ კონკრეტული ადამიანებიც მუშაობდნენ. ერთ-ერთ ასეთ „კონკრეტულ ადამიანად“ ბიზნესმენი ვანო ჩხარტიშვილი დასახელდა. რამდენიმე დღის წინ ინტერნეტში ფარული ჩანაწერი გავრცელდა შემდეგი სახელწოდებით: „ვანო ჩხარტიშვილი ბურჯანაძეს ფარულად აფინანსებს“. არავის და მათ შორის არც „პრაიმტიმს“ ჰქონია მოლოდინი, რომ აღნიშნულ ფაქტს რომელიმე მხარე ღიად დადასტურებდა. ბურჯანაძემ ფარულ ჩანაწერს, საერთოდაც, იგნორირება გაუკეთა. იგივე ხერხს მიმართეს მისმა მომხრეებმაც. გია კობახიძის განცხადებით, მსგავსი ჩანაწერი არც უნახავს და არც მის შესახებ გაუგია რაიმე. შალვა ოგბაიძემ პასუხისთვის პარტიის ხელმძღვანელობასთან გადაგვამისამართა. პრესცენტრში კი საბოლოოდ პირდაპირ გაგვიცხადეს, რომ კითხვებზე პასუხებს ტყუილად დაველოდებოდით, რადგან მათ, უბრალოდ, ვერ მივიღებდით...

თავად ჩხარტიშვილმა „პრაიმტიმთან“ საუბრისას განაცხადა, რომ თბილისში არ იმყოფება და მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე ინფორმაციას არ ფლობს.

ვანო ჩხარტიშვილი:

- არ ვარ საქართველოში, შესაბამისად, არ ვიცი, რა ხდება კონკრეტულად.
- გავრცელდა ჩანაწერი, რომ თქვენ ფარულად აფინანსებთ ნინო ბურჯანაძეს...
- სრული აბსურდია, არ ვიცი, რაზე საუბრობთ, საერთოდ. არ ვიცი, რატომ გავრცელდა მსგავსი ინფორმაცია.
- არც შეხვედრა ყოფილა თქვენ შორის, ან რაიმე ტიპის კონსულტაციები?
- არა, არაფერი მსგავსი არ ყოფილა. ჩემი ბიზნესგამოცდილებითა და კავშირებით მეტ სარგებელს მოვუტან ქვეყანას. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მთელ საქართველოს მივულოცო ევროკავშირთან ასოციაციის შეთანხმებაზე ხელმოწერის ისტორიული დღე. ხელისუფლებამ წარმატებით დაძლია ყველა სირთულე ამ გზაზე და ამჯერად, უკვე თითოეულ ჩვენგანზე და მოკიდებული როდის გავხდებით ევროპის ოჯახის სრულფასოვანი წევრი. ამასთანავე, ჩემთვის ევროპელობა ნიშნავს იმას, რომ ე.წ. ფარული ავტორის ე.წ. ფარული ჩანაწერი და მისი ფარული გეგმ-



ოზურბათის ამოვრჩევი: „ოზურბათში ჩხარტიშვილის ხალხი ბურჯანაძის სასარგებლოდ მუშაობდა და გაჟორიტარებში გაიხარჯვეს კიდეც“

ები სერიოზული განხილვის საგანი არ უნდა იყოს, მაგრამ რადგანაც კითხვა დაისვა, გიპასუხებთ: მე წლებია, მეგობრული ურთიერთობები მაკავშირებს ქართული პოლიტიკური სექტორის მრავალ წარმომადგენელთან როგორც ხელისუფლებაში, ისე ოპოზიციაში. რა თქმა უნდა, ბევრ მათგანს ვხვდები და ღიად ვსაუბრობთ ქვეყნის სხვადასხვა საჭირობოთ საკითხებზე, მაგრამ პოლიტიკურ თამაშობაშია და დაფინანსებაზე არავისთან მქონია არც ფარული მოლაპარაკება და არც ფარული გარიგება. ეს ჩემთვის მიუღებელია. მე ბიზნესმენი ვარ და ვფიქრობ, ჩემი ბიზნესგამოცდილებითა და კავშირებით მეტ სარგებელს მოვუტან ქვეყანას, რომელიც ევროკავშირთან ინტეგრაციისთვის სერიოზულ ინვესტიციებს საჭიროებს.

ით არ დანებდებოდა. გავრცელებული ინფორმაციით, ბიზნესმენმა ფინანსური დახმარება „დემოკრატიულ მოძრაობას“ 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზეც გაუწია. აღნიშნულ ინფორმაციას გურიის ადგილობრივი სააგენტო საპრეზიდენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე ავრცელებდა, რომლის თანახმადაც, ცნობილი ქართველი ოლიგარქი, ვანო ჩხარტიშვილი და შსს-ს გადამდგარი გენერალი და ყოფილი მინისტრის, კახა თარგამაძის ყოფილი პირველი მოადგილე, ზურაბ ჩხაიძე, საპრეზიდენტო არჩევნებში, პრეზიდენტობის კანდიდატის, ნინო ბურჯანაძის საარჩევნო შტაბში უნდა ყოფილიყვნენ. მათივე განცხადებით, ინფორმაციას როგორც ჩხარტიშვილის, ასევე ჩხაიძის გარემოცვა ადასტურებდა. მაშინ ზურაბ ჩხაიძემ საკუთარი არჩევანი სოციალურ ქსელ „facebook“-ის მეშვეობით გაავრცელა და მისი ბურჯანაძესთან ყოფნა დადასტურდა. მოგვიანებით თარგამაძის ყოფილი მოადგილის ბურჯანაძის შტაბში განვითარებულ ადგილობრივმა ოფისმაც დაადასტურა:

მანანა სალუქვაძე, „დემოკრატიული მოძრაობის“ პოლიტსაბჭოს წევრი, გურიის კოორდინატორი:

- ბატონი ზურაბ ჩხაიძე ჩვენ გვერდშია, რაც ძალიან გვახარებს. რაც შეეხება ვანო ჩხარტიშვილს, ვერაფერს ვეტყვი, ამის შესახებ ინფორმაციას არ ფლობ.
- ადგილობრივები მაშინაც აცხადებდნენ, რომ ჩხარტიშვილი ჩრდილოდ დარჩენა არჩია. ლოგიკურია, რომ დღესაც იგივე არჩევანს აკეთებდეს. მიუხედავად ამისა, ექსპერტები ჩხარტიშვილი-ბურჯანაძის „კოალიციაში“ ორ მიზნზე ხედავენ. ერთის თანახმად, მათი პოლიტიკური ინტერესები პირადი კავშირებით აიხსნება.

ზოგადი პოლიტიკური კონტექსტისა ჩხარტიშვილსა და ბურჯანაძეს შორის შესაძლებელია, იყოს პირადი



სახიფათო არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური ძალის მხარდაჭერა, ალბათ, ჩხარტიშვილმაც გადაწყვიტა ბურჯანაძის მხარდაჭერა. ძალიან ბევრ ქვეყანაში სწორედ პირადი ურთიერთობების ხარჯზე ხდება პოლიტიკური მხარდაჭერა.

- შეიძლება აიხსნას, რა ინტერესი უნდა ჰქონდეს ჩხარტიშვილის პრორუსული ძალის გაძლიერების?

- მე აქ ვერ გამოვდგები, რადგან არ ვიცი, რომ ნინო ბურჯანაძე პრორუსული ძალაა. მოსახლეობაში, მედიაში, პოლიტიკურ წრეებში ასეთი იარაღების მიწებება პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთი საშუალებაა. საქართველოში პრორუსული ძალა მე არ მეგულება.

მეორე ვერსიის მიხედვით კი, ბურჯანაძე ჩხარტიშვილისთვის, უბრალოდ, პოლიტიკური რჩეული ან მიღებული დავალებია...

თორნიკე პარაშენიკა: „ვფიქრობ, ჩხარტიშვილი უფრო სხვის დავალებას ასრულებს, ბურჯანაძის გაძლიერების გეგმების შესრულებას“



რამაზ საყვარელიძე, ექსპერტი:

- ჩხარტიშვილის დამოკიდებულება აღრინდელი ხელისუფლების მიმართ ცნობილია, მისთვის „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლა მისასალმებელი იყო. გარდა ასეთი ურთიერთობები და სწორედ ამ ურთიერთობების ფარგლებში მომხდარიყო მხარდაჭერა, მათ შორის ფინანსური. უფრო ვგარაუდობ, რომ მათ შორის პირადი ურთიერთობები იყოს და რადგან თავისუფალი არჩევნები იყო და

ქეთი ხატიაშვილი

ზურაბ ჟვანიას ისტორიული სიტყვიდან, – მე ვარ ქართველი მაშასადამე, ვარ ევროპელი, – სტრასბურგში, ირაკლი ღარიბაშვილის ისტორიულ ხელმოწერამდე ბრიუსელში და საქართველო უკვე ევროპის ასოცირებული წევრია.

90-იან წლებში დაწყებული ევროპული პოლიტიკა ახალმა ხელისუფლებამ გადაიბარა. საქართველოში ახალი რეფორმების ბუმი დაიწყო და სწორედ ამაზე იქნება დამოკიდებული ახალი პოლიტიკური გუნდის წარმატება.

საქართველო, მოლდოვა და უკრაინა – ევროპის ახალი ასოცირებული წევრები ჰყავს. სამი პოსტსაბჭოთა ქვეყანა კიდევ უფრო მეტად დაშორდა პროპუტინისტურ ორბიტას. რომ არა საბჭოთა წარსული, შესაძლოა, ამ ქვეყნებს ბევრი საერთო არც ჰქონოდათ, თუმცა, ახლა ისინი ცდილობენ, ერთად დაძლიონ ევროპული განვითარების გზაზე წარმომობილი პრობლემები.

რა აერთიანებთ დღეს ამ ქვეყნებს? ეს რუსეთის მხრიდან ოკუპირებული ტერიტორიებია. საქართველოს შემთხვევაში საუბარია აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე, მოლდოვას სერიოზული პრობლემები აქვს დნესტრისპირეთში, უკრაინის აღმოსავლეთით კი რუსული ტანკები ამ დრომდე იბრძვიან.

ამ გზით რუსეთი ცდილობდა პოსტსაბჭოთა სივრცეში საკუთარი ძალის დომინირებას. ახლა ეს ქვეყნები ცდილობენ, საკუთარი ქვეყნების განვითარებითა და მოდერნიზებით უპასუხონ რუსეთის უხეშ პოლიტიკას და განვითარების დონით მიმზიდველები გახდნენ ოკუპირებული რეგიონებისთვის.

შემთხვევითი არ იყო, რომ ხელმოწერის ცერემონიაზე ირაკლი ღარიბაშვილმა ბრიუსელიდან მიმართა აფხაზეთსა და ცხინვალში მცხოვრებ მოქალაქეებს:

– მინდა, აქედან მივმართო ჩვენს ძმებს – აფხაზეთსა და ოსებს: თქვენ, თითოეულ ჩვენგანთან ერთად, სრულად ხართ ამ პროცესის თანაზიარი და თანამონაწილე. მე მჯერა, თქვენ ისარგებლებთ ყველა ამ სიკეთით – იქნება ეს ევროკავშირთან ბიზნესის კეთება, უფრო მიმოსვლა, საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობა თუ სხვა.

საქართველოს პრემიერმა თავის გამოსვლაში სხვა მესიჯებზე გააუარა:

საქართველოს ეძლევა ისტორიული შანსი, რომ დაუბრუნდეს თავის ბუნებრივ გარემოს, ევროპას... დღევანდელი დღით იწყება სრულიად ახალი ეტაპი საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობაში. დღევანდელი დღე კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ საქართველო არის დემოკრატიული და ევროპული ქვეყანა, ეს დღე იმ დიდი გზის დასაწყისია, რომელმაც უნდა გააღრმავოს და განამტკიცოს ჩვენი ურთიერთობები... ჩვენ ვთავაზობთ ბიზნესს დინამიკურ ბაზარს, ევროპულ ენერჯოუსაფრთხოებას – ალტერნატიულ უსაფრთხო დერეფანს, ხოლო საერთაშორისო სტაბილურობისათვის – სამხედრო პარტნიორობას

არც საქართველო, არც უკრაინა და არც მოლდოვა საკუთარ თავს ევროპის ნაწილად არ განიხილავს ოკუპირებული ტერიტორიების გარეშე. და რა თქმა უნდა, ამ ქვეყნების მთავრობების ძალისხმევა მიმართული იქნება, პირველ რიგში, სწორედ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისკენ. ძირითადი პოლიტიკური ხაზი ასეთია – რაც შეიძლება მიმზიდველები გახდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისთვის, რომ მათ ბუნებრივი არჩევანი გააკეთონ. რუსეთი არც თავის უშუალო პარტნიორებს და არც მიტაცებულ ტერიტორიებს განვითარების უფლებას არ აძლევს.

უკრაინისკენ

სამართლიანობა მოითხოვს, აღნიშნოს, რომ საქართველო ნამდვილად გამოირჩევა როგორც უკრაინისგან, ისე მოლდოვისგან. საქართველომ რუსეთის ყველანაირ ზეწოლას გაუძლო და გადაიარა, გამოიარა რუსეთთან ომი, როგორც სამხედრო, ისე ეკონომიკური, მოახერხა, ენერჯომატარებლებით არ ყოფილიყო დამოკიდებული კრემლის პოლიტიკაზე. უკრაინა ახლა 90-იანი წლების საქართველოს ჰგავს, ყირიმი აფხაზეთის ანალოგიური მოვლენა იქცა; მოლდოვა კი 100%-ითაა დამოკიდებული რუსულ გაზსა და ელექტროენერჯიაზე. აქ ახლა ექებენ ალტერნატიულ მარშრუტებს. ამ

ფონზე საქართველოს უპირატესობა ამკარა.

ხელშეკრულებას სამივე ქვეყნიდან ახალი თაობის პოლიტიკოსებმა მოახერხეს ხელი. სწორედ მათ მოუწევთ, გააგრძელონ წინამორბედების დანაშაულები გზა.

ამ თაობის ამოცანა განსხვავებული არ არის. მათაც მოუწევთ პოლიტიკაში ბუნების ხიდზე გავლა რუსეთსა და საკუთარი ქვეყნის უკეთეს მომავალ შორის. თუმცა, განმასხვავებელი ნიშანი რუსეთთან მათი დამოკიდებულება – მეტი კონსტრუქტივიზმი და ნაკლები აგრესია. იმისა და დესტრუქციული მოქმედებების მიუხედავად, პოროშენკო ცდილობს, რუსეთთან დიალოგის რეჟიმი შეინარჩუნოს.

ასე იყო ბალტიის ქვეყნებშიც, რუსეთმა მათი „დაკარგვა“ მტკიცებულად განიცადა. ლიტვა, ლატვია და ესტონეთი დღემდე რჩება პუტინის თავის ტყვილიად. ლიტვაზე ხელი უფრო ადვილად მოუწვდებოდა, ამიტომაც პრობლემებს დღემდე უქმნიან იქ მცხოვრები რუსულენოვანი მოქალაქეების მეშვეობით. უკვე ევროკავშირისა და ნატოს წევრმა ლიტვამ არჩევნებში რუსულენოვან მო-

სახლეობას მონაწილეობის უფლება არ მისცა, რომ პოლიტიკურ სპექტრში პროლასავლური განწყობები შეენარჩუნებინა.

ასე იქნება საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის შემთხვევაში. რუსეთი შეეცდება, ყველაზე მეტი სისუსტის მატარებელი ქვეყანა დააზიანოს. ამიტომაც იყო მნიშვნელოვანი ის, რომ საქართველოს წინამორბედმა ხელისუფლებებმა მათი შესაძლებლობების ფარგლებში ყველაფერი გააკეთეს იმისთვის რომ ევროპული პოლიტიკა შეუქცევადი გამდარიყო.


ელზარდ შევარდნაძემ პროდასავლური ვექტორი აიღო და საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია სწორედ დასავლეთისკენ მიმართა, ზურაბ ჟვანია იყო პირველი პოლიტიკური ფიგურა, რომელმაც ევროპული პოლიტიკური მიმდინარეობა შექმნა და რეფორმატორთა გუნდი წამოაყალიბა, სააკაშვილმა პროცესები მნიშვნელოვნად დააჩქარა და ეს კურსი შეუქცევადი გახდა, ღარიბაშვილმა ყველა ამ წინაპირობის შედეგად ასოცირებული ხელშეკრულებას ხელი მოახერხა. ახლა ესტაფეტა სწორედ ირ-



ირაკლი ღარიბაშვილი: „საქართველოს ექვსეუნი ისტორიული შანსი, რომ დაუბრუნდეს თავის ბუნებრივ გარემოს, ევროპას“



ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებების პოლიტიკური და ეკონომიკური ეფექტები



მცირე მენაწილები და ფიზიკური პირები განთავისუფლებული არიან ამ რთული მოთხოვნებისგან

აკლი ღარიბაშვილმა ჩაიბარა და, უფანიასა და სააკაშვილის მსგავსად, მას მოუწევს, შექმნას ისეთი გუნდი, რომელიც საქართველოში რეფორმებს გააგრძელებს. მით უფრო, რომ ახლა გაცილებით რთული გამოწვევების წინაშე ვდგავართ.

თბილისმა წლები არ დაკარგა საიმისოდ, რომ ნაკლებად ყოფილიყო რუსეთზე დამოკიდებული. უკრაინა და მოლდოვა სხვა შემთხვევაა, თანაც პუტინისთვის ამ ეტაპზე უკრაინული ბაზრის დაკარგვა საკუთარი ოცნების ჩაფლავებას ნიშნავს. ევრაზიული კავშირი კი ვეცის გარეშე არაფერზე იქნება. ამიტომაც მის მიერ რუსეთთან ომი ცდილობს; მოლდოვა ევროპის კონტინენტზე ყველაზე ღარიბი ქვეყანაა, თუმცა ევროპამ მისთვის კარის გაღება მაინც გადაწყვიტა, მოსახლეობის მისაზიდად კი მას უპირობოდ მისცა უვიზო მიმოსვლის უფლება. მხოლოდ საქართველოს ჰქონდა მთაბმეჭდავი მიღწევები, გარკვეულ სფეროებში მეტად და ზოგიერთ სფეროში ნაკლებად, მაგრამ, რეფორმების მხრივ, საქართველო მონივრულ ქვეყნად რჩება.

როგორც ჩანს, ევროპისთვის ახლა მნიშვნელოვანია, პუტინის საბჭოთა კავშირის რენიშავის საშუალება არ მისცეს. აქამდე, იმ იმედით, რომ ევროპა ეკონომიკურად სუსტი და პოლიტიკურად არასტაბილური ქვეყნების მიღებაზე უარს იტყობდა, რუსეთი აგრძელებდა ამ ქვეყნების განვითარების სფეროებზე სხვადასხვა მეთოდებით, პარალელურად კი პოსტსაბჭოთა სივრცის აღდგენაზე მუშაობდა.

ასე რომ, ევროპას ან ახლა უნდა ემოქმედა, ან ერთ შევნიერ დილასაც ევროპელი ლიდერები საკუთარი პოლიტიკური ფანჯრებიდან ისევ რკინის ფარდას დაინახავდნენ.

რუსეთისადმი დამოკიდებულება

უფანია რუსეთთან დიპლომატიის ფორმატს უჭერდა მხარს და სანამ ცოცხალი იყო, ცდილობდა, ბალანსი არ დაერღვია დასავლეთსა და რუსეთს შორის. შურაბ უფანის ოცნება ევროპული სახელმწიფოს შექმნა იყო და თუ ამ გზაზე მოსკოვთან საუბარი საჭირო გახდებოდა, ბუნებრივია, ამაზე უარს არ იტყობდა.

დარწმუნებული ვარ, მოგვიანებით უკვე სააკაშვილმაც დაინახა, რომ რუსეთთან რადიკალურმა პოლიტიკამ არ გაამართლათ, თუმცა უკვე ძალიან გვიანი იყო...

ასე რომ, სრულიად გაუგებარია, რატომ იწვევს ზოგიერთი ექსპერტის რისხვას ირაკლი ღარიბაშვილისა და მისი გუნდის ასევე ზომიერი დამოკიდებულება რუსეთისადმი.

ახლა ევროპაში ყველა ცდილობს, რუსეთი ზედმეტად არ გააღიზიანოს, აუხსნას, ვიდრე ექსპორტის ან გამოწვევის. ევროპაც და იმ ქვეყნების ლიდერებაც, ვინც ხელშეწყობდა ახალ მოსწრეს, ერთხმად ირწმუნებოდნენ, რომ ხელშეწყობა არავის წინააღმდეგ მიმართული არ არის და რომ რუსეთთან მოლაპარაკებების პროცესი გაგრძელდება.

– მოლდოვის ევროკავშირთან დაახლოების პროცესი აბსოლუტურად გამჭვირვალაა, დასამართლო არაფერი გვაქვს და ეს ხელშეწყობა რუსეთთან თანამშრომლობას არ ეხინააღმდეგება. – **ეს მოლდოვის პრემიერმა ლიანკემ განაცხადა.**

– ეს ხელშეწყობა არავის წინააღმდეგ არ არის მიმართული, უკრაინა შეიძლება გახდეს ხიდ რუსეთის საავტოო ტერიტორიისა ევროკავშირის ბაზარზე, – **ეს უკრაინის პრეზიდენტის პროშენკოს შეფასებაა.**

– 2012 წლიდან, რაც ჩვენ მთავრობაში მოვედით, დავიწყეთ ურთიერთობა რუსეთთან. რუსეთმა, თავის მხრივ, აჩვენა პოზიტიური, თანამშრომლური ურთიერთობები, ვერ ვხედავ ვერანაირ გათვლებებს, რომელიც შეიძლება წამოვიდეს რუსეთიდან. ძალიან დიდ საფრთხეს უქმნის რუსეთი უკრაინას, დარწმუნებული ვარ, რომ პროშენკო გამონახავს გზას, რათა დაინწყოს დიპლომატიური ურთიერთობა ისინი გამოვიდნენ ამ კრიზისიდან. – **ეს საქართველოს პრემიერის ღარიბაშვილის განმარტებაა.**

– თუ რუსეთი ჩათვლის, რომ საქართველო, მოლდოვისა და უკრაინის მიერ ხელმოწერილი ასოციაციების შეთანხმებები ევროკავშირთან მის ეკონომიკას ზიანს აყენებს, ის საკუთარი თავის დასაცავად ზომებს მიიღებს... ჩვენ მზად ვართ კონსულტაციებისთვის

ნებისმიერ ფორმატში. მაგრამ, როგორც კი ძალში მევა ხელშეკრულებები, რომლებსაც დღეს-ს დღისთვის ვაჭრობის ხელშეკრულებით ჩვენი პარტნიორები ევროკავშირთან აფორმებენ, და ჩვენ გავიგებთ, რომ ეს ნეგატიურად აისახება თავისუფალი ვაჭრობის ზონის ფუნქციებზე, იმ პრობლემზე, რომლითაც ჩვენ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გავწევრდებით, ჩვენ, რა თქმა უნდა, მივიღებთ დამცვე ზომებს ვიშ-ს ნების სრული დაცვით, – **ეს უკვე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ლავროვის რეაქციაა.**

საქართველო უკვე მზად არის, მოლაპარაკებები გამართოს რუსეთთან და დიპლომატიის რეჟიმში დაარსდნის მოსკოვი, რომ ხელშეკრულება მის ინტერესებს არანაირად არ ეხება. უკრაინაში პროშენკო კრემლთან დიპლომატიის ემზადება, სტაბილურობის შენარჩუნებისთვის მოლდოვაც ეძებს გზებს მოსკოვისკენ.

ასე რომ, როცა ევროპას თავად აქვს ზომიერი პოლიტიკური კურსი, საქართველოს ხელისუფლება ვერ იქნება ამოვარდნილი და თავისი პოლიტიკით მივარეზე ვერ გადაჯდება.



ეკონომიკური მხარე

ახლა, რაც შეეხება თავად ხელშეკრულებას, ეს ეკონომიკური ხასიათის დოკუმენტია და ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის ისახავს მიზნად.

ანუ საქართველოში ნებისმიერ მენარმეს, თუკი ის საკუთარ წარმოებას შეუსაბამებს ევროპულ სტანდარტებს, საშუალება ექნება, საკუთარი პროდუქტი ევროპის ბაზარზე გაიტანოს. ბაზარი ამჟღერად 28 ქვეყანასა და 500 მილიონზე მეტ მომხმარებელს მოიცავს.

სათქმელად ადვილია, შესასრულებლად კი ეს სულაც არ არის მარტივი. საქართველოში ფართომასშტაბიანი რეფორმების მორიგი ციკლი უნდა დაიწყოს.

ხელშეკრულებაზე მუშაობა დახურულ ფორმატში მიმდინარეობდა. ეკონომიკის სამინისტროს მხრიდან სამუშაო პროცესში მინისტრის მოადგილე მიხეილ ჯანელიძე იყო ჩართული. ის ამბობს, რომ დახურულ ფორმატში მუშაობა ევროკავშირის მოთხოვნა იყო და არა ქართული მხარის.

– ევროკავშირის მოთხოვნა იყო, მოლაპარაკებების პროცესი დახურული ფორმატით წარმართულიყო. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობა შესაბამის დანიტერესებულ ჯგუფებთან კონსულტაციებს არ მართავდა. ცხადია, ვერ ვისაუბრებდით დეტალებზე, მაგრამ ვსაუბრობდით ზოგადად... შესვედრები იგეგმებოდა შესაბამის თემატურ ჯგუფებთან, სხვადასხვა სექტორების წარმომადგენლებთან და ვიზილაჟით ყველა საკითხს, რომელიც მნიშვნელოვანი იყო დაინტერესებული მხარეებისთვის.

– **უკვე ცნობილია, რა დაჯდება ეს რეფორმა?**

– რეფორმა არ არის ერთჯერადი, ის წლების განმავლობაში ეტაპობრივად განხორციელდება. შესაბამისად, ერთი კონკრეტულ ციფრზე საუბარი ნაადრევია.

ეს შეთანხმება გულისხმობს სხვადასხვა სფეროში რეფორმის გატარებას. ერთ-ერთია უსაფრთხოებისა და უვნებლობის მოთხოვნების ევროკავშირის მოთხოვნებთან დაახლოება, უვნებლობის მოთხოვნები სურსათის პროდუქციაზე, უსაფრთხოება ინდუსტრიულ

პროდუქციაზე. ეს არის ერთი მიმართულება. დღეს, მაგალითად, თავლი ან ხორცი ევროპულ ბაზარზე ვერ შედის, იმიტომ რომ ჩვენთან არ არის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, არ არის სათანადო რეგულაციები დაწესებული, ვერ კიდევ არ ხდება ამ სფეროს ევროპულ დონზე ზედამხედველობა...

– **თქვენ თავლის მაგალითი მოიყვანეთ, აუიოტაჟი გამოიწვია ყველის მაგალითმა, ითქვა, რომ გლეხები დოკუმენტზე ხელმოწერის შემდეგ ვეღარ შეძლებენ ყველის სახლებში წარმოებასა და გაყიდვას...**

– რა თქმა უნდა, გლეხისთვის, რომელიც ყველს სახლში აწარმოებს, რთული იქნება ევროპული რეგულაციების შესრულება და უვნებლობის მოთხოვნების დამკაყოფილება.

ამ მხრივ, მინდა გითხრათ, რომ სურსათის უვნებლობის კოდებში შევიტანეთ ცვლილებები. კოდების თანახმად, მკირე მენარმეები და ფიზიკური პირები განთავისუფლებული არიან ამ რთული მოთხოვნებისგან.

ჩვენ ვიცით, რა მოთხოვნები აქვს დღეს საქართველოს ეკონომიკას რისი დაკმაყოფილება შეუძლიათ დღეს ქართველ მენარმეებს და ამ შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების მიხედვით ვსაზღვრავთ ევროკავშირთან დაახლოების ეტაპებსაც.

სურსათის უვნებლობის სფეროში იგივე რთვე, ხორციზე თევზზე სურსათის უვნებლობის სააგენტომ და სოფლის მეურნეობამ შეიმუშავა სამოქმედო გეგმა, რომელიც გულისხმობს 2014-2020 წლებში დაახლოებით 83 ევროპული დირექტივის დანერგვას. იქნება ზოგადი დირექტივები და სექტორალურიც, რომელიც მხოლოდ ხორცს ან რომელიმე სხვა კონკრეტულ პროდუქტს შეეხება, რომ ის უვნებლად ჩაითვალოს.

ხელმოწერიდან 6 თვის განმავლობაში გაიწვევა კონკრეტული ნუსხა, ამ ნუსხას ექნება ვადები. პირობითად ვიტყვი, მაგალითად, თევზის შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს 15 წელი, ყველის შემთხვევაში – 5 და ასე შემდეგ. ეს ნუსხა გაითვალისწინებს საქართველოს პრიორიტეტებსა და შესაძლებლობებს.

– **არსებობს ნუსხა, ჩამონათვალი სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა, რომელიც ევროპის ბაზარზე არ შევა? არის გარკვეული აკრძალვები?**

– არანაირი აკრძალვები არ არის, არის მხოლოდ შესაძლებლობები, ყველას ეძლევა შესაძლებლობა, ევროკავშირის ბაზარზე შევიდეს.

– **ითქვა, თითქოს ნიორზე შეზღუდვები დანესდა...**

– ნიორი ერთადერთია, რაც სატარიფო კე-ოტაში ხდება. ანუ 220 ტონის ქვეშ საბაჟოს გადასახადის გარეშე შევა ევროპის ბაზარზე, ხევი დაუნეღებია გადასახადი.

– **ბალტისპირეთში თევზზე დანესდა კე-ოტა და ეს ქვეყნები დიდ სირთულეებს წაანყენენ...**

– ევროკავშირმა საქართველოს ყველაზე ამბიციური შეთავაზება გაუკეთა. ყველა საავტოო პარტნიორთან, ვისთანაც გახსნილი აქვს სოფლის მეურნეობის სექტორი, ევროპას დღეს დანესაბამისი აქვს კე-ოტები ან გადასახადები, მათ შორის თურქეთთანაც, რომელიც საბაჟო კავშირის წევრია, ანუ მათ ერთი საზღვარი აქვთ. სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მათაც კი არ აქვთ გადასახადი ბაზარი, ისიც ხდება კე-ოტის ან საბაჟო გადასახადების ქვეშ. საქართველოსთან არ იმოქმედებს არც კე-ოტა და არც გადასახადი. ეს კი ერთ-ერთი წინაპირობაა იმისთვის, რომ სოფლის მეურნეობაში ინვესტიცია განხორციელდეს.

სხვათა შორის, პირველი შეთავაზება, რაც ევროკავშირმა გაგვიკეთა, საბაჟო გადასახადების კუთხით კე-ოტებსაც შეიცავდა და შეზღუდვებიც იყო, მუშაობის პროცესში მივაღწიეთ მის მოხსნას.

– **რუსეთის ბაზარი რა გავლენას იქონიებს ევროპულ სტანდარტზე, ქვევით ხომ არ დასწევს?**

– რუსეთიც ცდილობს, თავისი სტანდარტები ევროპის სტანდარტებს მოუახლოს. საქართველოში მენარმეს შეეძლება, ნებისმიერი სტანდარტით აწარმოოს პროდუქტი, მისი ინტერესების შესაბამისად, ანუ აწარმოოს იმ სტანდარტის მიხედვით, რომელიც მას სჭირდება – რუსეთის ბაზრისთვის თუ ევროკავშირის ბაზრისთვის.



საქართველო-ევროკავშირის მოკლე ისტორია:

– საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები 1991-92 წლებში დაიწყო, მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. 1992 წლიდან საქართველომ დაიწყო ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამა – **TACIS**, რომლის მიზანი იყო ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და დემოკრატიის განმტკიცების პროცესის ხელშეწყობა.

– 1996 წლის 22 აპრილს ლუქსემბურგში ევროკავშირისა და საქართველოს შორის ხელი მოეწერა პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას (**PCA**). პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების (**PCA**) ფარგლებში, შექმნილია საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ინსტიტუტები, რომელთა მიზანია **PCA**-ს განხორციელების ხელშეწყობა და ორმხრივი ურთიერთობებისა და პოლიტიკური დიალოგის გაღრმავება. ეს ინსტიტუტებია: საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის საბჭო; საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის კომიტეტი; საქართველო-ევროკავშირის საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტი და საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ქვეკომიტეტები.

– 1997 წლის 1-ლი სექტემბრიდან, საქართველოს პარლამენტის დადგენილების შესაბამისად, საქართველომ დაიწყო ქვეყნის კანონმდებლობის პარამონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

– 2004 წლის 17 თებერვალს საქართველოს მთავრობაში შეიქმნა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის თანამდებობა.

– 2004 წლის 14 ივნისს ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველო ჩაერთო ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში.

– 2006 წლის 14 ნოემბერს მიღებულ იქნა საქართველო-ევროკავშირის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა.

– 2009 წელს საქართველო ჩაერთო „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივაში, რომელსაც ფორმალურად საფუძველი ჩაეყარა 2009 წლის 7 მაისს პრალის სამიტზე.

– 2009 წლის 30 ნოემბერს, ქ. ბრიუსელში ხელი მოეწერა „პარტნიორობა მოხელთრობისთვის“ ერთობლივ დეკლარაციას, ხოლო საქართველოსა და ევროკავშირის შორის თანამშრომლობა ოფიციალურად დაიწყო 2010 წლის 16 თებერვალს.

– 2010 წლის 17 ივნისს ქ. ბრიუსელში ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირის შორის „ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების შესახებ“ შეთანხმებას.

– 2010 წლის 15 ივლისს დაიწყო მოლაპარაკებები საქართველოსა და ევროკავშირის შორის „ასოციაციის შესახებ შეთანხმებაზე“, (**AA**) რომლის ნაწილიცაა „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება“ (**DC FTA**).

– 2010 წლის 2 დეკემბერს ქ. ბრიუსელში ხელი მოეწერა „საქართველოს, ევროკავშირისა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი საავიაციო სივრცის შესახებ“ შეთანხმებას.

– 2011 წლის 14 ივლისს ხელი მოეწერა და 2012 წლის 1-ელ აპრილს ძალში შევიდა საქართველო-ევროკავშირის შეთანხმება სოფლის მეურნეობისა და სხვა საკვები პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთდაცვის შესახებ.

– 2012 წლის 28 თებერვალს ოფიციალურად გაიხსნა მოლაპარაკებები საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეზე (**DC FTA**).

– 2012 წლის 4 ივნისს გაიხსნა საქართველო-ევროკავშირის დიპლომატიური უვიზო მიმოსვლის შესახებ.

– 2013 წლის ივლისში ევროკავშირმა და საქართველომ დაასრულეს მოლაპარაკებები ასოციაციის შეთანხმების (**AA**), მათ შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (**DCFTA**) თაობაზე. შეთანხმების პარაფირება 2013 წლის აღმოსავლეთ პარტნიორობის ვილნიუსის სამიტზე შედგა.

– 2014 წლის 27 ივნისს, თბილისს დროით 11:00 საათზე ბრიუსელში საქართველომ ევროკავშირთან ასოციაციის ხელშეკრულებას მოაწერა ხელი.

ჩვენ ვითავაზობთ ბიზნესს დინამიკურ ბაზარს, ევროპულ ენერგოუსაფრთხოებას - ალტერნატიულ უსაფრთხო დერაფანს, სოლო საერთაშორისო სტაბილურობისათვის - საიგედო პარტნიორობას

უსუფაშვილი-სესიაშვილის დაპირისპირება

მეორე ტური



ირაკლი სესიაშვილმა, რომლის კანდიდატურასაც თავდაცვის მინისტრის პოსტზე აქტიურად განიხილავდნენ, დავით უსუფაშვილსგან ხმაშეღწევა მიიღო.

უროს სხდომაზე ვერც მე და ვერც ჩემმა მოადგილემ ვერ შევძელით მისვლა. ჩვენ რამდენიმე კანონპროექტი გვაქვს ინიცირებული, სამწუხაროდ, მას შემდეგ, რაც მეორე ტური დაინიშნა და სესიები გადაიდო, აირ-დაირია ჩვენი გრაფიკებიც. გარკვეულწილად კომიტეტის წევრების ბიუროზე მიუსვლელობა ამანაც განაპირობა, რაღაცა გაუგებრობა მოხდა. ვწუხვარ, რომ ვერ მივედი, მაგრამ ეს იმის გამო, რომ ძალიან მნიშვნელოვან კონფერენციას ვესწრები.

პარლამენტის თავმჯდომარეს გაბრაზება ბიუროს სხდომის დაწყებისთანავე დაეტყო, როცა თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ადგილი ცარიელი დახვდა. ანუ ირაკლი სესიაშვილი ბიუროს სხდომას არ დაესწრო.

როგორც გაირკვა, მოგვიანებით მათ ტელეფონითაც ისაუბრეს. როგორც ჩანს, გაცდენა პარლამენტის თავმჯდომარემ პერსონალურ შეურაცხყოფად მიიღო.

ალბათ, იფიქრებთ, დიდი ამბავი, ეს ხომ პირველი შემთხვევა არ იქნებოდა? როგორც აღმოჩნდა, პარლამენტის თავმჯდომარეს აღნიშნული კომიტეტის თავმჯდომარე პირადად გაუფრთხილებია, ბიუროს სხდომა ტარდება და ეგებ შენ თუ ვერა, მოადგილე მაინც დაეხსნოსო. სესიაშვილმა უსუფაშვილს პირობა მისცა, მაგრამ შემდეგ „გადააგდო“.

სამაგიეროდ, უკვე მოგვიანებით და უკვე ბათუმში უსაფრთხოებისა და თავდაცვის კონფერენციაზე დასკვნითი სიტყვით გამოსვლისას ირაკლი ალასანიამ უკვე დავით უსუფაშვილს „უსაყვედურა“:

პარლამენტის თავმჯდომარემ სიბრაზე არ დამალა და თქვა: – გუშინ საკუთარად ვესაუბრე ირაკლი სესიაშვილს, იქნებოდა თუ არა კომიტეტიდან ვინმე. ბრძანა, რომ იქნებოდა მისი მოადგილე, თუ ბიუროზე არ დადიან, ე.ი. კომიტეტზეც არ დადიან, არ უნდათ განხილვა სავალდებულოდ – თუ უნდათ, ისე განიხილონ...

– დიდი პატივია, რომ ჩვენი კონფერენცია პრეზიდენტმა გახსნა, დღეს კი სიტყვით გამოვიდნენ პრემიერი და პარლამენტის თავმჯდომარე. ეს უზარმაზარი პატივია თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენციისთვის. პატივით დავით, თქვენ ვერ გაგივიათ ეს, მე მივიღე ინფორმაცია, რომ თქვენ იმიტომ ვერ მობრძანდით, რომ გუშინ ბევრი სასმელი მიირთვით და დღეს ადგომა გაგიჭირდათ, მაგრამ ჩვენთვის დიდი პატივია თქვენი აქ ყოფნა.

პასუხი ირაკლი სესიაშვილმა დავით უსუფაშვილს მედიდან გასცა: – მე ბათუმში ვიმყოფები, სადაც საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენცია მიმდინარეობს. სამწუხაროდ, ბი-

ამ ხუმრობას პარლამენტის თავმჯდომარემ მხოლოდ ლიმილით უპასუხა.

ქეთი ხატიაშვილი

პოლიტიკურად როგორი დამცინავი განცხადებებიც არ უნდა გააკეთონ ნაციონალებმა ან რამდენად ირონიულიც არ უნდა იყოს „ქართული ოცნება“, მეორე ტური ნაცებისთვის გამარჯვებაა, გამარჯვებაა იმიტომ რომ ისინი დაფიქსირდნენ, როგორც მთავარი ოპოზიციური ძალა, რომელსაც არ ჰყავს არც ალტერნატივა და არც კონკურენტი; გამარჯვებაა ქოცებისთვის იმიტომ, რომ ხელისუფლებას არ ეშინია მეორე ტურის, მას არ ეშინია დემოკრატიის. მეორე ტური მარცხი არ არის, ეს მხოლოდ დემოკრატიულობის მაჩვენებელია. ნინა ხელისუფლებამ მეორე ტური არ იკადრა არც ლევან გაჩეჩილაძესთან საპრეზიდენტო არჩევნებში და არც არც ირაკლი ალასანიასთან მერის არჩევნების დროს.

ლოგიკურია ისიც, რომ მეორე ტური ნაცებსა და ქოცებს შორის გაიმართება. უფრო ადრე ანტიდისკრიმინაციულმა კანონმა და ახლა კი არჩევნებშიც დაადასტურა, რომ საქართველოში პროპუტინისტურ ძალებს არ თანაუგრძობენ, რომ მათ სერიოზულად არავინ ალიქვამს და მზარდი ელექტორატიც არა ჰყავთ.

ასე რომ, დავით ნარმანიამ და ნიკა მელიამ საარჩევნო რინგზე კიდევ ერთხელ ავლენ. სხვათა შორის, გიორგი მარგველაშვილისგან განსხვავებით, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი საარჩევნო მართონზე გვერდით ედგა და სერიოზულ მხარდაჭერასაც უცხადებდა, ნარმანიამ ამ ფუფუნებას მოკლებულია. შესაბამისად, ის პროცენტიც, რომელიც მან აიღო, შეიძლება ითქვას, მისი დამოუკიდებელი ანგარიშია და ის სულაც არ გამოიყურება ნაგებულად. ბიძინა ივანიშვილის გარეშე, თუ იმასაც გავეთვალისწინებთ, რომ ყოფილმა პრემიერმა თბილისშიც არ მისცა ხმა, ნარმანიამ კარგი შედეგიც კი დადო.

სხვა თემაა დებატები, სადაც ნარმანიამ შთაბეჭდილების მოხდენა ვერ მოახერხა და ამასაც თავისი ლოგიკური ახსნა აქვს. პირველი, ის სრულიად გამოუცდელია და მეორე, ამ დებატებში ყველა ერთის წინააღმდეგ პრინციპით მოქმედებდა. ანუ მერობის ხუთი კანდიდატიდან ყველა ნარმანიას წინააღმდეგ „მუშაობდა“. და ეს, ალბათ, ტელევიზიების პოლიტიკის ბრალი უფროა. ალბათ, მათ ისე უნდა დაეგეგმათ დებატები, რომ კანდიდატები უფრო საკუთარ პროგრამებზე ყოფილიყვნენ ორიენტირებულნი. დებატები სულაც არ არის შოუ.

მეორე ტურის წინ დავით ნარმანიამ შოუდებატზე უკვე უარი თქვა. პოლიტიკურად შეიძლება მისი ეს გადაწყვეტილება გამართლებული არ იყოს, თუმცა, კოალიციაში მიიჩნევენ, რომ ტაქტიკურად ეს სწორი სვლაა. ნარმანიამ უარს ამბობს ტელევიზიებში დებატებზე. მან ახალი ინიციატივა წამოაყენა და განაცხადა, რომ დებატები ნეიტრალურ ტერიტორიაზე უნდა წარმართოს:

– ნეიტრალური ტერიტორია ნიშნავს არა რომელიმე



ვის აქვს გამარჯვარა ხრიკებს მიმა

ტელევიზიის ტერიტორიას, არამედ სხვა ტერიტორიას, სადაც ნებისმიერი დანტერესებული პირი, ტელევიზია, იმისთვის, რომ ვინმეს გული არ დასწყდეს, შეძლებს, მიიღოს შე-

მა გააკეთა:

– ვადასტურებ, რომ ჩვენ დღეს ტელევიზიების ხელმძღვანელებს შევხვდით, პირადად მე დავურეკე მათ და ვთხოვე, რომ მოსულიყვნენ და დებატების თემაზე ჩამოგყალიბებულიყავით. ტელევიზიების ხელმძღვანელებს აუხსენით, რომ მეორე ტურამდე დარჩენილი დროის სიმცირის გამო ვერ შევძლებდით, დებატებთან დაკავშირებით ექვსივე ტელევიზიის შემოთავაზებას დავთანხმებოდით. ჩვენ ტელევიზიებს შევთავაზეთ, რომ USAID-მა აიღოს საკუთარ თავზე ამ დებატების ორგანიზება, თავად გადაწყვიტონ, სად გაიმართება დებატები, რომელიმე პავილიონში თუ სხვაგან და არა რომელიმე ტელევიზიაში. ჩვენ ვერანაირად ვერ ვიქნებით ორგანიზატორები, იმიტომ, რომ ჩვენ ვართ მხარე. როგორც კი USAID-ი ჩვენს შეთავაზებას დასთანხმდება, გაიმართება ტელევიზიებთან შეხვედრა, შეთანხმდებიან ფორმატზე, ამ ორ კვირაში ნ დებატი ძალიან ბევრია, ჩვენ გამორიცხვის პრინციპით ვერანაირად ვერ ავირჩევდით ერთ კონკრეტულ ტელევიზიას. USAID-ს მსოფლიოს მასშტაბით მსგავსი დებატების დაგეგმვის დიდი გამოცდილება აქვს.

ვიპი უგულავა:
„მთავრობის მოთხოვნა იყო 12 ივლისი, რაც აბსოლუტურად ეწინააღმდეგება არსებულ წესებსა და პროცედურებს“

საბამისი ინფორმაცია, ჩანეროს დებატები, გაუშვას პირდაპირი ეთერით ან ჩანაწერი. თანაბარი შესაძლებლობა და საკუთარი პროგრამის მაქსიმალური წარმოჩენა – ეს არის ორი მთავარი მოთხოვნა“, – აცხადებს ნარმანიამ.

მოგვიანებით, როცა „ქართული ოცნება“ ტელევიზიის ხელმძღვანელ პირებს შეხვდა, განმარტება საარჩევნო შეტანის პრესსამსახურის უფროსმა ნონა ყანდიაშვილ-

თავისთავად USAID დებატებს სტანდარტების შესაბამისად დაგეგმავს და იქ შოუს „მძაფრსიუჟეტიანი ელემენტები შესაძლოა, არ იყოს. ნაციონალები აცხადებენ, რომ ისინი ნებისმიერ ფორმატზე თანახმა არიან. ოპოზიციაში ყოფნა ყოველთვის იოლი იყო. თუმცა, მხოლოდ სიიოლესაც ვერ დაუბრალებ



– ნარმანია-მელია



შეზის შანსი და რთავენ ნაცები

იმას, რომ მელია საარჩევნო რინგზე კარგ შთაბეჭდილებას ახდენს.

ახლა მხოლოდ ის არის დასაადგენი, როდის გაიმართება მეორე ტური. ეს საკითხიც სადავო გახდა მხარეებს შორის. ისეთი შთაბეჭდილება შექმნეს ნაციონალურმა, თითქოს „ქართული ოცნება“ ცესკო-ზე ზენოლას ახდენს და თარიღის ადრე დაინიშნას აიძულებს. ამის შესახებ მინიშნებები გიგი უგულავამ გააკეთა.

„ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელის, გიგი უგულავას განცხადებით:

ჩვენი ინფორმაციით, მთავრობამ მოახდინა ზენოლა თამარ ჟვანიას. მთავრობის მოთხოვნა იყო 12 ივლისი, რაც აბსოლუტურად ეწინააღმდეგება არსებულ წესებსა და პროცედურებს. მოგეხსენებათ, ძალიან ბევრ სუბიექტს შედეგები გასაჩივრებული აქვს სასამართლოში და მიმდინარეობს ხელახალი გადათვლებები. შესაბამისად, შეუძლებელია, 19 ივლისზე ადრე ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნების მეორე ტური დაინიშნოს. ამ თარიღის ცოდნას პრინციპული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან სწორედ გამო-

ცხადებიდან ექნება ყველა მონაწილე კვალიფიციურ სუბიექტს უფასო საერთო დროით სარგებლობის შესაძლებლობა, რა შესაძლებლობაც ამ მომენტისთვის სუბიექტები, ბიუროკრატიული, საკანონმდებლო ხარვეზების თუ ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და კონკრეტულად მისი თავმჯდომარის მოუქნელი მუშაობის გამო, წინასწარჩევნო პერიოდში მოკლებულნი არიან. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია თარიღის ცოდნა იმისთვის, რომ პოლიტიკურმა სუბიექტებმა დაგეგმონ თავიანთი კამპანია. შეუძლებელია, 12 ან 15 ივლისს იყოს მეორე ტური. კატეგორიულად მოვითხოვთ, დღეს ან მაქსიმუმ ხელა გამოცხადდეს არჩევნების თარიღი, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახეზე იქნება მორიგი სამწუხარო გარიგება მთავრობასა და ცესკო-ს შორის.

უგულავას ამ განცხადებას დიდი ხმაური მოჰყვა. „ქართულმა ოცნებამ“ ის ცესკო-ს ზენოლაში დაადანაშაულა, ცესკო-ს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ კი ნაციონალურ ჟურნალს ვინროპარტიული ინტერე-

სებიდან არ გამოვიდნენ:

– ცესკო ეხმაურება „ნაციონალური მოძრაობის“, კერძოდ, გიგი უგულავას განცხადებას და აღნიშნავს, რომ მის მიერ გაკეთებული შეფასებები და მოთხოვნა საკანონმდებლო ჩარჩოებს სცილდება. აქედან გამომდინარე, მივმართავ ყველა საარჩევნო სუბიექტს, მეტი კომპეტენცია და პასუხისმგებლობა გამოიჩინონ საარჩევნო საკითხებზე მსჯელობისას და არ შეაფასონ საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობა ვინროპოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე. თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის დაინიშნა არ წარმოადგენს ცესკო-ს თავმჯდომარის კომპეტენციას, და არ არის დამოკიდებული კომისიის მოქნილობაზე. ცალსახად განემარტავთ, რომ არჩევნების მეორე ტურის თარიღი გამოცხადდება კანონმდებლობის შესაბამისად, შემაჯამებელი ოქმის მიღებისა და ყველა სასამართლო დავის დასრულების შემდეგ. ცესკო არის დამოუკიდებელი ორგანო, მოქმედებს კანონმდებლობის ფარგლებში და შესაბამისად, ვერც ერთი პოლიტიკური ძალა ან მათი განცხადებები ვერ იქონიებს გავლენას...

ჟვანიას უგულავამ რეპლიკით უპასუხა:

– ამ სრულიად უწყინარ მოთხოვნაზე, გვიტხარით მეორე ტურის თარიღი, საპასუხოდ ცესკო-ს თავმჯდომარე გვეუბნება, რომ „არ გამოვიდეთ ვინროპარტიული ინტერესებიდან“. ამხელა განცხადებას, თარიღი გეტყვით, ქ-ნო თამარ, თუ მართლა გნებავთ, არ გამოიყურებოდეთ ვინროპარტიულად. უსამართლოსთან ერთად, ცინიკურია თქვენი განცხადება...

სხვა შეფასებები ცესკო-დან აღარ ყოფილა, პოლიტიკურ დებატებსა და ბატალიებში საარჩევნო კომისია არ ჩაერთო. ამ შემთხვევაში, ცესკო მართალია, წინასწარ ძელისა რიცხვის დასახელება, სანამ სასამართლო დავები დასრულებული არ არის.

კახი კალაძემ კი უგულავას განცხადებას დემაგოგიური უწოდა:

– არჩევნების კონკრეტული თარიღი, ალბათ, უახლოეს მომავალში გვეცოდინება. ცენტრალური საარჩევნო კომისია ამ თარიღს დაასახელებს, ეს მათი პრეროგატივაა. პარტიების ჩარევა ამ პროცესში მიუღებლად მიმაჩნია. მე მოვისმინე



ვასტანბ კაბირაქე: „თბილისი თუ დაცლილი იქნება, ქნელი სათქმელია, რა შედეგით დამთავრდება მეორე ტური“

უგულავას განცხადება, ეს იყო პირდაპირი ზენოლა ცესკოზე, მოვისმინეთ, ასევე, მისი აბსურდული, დემაგოგიური განცხადებები, თითქოს ხელისუფლება ახორციელებს ზენოლას. ეს არის სრული სიცრუე...

ექსპერტების უმეტესობა მიიჩნევს, რომ მეორე ტურში წარმანია გაიმარჯვებს და რომ მელია მას კონკურენციას ვერ გაუწევს. ნაციონალურმა თავისი სტაბილური ელექტორატის ჰყავთ, თუმცა, თბილისში მათ არ ეყოფათ რესურსი „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატი დაამარცხო. თუმცა, ამ კონტექსტში უკვე მნიშვნელობას იძენს სწორედ თარიღის დაინიშნა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ნაციონალური პროცესის განვლვას მაქსიმალურად ცდილობენ, რომ თბილისში რაც შეიძლება ნაკლები ხალხი დარჩეს. ამიტომაც, ატხებს ხმაური და ხელისუფლება ცესკო-ს ზენოლაში დაადანაშაულეს. მათი გათვლით აქტიური შევებულებების პერიოდში შესაძლოა, წარმანის ნაკლები მომხრე დარჩეს თბილისში. ამის საშიშროებას ზოგიერთი ექსპერტიც ხედავს. მაგალითად, ვახტ-

ანგ ძაბირაძის განმარტებით:

– ალბათ „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს ყველგან, მაგრამ კიდევ ერთი მომენტია გასათვალისწინებელი – ეს არის თარიღი, როდის დაინიშნება მეორე ტური. თუ ეს იქნება იმ დროს, როდესაც აქტიური საშვებულებო პერიოდია, ხელისუფლებას დასჭირდება მაქსიმალური მობილიზება, თორემ ნაციონალურმა მხარდასაჭერად ამომრჩევლის თითქმის ის რაოდენობა მივა ისევ, რაც 15 ივნისს მივიდა... თუ ვერ მოახერხებს ხელისუფლება ხალხის მობილიზებას, ეს ნიშნავს, რომ არჩევნებს წააგებს. თბილისი თუ დაცლილი იქნება, ძნელი სათქმელია, რა შედეგით დამთავრდება მეორე ტური, ყოველ შემთხვევაში, ხელისუფლებას ეს ფაქტორი საფიქრალი და გასათვალისწინებელი აქვს და თუ ივლისის შუა რიცხვებისთვის მაინც არ მოხერხდება არჩევნების ჩატარება, შესაძლოა, სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდეს, რომ არჩევნები წააგო.

ასე რომ, ნაციონალური შეეცდებიან, პროცესი მაქსიმალურად განვლონ სასამართლოებში სხვადასხვა საკითხების გასაჩივრებით.



კახი კალაძე:
„მე მოვისმინე უგულავას განცხადება, ეს იყო პირდაპირი ზენოლა ცესკოზე“

ე.ნ. „ნავთლულის სპეცოპერაციის“ საქმე

სალომე გოგობია

თბილისის საქალაქო სასამართლოში ე.ნ. „ნავთლულის სპეცოპერაციის“ საქმის განხილვა ნაწილობრივ დახურულ სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილება მოსამართლემ მას შემდეგ მიიღო, რაც დარბაზში დახურულ საზოგადოება მთავარი მოწმის მისამართით შეურაცხყოფელ რეპლიკებზე გადავიდა. გასულ კვირას პროკურატურის მთავარი მოწმე, დამოუკიდებელი სამხედრო ექსპერტი ტრისტან ნითელაშვილი დაკითხეს. სპეცოპერაციის თვითმხილველმა დეტალურად აღწერა ახალგაზრდების ლიკვიდაცია და იმ პირების ვინაობაც დაასახელა, რომლებმაც დაჭრილების მისამართით საკონტროლო გასროლა განახორციელეს. ნითელაშვილის მტკიცებით, ესენი იყვნენ კუდ-ის მაშინდელი ხელმძღვანელი დათა ახალაია და კუდ-ის მაშინდელი თანამშრომლები, გიორგი მაზმიშვილი, ლევან ქარდავა და შავლა თათუხაშვილი.



ნითელაშვილის დაკითხვას ხმაურის გარეშე არ ჩაუვლია. ერთ-ერთ ბრალდებულს თავდაცვის და შს-ს ყოფილ მინისტრს ბაჩანა ახალაიას და ნითელაშვილს სიტყვიერი შელაპარაკება მოუვიდათ. ახალაიამ ნითელაშვილს რუსული სპეცსამსახურების აგენტი და ქვეყნის მოლაპატე უწოდა. სიტუაციის განსამუხტად მოსამართლეს პროცესის დროებით შეწყვეტაც კი მოუწია.

რა ხდებოდა „ნავთლულის სპეცოპერაციის“ საქმის განხილვაზე, რა სკანდალური ჩვენება მისცა მთავარმა მოწმემ სასამართლოს? ამის შესახებ ოდნავ ქვემოთ ვიამბობთ. მანამდე კი წარსულს თვალი გადავავლოთ და გავიგოთ რატომ აღმოჩნდნენ დაკავებულები განსასჯელის სკამზე.

მაშინ, როდესაც პატიმრობაში მყოფი თავდაცვის ყოფილი მინისტრი ბაჩანა ახალაია თავისუფლებამდე დარჩენილ დღეებს ითვლიდა, მოულოდნელად პროკურატურამ მას ე.ნ. „ნავთლულის სპეცოპერაციის“ ეპიზოდში ახალი ბრალი წაუყენა. მასთან ერთად ბრალი წაუყენეს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ყოფილ უფროსს მეგის ქარდავას და კუდ-ის ყოფილ თანამშრომელს გიორგი მაზმიშვილს.

სასამართლო პროცესზე დაცვის შუამდგომლობა, ახალაია გიორგის ნაცვლად გაეთავისუფლებინათ, მოსამართლემ არ დააკმაყოფილა.

„ნავთლულის სპეცოპერაციის“ ეპიზოდში ასევე, ბრალი წაუყენეს

„როცა საკონტროლო გასროლები დასრულდა, ხმა გავიგე - მოიტანეთო? - ვილაცამ შავი სპორტული ჩანთა შემოიტანა, საიდანაც ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღები ამოიღეს, რომელიც გვამებს დაუდეს. ამ ჯგუფში იყვნენ ლევან ქარდავა, გიორგი მაზმიშვილი, გიორგი დგებუაძე, ე.ნ. „მასტერა“ და დათა ახალაია. როდესაც ნიღბები მოიხნეს ეს დავაფიქსირე“

„ეგ გავიგე, რომელიც ისროდა, ერთ-ერთი პიროვნება გამოეყო და ერთ-ერთ დავარდნილთან მივიდა, რომელსაც თავის მიმართულებით დაუმიზნა და ერთი საკონტროლო გასროლა განახორციელა. შემდეგ შემობრუნდა და ნიღაბი მოიხსნა. ეს იყო დათა ახალაია“

ახალაიას ძმას, კუდ-ის ყოფილ შეფს დათა ახალაიას. მას ბრალად ედება განზრახ მკვლელობა. მისი საქმე გამოიძებნა ცალკე გამოყო. ამჟამად, ახალაია საბურთენოშია. სასამართლო განხილვა მას შემდეგ დაიწყო, რაც მას ქართულ მხარეს გადასცემენ.

ძმები ახალაიების სახელს გირგვლიანის მკვლელობის გარდა „ნავთლულის სპეცოპერაციის“ სისხლიანი საქმეც უკავშირდება.

პროკურატურის ცნობით, 2006 წლის 12 იანვარს, დავით ახალაია თავის თანამშრომლებთან - ლევან ქარდავასთან, გიორგი მაზმიშვილთან, სპეცდანიშნულების რაზმის უფროს შალვა თათუხაშვილთან და სხვა თანამშრომლებთან ერთად ავტოსადგომ „ნავთლულის“ მიმდებარე ტერიტორიაზე მივიდა, სადაც, მათი ინფორმაციით, დაახლოებით საღამოს 9 საათზე, ერთ-ერთი პატიმრის, გია გორგაძის ძმა, 17 წლის შოთა გორგაძე და მისი მეგობრები - 21 წლის რომან სურმანიძე და 23 წლის მარად ართმელაძე უნდა მისულიყვნენ.

„გორგაძის და მისი მეგობრების მისვლისთანავე, მათკენ გაემართნენ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული დავით ახალაია, გიორგი მაზმიშვილი, ლევან ქარდავა და კუდ-ის სხვა თანამშრომლები, რომლებმაც დავით ახალაიას ორგანიზებით უდანამართლო ახალგაზრდები ალყაში მოაქციეს და მათი გადარჩენის რაიმე თეორიული შესაძლებლობა თავიდანვე მოსპეს. შეიარაღებული პირების დანახვისთანავე შეშინებულმა გორგაძემ და მისმა მეგობრებმა კუდ-ის თანამშრომლებს ხვეწნა დაუწყეს, არ ესროლათ, შეეცადნენ გაქცევას და საშველად უხმობდნენ გარშემომყოფთ. თუმცა საპასუხოდ, ახალაიამ, თანამშრომლებთან ერთად, ყოველგვარი გაფრთხილებებისა და შეყოვნების გარეშე დაიწყო მათ მოსაკლავად მიზანმიმართული სროლა. სროლების შედეგად მიყენებული ჭრილობების გამო, სამივე მათგანი მინაზე დაეცა. ჩაცხრილულ ახალგაზრდებს დავით ახალაია მიუახლოვდა. ძირს დაცემულ მურად გორგაძეს ავტომატის ლულა თა-

ვზე მიაბჯინა და საკონტროლო გასროლა მოახდინა. ახალაიას მიბაძეს გიორგი მაზმიშვილმა და მათთან ერთად მყოფმა თანამშრომლებმა, რომლებმაც თავის არეში საკონტროლო გასროლები განახორციელეს ართმელაძის და სურმანიძის მიმართულებით. სროლის შედეგად გორგაძე მიღებული 12 ცეცხლსასროლი, ართმელაძე 5 და სურმანიძე 6 ჭრილობის შედეგად ადგილზევე გარდაიცვალნენ.“ - ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

პროკურატურის ცნობითვე, გვამების ლიკვიდაციის შემდეგ, ბრალდებულებმა გვამებთან დააღაგეს ნინასწარ მომზადებული, სპორტული ხელჩანთით შემთხვევის ადგილზე მიტანილი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი.

პროკურატურის მტკიცებით, მომხდარი ცნობილი გახდა ბაჩანა ახალაიასთვის და მათ მიერ მოვიქრებული პატიმრების მასობრივი გაქცევის ვერსიის გასამყარებლად, მეგის ქარდავასთან და სად-ის სპეცდანიშნულების რაზმთან ერთად გამართა რუსთავის #1 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, სადაც სასურველი ჩვენებების, კერძოდ, გაქცევის აჩიარების მიღების მიზნით, სასტიკად აწამა ახალგაზრდაცვლილი მურად გორგაძის ძმა გია გორგაძე და მასთან მყოფი სხვა პატიმრები.

გამოძიების მასალების მიხედვით, მოგვიანებით, სპეცოპერაციის ჩატარების ოფიციალურ მიზეზად დასახელდა, თითქოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #1 დაწესებულებაში მყოფი გია გორგაძის ძმა - მურად გორგაძე, მეგობრებთან მარად ართმელაძესთან და რომან სურმანიძესთან ერთად, პატიმართა მასობრივი გაქცევის ორგანიზების მიზნით, გვეგვადნენ #1 დაწესებულებაზე შეიარაღებულ თავდასხმას, თუმცა აღნიშნული საკითხი, არც სპეცოპერაციის დაწყებამდე და არც მისი ჩატარების შემდგომ, არც ერთ სამართალდამცავ ორგანოში არ გამოიძებნა, მაშინ, როდესაც კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ ჩატარებულ სისხლიან სპეცოპერაციას 3 უდანამართლო ახალგაზრდა ემსხვერპლა.

ლევან ქარდავას, დათა ახალაიასა და გიორგი მაზმიშვილს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით აქვთ ბრალი წარდგენილი, რაც განზრახ მკვლელობას და სასჯელის სახით ათიდან ოც წლამდე, ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ბაჩო ახალაიასა და მეგის ქარდავას კი, წამებასა და უფლებამოსილების გადამეტებას ედავებიან. გამოძიებით დადგინდა, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N1 დაწესებულების პატიმარმა გია გორგაძემ დაწესებულების დირექტორს აცნობა, რომ ერთ-ერთი პატიმრისგან მიიღო შეთავაზება ციხიდან გაქცე-



„ბაჩანა ახალაიას ბრძანებით, პატიმრები - გია გორგაძე, დავით ლექვთაძე, ვალერიან პაპავა, მიხეილ მანდარია, მამუკა ბუჭვია და ბერდია მესხი ეზოში გაიყვანეს. ბაჩანა ახალაიამ და მეგის ქარდავამ N1 დაწესებულების ეზოში გაყვანისთანავე დაიწყეს მითითებული პატიმრების უმოწყალოდ ცემა, ასევე მათი მითითებით პატიმრებს ცემა დაუწყეს სპეცრაზმის თანამშრომლებმაც“

აზე და მზადყოფნა გამოთქვა ეთანამშრომლა ციხის ადმინისტრაციასთან. ამ საკითხზე გია გორგაძეს ციხეში უშუალოდ შეხვდა ბაჩანა ახალაია და შეუთანხმდა, რომ ციხიდან გაქცევაში მას დაეხმარებოდა თავისი ძმა შოთა გორგაძე.

სპეცოპერაციის დასრულებისთანავე, სპეცრაზმის თანამშრომლების თანხლებით ბაჩანა ახალაია და მეგის ქარდავა მივიდნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N1 დაწესებულებაში, სადაც ბაჩანა ახალაიას ბრძანებით, პატიმრები - გია გორგაძე, დავით ლექვთაძე, ვალერიან პაპავა, მიხეილ მანდარია, მამუკა ბუჭვია და ბერდია მესხი ეზოში გაიყვანეს. ბაჩანა ახალაიამ და

მეგის ქარდავამ N1 დაწესებულების ეზოში გაყვანისთანავე დაიწყეს მითითებული პატიმრების უმოწყალოდ ცემა, ასევე მათი მითითებით პატიმრებს ცემა დაუწყეს სპეცრაზმის თანამშრომლებმაც. ძირს დაყრილი პატიმრების ცემისას იყენებდნენ ხელკეტებს, ურტყამდნენ მათ ხელთ არსებულ ავტომატის კონდახებს. ცემისას პატიმრებს სთხოვდნენ ციხიდან გაქცევის მომზადების აღიარებას. მათ მიერ ნაცემი თითოეული პატიმარი გაატარეს სპეცრაზმელების მიერ გაკეთებულ ე.წ. „კორიდორში“, სადაც გაგრძელდა მათი უმოწყალო ცემა. დაწესებულების ეზოში პატიმრების ცემის შემდეგ, მათ ბაჩანა ახ-

„ძირს დაყრილი პატიმრების ცემისას იყენებდნენ ხელკეტებს, ურტყამდნენ მათ ხელთ არსებულ ავტომატის კონდახებს. ცემისას პატიმრებს სთხოვდნენ ციხიდან გაქცევის მომზადების აღიარებას. მათ მიერ ნაცემი თითოეული პატიმარი გაატარეს სპეცრაზმელების მიერ გაკეთებულ ე.წ. „კორიდორში“, სადაც გაგრძელდა მათი უმოწყალო ცემა“



ალაიას მითითებით გაახდენენ ტანსაცმელი და უბრძანეს ასულ-იყვანეს საბადრაგო ავტომანქანაში. ექვსივე პატიმარი ავტომანქანით გაიყვანეს დანესებულების ტერიტორიის გარეთ. დანესებულებიდან გაყვანისთანავე გააჩერეს ავტომანქანა და გამოძვლებულ პატიმრებს კვლავ უბრძანეს მანქანიდან ძირს ჩასვლა. ასეთ მდგომარეობაში ისინი ბაჩანა ახალაიას მითითებით დააყენეს ჯერ N1 დანესებულების კედელთან, ხოლო შემდეგ კი დაან-ვინეს მინაზე თოვლში და ტალახში. მათ თავზე ადგენენ შეიარაღებული სპეცრაზმელები, რომლებიც ბაჩანა ახალაიას ბრძანებით აგრძელებდნენ მათ ცემას.



„პროკურატურის მოთავარი მოწვე ტრისტან ნითელაშვილი მე დაამეუქრა პირადად, რომ ახალაიას დედას უბიძგავდა. ის რუსეთის ცნობილი აგენტია და როცა დაიკითხება, კიდევ უფრო გაიხიფრება“

EXCLUSIVE

„დაცვის მხარე ცდილობს პროცესის გადადებას და გაჭიანურებას. ეს ემსახურება იმ მიზანს, რომ გავიდეს აღმკვეთი ღონისძიების ცხრათვიანი ვადა ბაჩანა ახალაიას მიმართ“

27 ივნისს სასამართლო სხდომაზე პროკურატურის მოთავარი მოწვე, სპეცოპერაციის თვითმხილველი ტრისტან ნითელაშვილი დაიკითხა. მონაწილე სკანდალური ჩვენება მისცა. რა მოხდა 2006 წლის 12 იანვრის საბედისწერო საღამოს? ტრისტან ნითელაშვილის თქმით, თავდაცვის სამინისტროდან წამოსვლის შემდეგ, უსაფრთხოების სამსახური ჩამოაყალიბა, რომელიც ყოფილი სამხედროებით დააკომპლექტა. მის სამსახურს ხელშეკრულებით ისნის, ნავთლულის, მოსკოვის გაზაფხულის და ვარკეთილის ტერიტორიაზე არსებული ობიექტების უსაფრთხოების დაცვა ევალებოდათ. ჩვენებები სამებრ, 12 იანვარსაც თანამშრომელ დავით ჩუბინიძესთან ერთად ობიექტების შესამოწმებლად გაემართა. ისნის ტერიტორიიდან ნავთლულის ავტოსადგურისკენ. ჩუბინიძე ისნის მიმართულებით მდებარე ბენზინგასამართ სადგურისკენ წავიდა, თვითონ კი ავტოსადგურის მახლობლად მდებარე ადმინისტრაციის შენობისკენ გაემართა.



„საცავები შევამოწმე, ყველაფერი რიგში იყო... ამის შემდეგ მეტროსკენ წავიდა. იქვე მდებარეობს „ავერსის“ აფთიაქი. იქამდე მისული არ ვიყავი, როცა ინტენსიური სროლის ხმა შემომესმა. შენობის კუთხეში მივედი, საიდანაც ყველაფერი კარგად ჩანდა. გავიგონე განწირული ხმები, არ მესროლოთო. ამ დროს დავინახე რამდენიმე ადამიანი, რომლებსაც ნიღბები ეკეთათ და პირდაპირ, დამინებებით ისროდნენ. ისინი თავის დაღწევას ცდილობდნენ. ორმა გამოსვლა მოახერხა. ამ დროს მუხლებზე დაიბრუნეს და ძირს დავარდნენ. ეს ყველაფერი წამებში ხდებოდა. სროლა შეწყდა. მესამე

საიდანაც ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღები ამოიღეს, რომელიც გვაშვებს დაუდეს. ამ ჯგუფში იყვნენ ლევან ქარდავა, გიორგი მაზმიშვილი, გიორგი დგებუაძე, ე.წ. „მასტერა“ და დათა ახალაია. როდესაც ნიღბები მოიხნეს ეს დავაფიქსირე“, - ამბობს ნითელაშვილი.

ნითელაშვილის ჩვენებას ბრალდებულების უკმაყოფილო შეძახილები მოჰყვა. დაცვის მხარის მტკიცებით, გამომძიებლისთვის და სასამართლოზე მიცემულ ჩვენებებს შორის არსებითი სხვაობაა.

„ნითელაშვილმა ძალიან მნიშვნელოვანი რაღაც თქვა, რომ გასროლების შედეგად არ უნახავს ტყვია ვინმეს მოხვდა თუ არა. ასევე, არ დაუნახავს ლევან ქარდავა ისროდა თუ არა. ეს ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რადგან გამოძიებაში სულ სხვანაირად წერია. როცა თქვა, რომ ახალაიამ, მაზმიშვილმა საკონტროლო გასროლა განახორციელეს, ჩავეძიეთ და კონკრეტულად მოთხოვეთ. მან თქვა, რომ არ დაუნახავს ტყვია ვინმეს მოხვდა თუ არა. ეს იყო ყველაზე მთავარი, რადგან ის ერთადერთი მოწვეა, რომელიც ამას ამბობდა. თუმცა, პროცესზე ვერ თქვა, გასროლის შედეგად ძირს დავარდნილს ტყვია მოხვდა თუ არა. ტყვია მოხვდა თუ არა, ამას როგორ ვნახავდით, გვიპასუხა. დაცვის მხარე დღევანდელი პროცესით კმაყოფილია“, - განაცხადა ადვოკატმა რომეო საჯაიამ.

რაც შეეხება მოკლულების მშობლებს, სასამართლომ ისინი ორი კვირის წინ დაკითხა.

„პრაიმტიმთან“ საუბარში მოკლული შოთა სურმანიძის მამა, ოთარ სურმანიძე, აცხადებს, რომ ბიჭები უდანაშაულოები იყვნენ და ეს ყველა იცის.

მისივე თქმით, მომხდარის შესახებ ტელევიზიით შეიტყო. თავდაპირველად უთხრეს, თითქოს ბიჭებმა იჩხუბეს და თბილისში პოლიციაში უნდა მისულიყო. თუმცა, დედაქალაქში მიმავალი მოულოდნელად მორგში აღმოჩნდა, სადაც უთხრეს, თითქოს ბიჭებმა ცეცხლი გახსნეს და ამიტომ გახდა მათი ლიკვიდაცია საჭირო.

თუმცა, ოთარ სურმანიძე ალოგიურად მიიჩნევს იმ ფაქტს, თუკი ბიჭები რუსეთის ციხეზე თავდასხმას გეგმავდნენ, როგორ აღმოჩნდნენ ნავთლულის ავტოსადგურში?!


ოჯახის განცხადებით, ბიჭები თურქეთში დადიოდნენ სამუშაოდ. მუშაობისგან ხელები დაკოჰრილი ჰქონდათ.

„ურუნალისტებს ამ თემაზე უამრავჯერ მივეცი ინტერვიუ. მსოფლიომ იცის რაც მოხდა. მე ვიცი, რომ ეს ბავშვები უდანაშაულოები იყვნენ და ამას მართლმსაჯულება კიდევ დაამტკიცებს. მათ არანაირი კავშირი არ ჰქონდათ ციხის ბუნტთან. საიდან ექნებოდათ კავშირი, სად სამგორი და სად რუსთავი? ტელევიზიით გამოაცხადეს სურმანიძე რომანია. როგორც სხვებმა, მეც ისე გავიგე“, - ამბობს მოკლულის მამა.

მისი თქმით, შვილი ბოლოს თბილისში, წასვლის დღეს ნახა. ის მეგობრებთან ერთად წავიდა.

„ჩემი შვილი წასვლის დღეს ვნახე. მეტჯერ აღარ მინახავს, სად უნდა მენახა? ნალკაში სტუმრად მიდიოდნენ. გორგაძის ცოლის ოჯახში იყვნენ. მეტი სხვა არაფერი ვიცი“. - აცხადებს ოთარ სურმანიძე.

თუმცა, ბიჭებს მოლხენა არ დასცალდათ. სპეცოპერაცია 12 იანვარს ჩატარდა.



„მსოფლიომ იცის რაც მოხდა. მათ არანაირი კავშირი არ ჰქონდათ ციხის ბუნტთან. საიდან ექნებოდათ კავშირი, სად სამგორი და სად რუსთავი?“



ბაჩო ახალაიას მეუღლის, ანი ნადარეიშვილის თქმით, დათა ახალაია სპეცოპერაციის დროს მოდულის შენობაში იმყოფებოდა და შემთხვევის ადგილზე ოპერაციის დასრულების შემდეგ მივიდა.

მისივე თქმით, გაია გორგაძემ პროცესზე განაცხადა და აღიარა, რომ ციხის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობდა. ამიტომ, ციხიდან პატიმართა მოსალოდნელი გაქცევის შესახებ ადმინისტრაცია საქმის კურსში ჩააყენა.

ციხისთვის, გაია გორგაძე პრესკონფერენციის ჩატარებას „პრაიმტიმის“ პრესკლუბში აპირებდა. თუმცა, პრესკონფერენცია ჩაიშალა. ინტერნეტში გავრცელებულ ვიდეომასალაში ჩანს, „პრაიმტიმის“ რედაქციის ეზოში მისულ გორგაძეს სამართალდამცველები დახვდნენ. გორგაძეს პრესკლუბში ასვლის საშუალება არ მისცეს. მანქანაში ჩასვეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს.

ნადარეიშვილის თქმით, გორგაძე გაიტაცეს. ის დარწმუნებულია, რომ პროკურატურა გორგაძეზე ზეწოლას ახორციელებს.

სამწუხაროდ, დიდი მცდელობის მიუხედავად, მონაწილე გორგაძესთან დაკავშირება შეუძლებელი აღმოჩნდა.

ნავთლულის სპეცოპერაციის საქმეზე პროკურატურას 200-ზე მეტი მონაწილე დარჩა დასაკითხი. დაცვის მხარეს გაცილებით ნაკლები.

საქალაქო სასამართლოში „ნავთლულის სპეცოპერაციის“ საქმის განხილვა დღეს განახლდება.

მაგდა კლდიაშვილი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, შელავათიანი აგროკრედიტის მეექვსე კომპონენტის ფარგლებში ატმის შექმნაზე ახალი კრედიტების გაცემა დაიწყო. პროგრამა 20 ივნისს ამოქმედდა და სესხების გაცემა 20 აგვისტომდე გაგრძელდება. შელავათიანი აგროკრედიტის ამ კომპონენტის პორტფელი 25 მილიონ ლარს შეადგენს. რა სარგებელს მიიღებენ მენარმეები და რა შელავათებს ნახავენ, ამ და სხვა საკითხებზე „პრაიმტაიმი“ შელავათიანი აგროკრედიტის პროექტის მენეჯერს, ირაკლი მოისნრაფიშვილს ესაუბრა.

- რას გულისხმობს შელავათიანი აგროკრედიტის მეექვსე კომპონენტი?

- მეექვსე კომპონენტის ერთადერთი მიზნობრიობა ატმის შექმნა გახლავთ. სხვა მიზნობრიობით, ამ კომპონენტის ფარგლებში, სესხის გაცემა დაუშვებელია.

- რამდენად დიდია მოთხოვნა ამ კრედიტზე?

- მოგეხსენებათ, ატმის მოსავალი მაღალია, რომლის შექმნას, დაბინავებას, ექსპორტს სჭირდება თანხები. მენარმეების ინიციატივასა და კრედიტუნარ-

„საექსპორტო პროდუქცია იმპორტიორი ქვეყნის მოთხოვნებსაც უნდა აკმაყოფილებდეს“

იანობაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად მოთხოვნადი იქნება ეს საკრედიტო პროდუქტი. თუ მენარმეებს საექსპორტო ბაზრებზე ხელი მიუწვდებათ და შეუძლიათ, დიდი რაოდენობით ექსპორტი განახორციელონ, ან გადაამუშავეთ, ან გადაამუშავებული სახით გაიტანონ საზღვარგარეთ, მაშინ, რა თქმა უნდა, დიდი ოდენობით გაიცემა კრედიტები. ამ კომპონენტის ფარგლებში, სახელმწიფო მზად არის, 25 მილიონი ლარის ოდენობის შელავათიანი აგროკრედიტების საპროცენტო ხარჯების თანადაფინანსება მოახდინოს, დანარჩენი დამოკიდებულია კერძო ინიციატივებზე.

- ამ კომპონენტში, შელავათიანი აგროკრედიტის აღებისას,

არის თუ არა დაწესებული ზედა და ქვედა ზღვარი?

- ზედა ზღვარი 10 მილიონი ლარია, ქვედა, პრინციპში, არ დაგვინებს.

- როდის დაიწყო პროექტი, რამდენ ხანს გასტანს და რამდენად დიდია დაინტერესება?

- პროექტი 20 ივნისს დაიწყო და სესხების გაცემა 20 აგვისტომდე გაგრძელდება. ბანკებში შესულია განცხადებები. ჩვენ საქმის კურსში ვართ, რომ ინტერესი ჯერჯერობით, სამმა მსხვილმა კომპანიამ დააფიქსირა. თუ მათსა და ფერმერებს შორის შედეგა იხდით გარიგება, რომელიც ხელსაყრელი იქნება, როგორც შემსყიდველისთვის, ასევე ატმის მნარმოებელი ფერმერისთვის და შეგროვდება ექსპორტისთვის საჭირო რაოდენობა, მაშინ ბანკებიც დააფინანსებენ ასეთ კომპანიებს.

- ხარისხის კონტროლს თავად საწარმო მოახდენს?

- დიას. საწარმო დაინტერესებულია ისეთი ხარისხის ვიზუალის მქონე პროდუქცია შეისყიდოს, რომელსაც ექსპორტზე გატანის შემთხვევაში პრობლემები არ შეექმნება. საექსპორტო პროდუქცია იმპორტიორი ქვეყნის მოთხოვნებსაც უნდა აკმაყოფილებდეს.

„მეექვსე კომპონენტის ერთადერთი მიზნობრიობა ატმის შექმნა გახლავთ. სხვა მიზნობრიობით, ამ კომპონენტის ფარგლებში, სესხის გაცემა დაუშვებელია“



შელავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში გაცემულია 391,680,675 ლარის ოდენობის 18,309 სესხი.

- პირველი კომპონენტი - 2,199,819 ლარის ოდენობის 5,448 უპროცენტო განვადება
- მეორე კომპონენტი - 220,180,574 ლარის ოდენობის 12,235 შელავათიანი აგროკრედიტი
- მესამე კომპონენტი - 67,327,799 აშშ დოლარის ოდენობის 571 შელავათიანი აგროკრედიტი
- მეხუთე კომპონენტი - 49,725,819 ლარის ოდენობის 53 შელავათიანი აგროკრედიტი
- მეექვსე კომპონენტი - 450,000 ლარის ოდენობის 2 შელავათიანი აგროკრედიტი

„ამ კომპონენტის ფარგლებში, სახელმწიფო მზად არის, 25 მილიონი ლარის ოდენობის შელავათიანი აგროკრედიტების საპროცენტო ხარჯების თანადაფინანსება მოახდინოს, დანარჩენი დამოკიდებულია კერძო ინიციატივებზე“

„ნებისმიერი შემსყიდველი, დამამზადებელი, რომელსაც სათანადო ინფრასტრუქტურა გააჩნია და ბანკს დაარწმუნებს, რომ ერთი მხრივ, შეძლებს იმ რაოდენობის შეძენას, რის გაყიდვასაც გეგმავს და მეორე მხრივ, შეძლებს იმ რაოდენობის პროდუქციის გაყიდვას, მოიპოვებს ბანკისგან დაფინანსებას“

- პროდუქტის ფასზე მოლაპარაკება მხოლოდ მენარმესა და ფერმერს შორის შედგება თუ სახელმწიფო დაარეგულირებს ფასებს?

- ფასი მოთხოვნა-მიწოდებით განისაზღვრება. აქაც, კვლავ ხარისხსა და რაოდენობას აქვს დიდი მნიშვნელობა. შესაძლებელია, მაღალმა მიწოდებამ ფასი დაბლა არ დანიოს, იმ შემთხვევაში, თუ ფერმერს კარგი ხარისხისა და ვიზუალის მქონდე პროდუქცია იმ ოდენობით აქვს, რომელიც აინტერესებს შემსყიდველ მენარმეს, მაღალი რაოდენობის გამო, შესაძლებელია, რომ ფასი დაბლა არ წამოვიდეს, ვინაიდან, რაც მეტი მსხვილი მომწოდებელი ფერმერი ეყოლება შემსყიდველ მენარმეს და რაც უფრო დიდი რაოდენობის და კარგი ხარისხის საექსპორტო პროდუქციის შესყიდვას შეძლებს, მით უფრო სერიოზულად აღიქმება, იმპორტიორის ან/და საბოლოო შემსყიდველის მხრიდან.

- რომელია ის სამი სანარმო, რომლებმაც განაცხადი შემოიტანეს და რა ოდენობის კრედიტზეა საუბარი?

- ერთ-ერთი გურჯაანში გახსნილი „ქართული ხილის კომპანია“, რომელიც დაინტერესებულია ამ კრედიტით და გეგმავს მონაწილეობას.

- უცხოელ ბიზნესმენებსაც აქვთ შეღავათიანი აგროკრედიტის აღების უფლება?

- რა თქმა უნდა. კრედიტის მიმღები იქნება ქართული სანარმო, რომელიც დაფუძნებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით და თუ ვინ იქნება დამფუძნებელი, ქართველი თუ უცხოელი, ამას მნიშვნელობა არ აქვს.


- გეოგრაფიულად შეზღუდულია კრედიტის გაცემა?

- არა. შესაძლებელია შეღავათიანი აგროკრედიტის გაცემა მოხდეს საქართველოს ყველა რეგიონში, სადაც ინარმოება ატმის პროდუქცია.

- შეღავათიანი აგროკრედიტის გაცემის დროს, პრიორიტეტული ის მენარმეები იქნებიან, რომლებიც ექსპორტზე მუშაობენ?

- ამ მხრივ, შეზღუდვა არ არსებობს. ნებისმიერი შემსყიდველი, დამამზადებელი, რომელსაც სათანადო ინფრასტრუქტურა გააჩნია და ბანკს დაარწმუნებს, რომ ერთი მხრივ, შეძლებს იმ რაოდენობის შეძენას, რის გაყიდვასაც გეგმავს და მეორე მხრივ, შეძლებს იმ რაოდენობის პროდუქციის გაყიდვას, მოიპოვებს ბანკისგან დაფინანსებას.

- „ანარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო ბანკებში მენარმეებს გარანტიორად უდგება, როგორ იქნება ამ შემთხვევაში, რა უზრუნველყოფას უკეთებს მენარმეს სახელმწიფო აგროკრედიტზე?



EXCLUSIVE



„კრედიტის მიმღები იქნება ქართული სანარმო, რომელიც დაფუძნებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით და თუ ვინ იქნება დამფუძნებელი, ქართველი თუ უცხოელი, ამას მნიშვნელობა არ აქვს“

ებს, რომ ერთი მხრივ, შეძლებს იმ რაოდენობის შეძენას, რის გაყიდვასაც გეგმავს და მეორე მხრივ, შეძლებს იმ რაოდენობის პროდუქციის გაყიდვას, მოიპოვებს ბანკისგან დაფინანსებას.

„სესხების გაცემა დაიწყო 20 ივნისს და გაგრძელდება 20 აგვისტომდე. მთავარია, მენარმემ დაარწმუნოს ბანკი, რომ ის კრედიტუნარიანია. განცხადების მიღებიდან უმოკლეს ვადაში გაიცემა კრედიტი, თუ მენარმეს კარგი სავაჭრო გამოცდილება აქვს. კრედიტი ექვსთვიანია, საპროცენტო განაკვეთი, 100 ათას ლარამდე კრედიტზე, 15%-ია, 100 ათასიდან, მილიონ ლარამდე - 14%, მილიონიდან 10 მილიონამდე კი - 13%“

- როგორც მოგეხსენებათ, „ანარმოე საქართველოში“, რომელიც პრემიერ-მინისტრის ინიციატივით შეიქმნა, ითვალისწინებს მენარმის მიერ აღებული კრედიტის მეორად უზრუნველყოფას, 30%-ის ოდენობით. მეექვსე კომპონენტში ატმის შეძენისთვის აღებული სესხების მეორადი უზრუნველყოფა გათვალისწინებული არ არის.

- მაშინ, რა შეღავათს მიიღებს მენარმე შეღავათიანი აგროკრედიტის აღებისას ამ კომპონენტში?

- ნლიური საპროცენტო ხარჯების თანადაფინანსებას განახორციელებს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო 9%-ის ოდენობით და თუ გავითვალისწინებთ, რომ მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი, რაც შეიძლება ბანკმა სესხზე დაადგინოს, 15%-ია, გამოდის, რომ მენარმე გადაიხდის მხოლოდ 6%-ს.

- რა ვადებში გაიცემა კრედიტი და როდის უნდა დააბრუნოს მენარმემ ის?

- სესხების გაცემა დაიწყო 20 ივნისს და გაგრძელდება 20 აგვისტომდე. მთავარია, მენარმემ დაარწმუნოს ბანკი, რომ ის კრედიტუნარიანია. განცხადების მიღებიდან უმოკლეს ვადაში გაიცემა კრედიტი, თუ მენარმეს კარგი სავაჭრო გამოცდილება აქვს. კრედიტი ექვსთვიანია, საპროცენტო განაკვეთი, 100 ათას ლარამდე კრედიტზე, 15%-ია, 100 ათასიდან, მილიონ ლარამდე - 14%, მილიონიდან 10 მილიონამდე კი - 13%.

- როგორ ხდება კრედიტის მიღება და რეგისტრირება აქვს თუ არა სოფლის მეურნეობის სამინისტროს კრიტერიუმები დაწესებული მენარმეების შერჩევას?

- მენარმეები რეგისტრირდებიან სოფლის მეურნეობის სამინისტროში. დარეგისტრირებულითა სია მოგვეწოდება ჩვენ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს, რომელიც მოგვიანებით, გადაგზავნება ბანკებს. კომპონენ-

ტი 20 ივნისს დაიწყო და დრო სჭირდება ინფორმაციის გავრცელებას. როგორც კი სოფლის მეურნეობის სამინისტრო შეადგენს და მოგვანვდის ჩვენ, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ინფორმაციას დარეგისტრირებული კომპანიების შესახებ, ჩვენ მაშინვე გაუგზავნით ამ ინფორმაციას ბანკებს და ისინი დაიწყებენ პოტენციური მსესხებლების შესწავლას.

კიდევ ერთს დავამატებდი, შეიძლება მენარმემ, პირობითად, აილოს 200 ათასი ლარი იმ გათვლით, რომ სრულად მოახმარს ამ თანხას ატმის შეძენას, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო, დანიშნულ 180 ათას ლარს, 9%-ის თანადაფინანსება განხორციელდება სწორედ ამ ნაწილზე და არა, სრულად აღებულ თანხაზე, ხოლო დანარჩენ 20 ათას ლარს მენარმე დააბრუნებს ბანკში, ან გადაუვა კომერციულ კრედიტში.

50 წელი

- უსასხულო წუთები ადგილობრივ ქსელებზე
- უსასხულო SMS-ები
- უსასხულო ინტერნეტი

მ>სტი უსასხულო

შეიძინეთ გადახდის აპჩატებში ან უფრით *010#OK

☎ 7036 - ჯეოსელიდან (ზახი უფასოა)

☎ 110110 - ყველა ქსელიდან

www.geocell.ge

რატომ დაითხოვეს პროექტ „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ მოხარულიები?

სალომე გოგობია

განათლების სამინისტრო მორიგ სკანდალში გაეხვია. საუბარია პროექტ „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“, რომლის მონაწილეების განცხადებით, პედაგოგთა პროფესიული განვითარების ცენტრმა, მათ, მოულოდნელად ხელშეკრულება შეუწყვიტა. პროექტში მხოლოდ ფილოლოგები და დანყებითი კლასის პედაგოგები დარჩებიან. დანარჩენებს ახალ კონკურსში მონაწილეობის მიღება „არ ურჩიეს“, რადგან პროექტში მაინც „ვერ მოხვდებიან“.

როგორც „პრაიმტიმის“ ამ პროექტის რამდენიმე მონაწილემ განუცხადა, 20 ივნისს ისინი ცენტრში დაიბარეს, სადაც ხელმძღვანელობამ მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ აუწყა.

პროფესიით ჟურნალისტი სალომე ქირიას თებერვალში პროექტში მუშაობის სამი წელი უსრულდება. ქართული ენას მარნეულის სოფელ საპირქეთში ასწავლის. ცენტრის გადაწყვეტილებას უსამართლოს უწოდებს. ამბობს, რომ ყველა ღონეს იხმარს პროექტში დასარჩენად.

„სანამ ცენტრის ამ გადაწყვეტილების შესახებ შევიტყობდით, მარნეულში ჩვენი კოორდინატორი იმყოფებოდა, რომელმაც გვითხრა, რომ სექტემბერში ხელშეკრულებას გააგრძელებთ და მუშაობას ჩვეულებრივად გააგრძელებთ. მოგვიანებით, ცენტრში განგვიცხადეს, რომ თურმე სხვა პროფესიის წარმომადგენლებს უფლება არ გვაქვს პროექტში დავრჩეთ. გარდა ფილოლოგებისა და დანყებითების. მიზეზები ვერ აგვიხსნეს. ცვლილებებზე ექსპერტები მუშაობენო. ხელმძღვანელი ვკითხე, ნუთუ შანსი არ მაქვს-მეთქი, არაო. ჩემმა კოორდინატორმა კი მითხრა, მაინც დარეგისტრირდი, რა იცი რა ხდებაო. გაურკვეველი პასუხები აქვთ. ერთი მეუბნება შინ წადი, შანსი არ გაქვსო, მეორე ამბობს, კი, შანსი გაქვსო. თუ სახლში გაგვიშვებენ ეს იქნება დიდი უსამართლობა. ეთნიკურ უმცირესობებს ქართული ენას ვასწავლი, რომლებმაც ეს ენა არ იციან, სოფელი ანსამბლი ჩამოვყავალივო, ცეკვის კლუბი, სოფელი გამოცოცხლდა და ახლა გვეუბნებიან, შინ წადითო. მე თუ წამოვალ ზუსტად ვიცი, იქ ყველა ჩვენი გაჩერდება. მთელ საქართველოს შევატყობინებ, რომ ეს არის დიდი უსამართლობა. სახლში იმიტომ წავიდა, რომ ჟურნალისტი ვარ? ძალიან კარგად ვიცი ქართული ენა და ლიტერატურა, პედაგოგთა სერტიფიცირების გამოცდაზე გასვლას ვაპირებ“. - გვითხრა სალომე ქირიამ.

პროექტის კიდევ ერთი მონაწილე ზაირა მიქაბაძე ასევე, ჟურნალისტი. იგი მარნეულში ქართული ენას 2012 წლიდან ასწავლის. როგორც აგვიხსნა, ამ პროექტის მონაწილეები დამხმარე მასწავლებლები არიან და მათ ძირითად დანიშნულებას ეთნიკურ უმცირესობებში ქართული ენის პოპულარიზაცია და ამ ენაზე კომუნიკაციის დამყარება წარმოადგენს. სკოლის გარდა, მათ იმ ოჯახებისთვის ქართულის სწავლება ევალებათ, სადაც ცხოვრობენ.

მისივე თქმით, მას კოორდინატორმა უთხრა, რომ პროექტში დარჩენის შესაძლებლობა აქვს. რასაც ერთი მიზეზით ხსნის.

„ცენტრში იციან, რომ ხელისუფლებაში ახლობლები მყავს, მაგრამ იციან, რომ უნდა დავრეგისტრირებულიყავი და არავინ შემეხებოდა. მართალია, ეს პრობლემა კონკრეტულად მე არ მეხება, მაგრამ ეს არასწორი მიდგომაა. ასეთი პრეცედენტი არ უნდა ხდებოდეს. მე მათ ვუთხარი, ამას ასე არ დავტოვებ-მეთქი. ეს იქნება იმის მაგალითი, რომ დამქირ-

განათლების სამინისტრო მორიგ სკანდალში ეხვება EXCLUSIVE



ავებელი დაქირავებულს ისე არ უნდა მოექცეს, როგორც მოეუბნებოდა. ეს ხალხი ამ პროექტს უნდა მოსცილდეს. თუ ცვლილება პროექტის მონაწილეების სახით უნდა განხორციელდეს, მაშინ უნდა ახალი სისხლი სჭირდებოდეს, ადმინისტრაციის შეცვლით მივლით საჭირო ახალი სისხლი. ამათ ძალიან ბევრი ლაფსუსი აქვთ. იგივე კონტრაქტთან დაკავშირებით. ხელშეკრულების მიხედვით, ჩვენ საათობრივ ანაზღაურებაზე ვართ. კაბალური ხელშეკრულებაა. ზაფხულის არდადეგებზე ხელფასი არ გვქმნება. იანვრის დასასრულში გამოგვიცხადეს, რომ იანვრის თვის ხელფასს ვერ აიღებთო. არადა, ხელშეკრულებაში არ სადა წერია, რომ იანვარში ხელფასი არ მოგვეცემოდა, გარდა ზაფხულის თვეებისა. იურისტს შეეშალა და ხელშეკრულებაში არ ჩაუნერიაო, გვიპასუხეს. ხმაური რომ ავტყებთ, ხელფასები სასწრაფოდ დაგვირიცხეს. თუ ბიუჯეტში ეს თანხები გათვალისწინებული არ იყო, მაშინ 500 კაცს სასწრაფოდ როგორ დაგვირიცხეს? თუ გათვალისწინებული იყო, მაშინ რატომ გვიკავებდნენ და სად მიდიოდა ჩვენთვის გამოყოფილი თანხები? ეს კითხვები არსებობს“. - ამბობს მიქაბაძე.

ცნობისთვის, აღნიშნული პროექტი წინა ხელისუფლების პერიოდში ამოქმედდა. ეს მეთოდი ამერიკასა და ევროპის ქვეყნებში აპრობირებულია. როგორც წინა ხელისუფლების მესვეურები ამბობენ, ქართულ რეალობასთან მორგებული პროექტი წარმატებით განხორციელდა.

იდეა იყო ის, რომ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მივლინებულ ბაკალავრის ხარისხის მქონე პირებს, სახელმწიფო მაგისტრატურაზე სწავლებას უფინანსებდა. მოხალისეები ეთნიკურ უმცირესობებში ქართული ენის პოპულარიზაცია, ადგილობრივებთან ქართულად კომუნიკაცია ევალებოდათ. პროექტის ფარგლებში, დამხმარე მასწავლებლებს ხელფასის სახით 500 ლარი ერიცხებოდათ. აქედან, 100 ლარი მასპინძელ ოჯახს უხდიდნენ, სადაც პროექტის მანძილზე ცხოვრობდნენ.

„პრაიმტიმთან“ საუბარში განათლების ყოფილი მინისტრი დიმიტრი შაშკინი აცხადებს, რომ ეთნიკურ უმცირესობებში დასახლებულ რეგიონებში სიტუაცია კარდინალურად მას შემდეგ შეიცვალა, რაც პროექტი „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ განხორციელდა.

„ამ პროექტის არსი იყო, რომ პროექტის მონაწილეებისთვის ქართული ენა მშობლიური ენა უნდა ყოფილიყო. არ იყო მოთხოვნა, რომ მაინცდამაინც ფილოლოგები ყოფილიყვნენ, რადგან ადგილზე ქართული ენის მასწავლებლები იყვნენ. პროგრამის მონაწილე იმისთვის ჩადის იქ, რომ ბავშვებს ქართული შეეყვაროს და ამ ენაზე ელაპარაკოს. მისი როლი გრამატიკის სწავლებაში ბევრად ნაკლებია. თორემ, იქ 1000 ლარიან მასწავლებლებს ვუშვებდით. მთავარი



„ხმაური რომ ავტყებთ, ხელფასები სასწრაფოდ დაგვირიცხეს. თუ ბიუჯეტში ეს თანხები გათვალისწინებული არ იყო, მაშინ 500 კაცს სასწრაფოდ როგორ დაგვირიცხეს? თუ გათვალისწინებული იყო, მაშინ რატომ გვიკავებდნენ და სად მიდიოდა ჩვენთვის გამოყოფილი თანხები? ეს კითხვები არსებობს“



ამოცანა იყო ამ სკოლებში ქართულის პოპულარიზაცია. პროექტის მონაწილეებმა მომწერეს, რომ კონტრაქტი შეუწყვიტეს, რადგან ფილოლოგები არ არიან. მე ვთვლი, რომ ეს არის დიდი შეცდომა, როცა მონაწილეებს ამ ნიშნით ზღუდავენ“. - ამბობს შაშკინი.

ყოფილი მინისტრი ამჟამინდელს მოუწოდებს, რომ უკვე გაკეთებულს ნუ დაანგრევს და სისტემაში არსებულ სხვა პრობლემების მოგვარებაზე იზრუნოს.

„ნუ ანგრევენ იმას, რაც კარგია. მილიონი პრობლემაა სხვა, რომლის მოგვარება ვერ მოვასწარით ვერც მე და ვერც ჩემმა წინამორბედებმა. სხვებთან შედარებით, ყველაზე ბევრი პრობლემა განათლების სისტემაშია. რატომ ანგრევს რაც მუშაობს, რაც კარგია? ეს ჩემთვის გაუგებარია. ამიტომ ვეძახი ამ მინისტრს მავნებელს. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ამ ხალხს არ ესმით რას აკეთებენ, ან მეორე ვარიანტია, შეგნებული მავნებლები არიან“. - ამბობს შაშკინი.

„პრაიმტიმთან“ საუბარში პროექტში მიმდინარე ცვლილებებს ადასტურებს მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორის მოადგილე ირინა აბულაძე. მისივე თქმით, ცენტრის მოთხოვნები იცვლება. აქამდე სპეციალობაზე ყურადღებას არ ამახვილებდნენ, თუმცა, მომავალში ასე არ მოხდება და კონკურსანტის შერჩევისას მის განათლებას გაითვალისწინებენ.

ტორის თანამასწავლებლად მონაწილეობა, მაშინ ისტორია, გეოგრაფია ან საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფი უნდა ჰქონდეს დამთავრებული. რაც შეეხება არსებულ მონაწილეებს, არ მინდა კრიტიკა გამოვიყენო, მაგრამ ზოგიერთი კონკურსის პირობებს არ შეესაბამება. თუმცა, მათ პროექტში გამოცდილება აქვთ, თუ დამაკმაყოფილებელ შედეგებს აჩვენებენ, შეიძლება ისინიც დაფუძვან. ამაზე ვმუშაობთ. პროგრამა კიდევ უფრო ხარისხზე ორიენტირებული გახდება. ამ ადამიანებს ადგილზე ძალიან დიდი პასუხისმგებლობა აქვთ. მათ უნდა დაადასტურონ, რომ საგნის მიწინააღმდეგეები არიან მაინც აქვთ. კანდიდატები ჯერ ტესტირებას გაივლიან, შემდეგ გასაუბრებას. ამ პროგრამაში ძალიან დიდი თანხები იხარჯება. ამიტომ, იმის ფუფუნება, რომ ხარისხზე ორიენტირებული არ ვიყოთ, არ გვაქვს“. - აცხადებს აბულაძე.

მისივე თქმით, ცენტრს პროექტის მონაწილეებთან კონტრაქტი ჯერჯერობით არ გაუწყვიტია.

„პროგრამის მონაწილეებს კონტრაქტი როდემდე აქვთ, არ ვიცი, მაგრამ მანამდე ხელშეკრულებას არავინ შეუწყვიტს. ხელშეკრულებები უპირობოდ არც მანამდე უგრძელდებოდათ. მონიტორინგის შედეგებზე დაფუძნებით და გასაუბრებას შემდეგ, ცენტრი გადაწყვეტილებას იღებდა ხელშეკრულების გაგრძელებაზე. მათ ის პრობლემა აქვთ, რომ პროგრამას იცნობენ და მათი მუშაობის ხარისხი ვიცით. ეს მათ სასარგებლოდ იმუშავებს. არავინა ორიენტირებული იმაზე, რომ პროექტიდან გაუშვან. ვინც პროგრამაში უკვე სამი წელია, მაგრამ ფილოლოგის ხარისხის არ აქვს, ის ტესტირების ეტაპს გამოიშვება და მხოლოდ გასაუბრებას გაივლის“, - განაცხადა აბულაძე.

IAA - აშშ-დან ავტომანქანების იმპორტი მარტივი და ხელისაწყოია



მაგდა კლდიაშვილი

„ინშურენს ოთო ოქშენსი“ (IAA) მეორადი ავტომანქანების აუქციონების მომსახურების წამყვანი კომპანიაა ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელიც ყველანაირ მსუბუქ თუ სატვირთო ავტომანქანას, ქროსოვერს და მოტოციკლს ყიდის. სპეციალი-



ზაციის სფერო მოიცავს მსუბუქ და ზიანებულ და აღდგენად ავტომანქანებს, დაბრუნებულ ნაქურდალ ავტომანქანებს. IAA ყოველ სამუშაო დღეს მომხმარებელს სთავაზობს ათასობით გასაყიდ მანქანას 150-ზე მეტ ავტოაუქციონზე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში, ინტერნეტის მეშვეობით, რეალურ დროში, მომხმარებელს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს აუქციონში და გააკეთოს ონლაინ განაცხადი, მისი მიმდინარეობის პროცესში, სხვა მყიდველებთან ერთად. ავტომანქანის დათვალიერება შესაძლებელია ნებისმიერ დროს, მისამართზე www.iaai.com

„IAA მოტორსი“ საქართველოში, შეერთებული შტატებიდან, ევროპასა და იაპონიიდან, 2004 წლიდან აწარმოებს ავტომობილთა საქართველოში. ოფიციალური წარმომადგენლობა კი „ინშურენს ოთო ოქშენსის“ 2011 წელს გახდა. კომპანია მომხმარებელს ახალ სერვისსაც სთავაზობს. პირს, რომელს-

აც მანქანის შეძენა სურს IAA-ს დახმარებით, შეუძლია მანქანის ღირებულების 35% გადაიხადოს, დანარჩენი კი მისი ჩამოყვანის შემდეგ. ფინანსირების პროექტი ვრცელდება იმ ადამიანებზეც, რომლებიც რამდენიმე ავტომობილის ერთად შეძენას დაგეგმავენ.

როგორც კომპანიის დამფუძნებელი და დირექტორმა, ირაკლი კუხიანიძემ განაცხადა, მოთხოვნიდან გამომდინარე, „ინშურენს ოთო ოქშენსმა“ თბილისსა და ბაქოში ოფიციალური წარმომადგენლობა გახსნა.

„IAA მოტორსი“ 2004 წლიდან, საქართველოში ავტომობილთა აშშ-დან, ევროპიდან და იაპონიიდან აწარმოებს. 2011 წელს გავხდით ოფიციალური წარმომადგენლობა იმ კომპანიისა, რომელიც ერთ-ერთი უმსხვილესი ავტოაუქციონია მსოფლიოში, მისი მთავარი ოფისი აშშ-ში მდებარეობს. რუსთაველი გავხსენით ოფისი, შემდეგ გვქონდა შეხვედრა დილერებთან, ვინც ჩვენს მანქანას

ყიდულობს. ახლა გვაქვს შეხვედრები ბანკებთან, რათა გავაცნოთ მათ პროდუქტი. გავხსენით ოფიციალური წარმომადგენლობა თბილისსა და ბაქოში. ფინანსირების პროექტსაც ვინყებთ, თუ ადამიანს არ აქვს თანხა, რომ სრულად გადაიხადოს ავტომობილის საფასური, მას ვახდევინებთ 35%-ს, დანარჩენს კი ავტომობილის ადგილზე ჩამოსვლის შემდეგ ფარავს. მეორე პროდუქტით კი, იმ ხალხს, ვინც ავტომობილებს ყიდვა-გაყიდვით არის დაკავებული, საშუალებას ვაძლევთ საბრუნავი საშუალება გაზარდონ და მანქანებს 30%-ის თანამონაწილეობით ჩამოეყვანონ“, - განაცხადა კუხიანიძემ.

„IAA მოტორსი“-ს ოფიციალური წარმომადგენლობის გახსნაზე იმყოფებოდა IAA-ს ვიცე-პრეზიდენტი, დენ ოსკარსენი, რომელმაც განაცხადა, რომ ქართული ბაზარი ამ ბიზნესისთვის ძალიან კარგია.

„ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ქართული ბაზარი ჩვენთვის მართლაც ძალიან კარგი იყო. 2011 წელს კავშირი დავამყარეთ „IAA მოტორსთან“ და გადავწყვიტეთ, საქმე გავგვეფართოებინა, ვინაიდან საქართველოში მყიდველი არა მხოლოდ ქართველია, არამედ რეგიონებიდანაც ჩამოდიან, მათ შორის, აზერბაიჯანიდანაც, ამის გამო იქაც გავხსენით ოფიციალური წარმომადგენლობა. ჩვენი სერვისი ინდივიდუალურ მყიდველებზეა მორგებული. ამერიკაში მანქანების ფასი ძალიან მაღალია, თუმცა, როგორც კი რამე უზიანდება, მაშინვე კარგავს ფასს. ავტომობილის ნაწილებიც და მუშახელიც ძალიან ძვირია, საქართველოში კი შეკეთება ძალიან იაფი ჯდება“, - განაცხადა ოსკარსენმა.

კომპანია ნაყიდი მანქანების საქართველოში ჩამოყვანას 4-6 კვირაში უზრუნველყოფს.



WWW.REMONTTEBI.GE



ჩვენი კვალიფიციური და ენერგიული მომსახურე პერსონალი ყველაზე უმოკლეს ვადებში და ხარისხის უმაღლესი გარანტიით შეასრულებენ თქვენს დაკვეთას

597 370901 599 370901 555 050717



my View
სათუნა
მგალოპლივილი

არ არის გამორიცხული, არჩევნებზე არჩევნების გამო, ადმინისტრაციული საწესრიგო არჩევნების დაწესება. საპარლამენტო უმრავლესობის წევრების ნაწილს მიაჩნია, რომ ეს საუკეთესო გამოსავალი იქნება პრობლემის მოსახსნელად. მაგალითად კი გვხვდება ფოფხაძის არჩევნების მოწყობის სახსნელად. მაგალითად კი გვხვდება ფოფხაძის არჩევნების მოწყობის სახსნელად. მაგალითად კი გვხვდება ფოფხაძის არჩევნების მოწყობის სახსნელად.

გვხვდება ფოფხაძე, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი:

City - 11 ასოსგან შედგება. იმ კონკრეტული ტერორისტის სახელი, რომელმაც ჯერ კიდევ შორეულ 1996 წელს დაგვმა ზემოთ ხსენებული ტერაქტი, იყო რამსინ იუსეფი (Ramsin Yuseb) და მისი სახელი და გვარი 11 ასოსგან შედგებოდა. ამერიკის იმჟამინდელი, მოქმედი პრეზიდენტის სახელი და გვარიც George W Bush - ჯორჯ ბუში, ასევე საბედისწერო 11-ს შეადგენდა. საყოველთაოდ ცნობილი ტრაგედია ნიუ-იორკის შტატში, კუნძულ მანჰეტენზე მოხდა, ხოლო თავად ნიუ-იორკის შტატი რიგით მე-11 შტატად არის მიჩნეული. თვითმფრინავში, რომლის რეისის ნომერიც ასევე საბედისწერო 11 იყო 92 ადამიანი იჯდა (9-ის და 2-ის ჯამი კი მოგვხსენებთ ასევე 11-ია), ხოლო თავად 11 სექტემბერი წელიწადის რიგით 254-ე დღეა, ამ ციფრების ჯამი კი ისევე და ისევე საბედისწერო 11 უდრის.

ამოუცნობი ფაქტების გარდა ჩვენს სამყაროში უამრავ მისტიკურ ამბავს ვხვდებით. მისტიკა არის ადამიანის ფანტაზია, რომელიც სცდება ყოველგვარ რეალობას. მეცნიერები და მედიუმები, მისტიკურ ამბავს ახსნას ვერ უძებნიან. სწორედ ამიტომ მიაწერენ მათ ერთგვარ პარანორმალურ მოვლენებს. თუმცა მსგავსი ამბავით დაინტერესებულ ადამიანებს სპეციალისტები გვეუბნებიან, რომ ყველა ადამიანს გვაქვს აურა, რომლის დანახვაც მედიტაციისა და მაქსიმალური კონცენტრაციის დროს შეგვიძლია, რადგან თურმე როდესაც ადამიანები მედიტირებენ, სრულ სიმშვიდეში იმყოფებიან, სრული სიმშვიდის დროს კი ამოუცნობი მისტიკა და პარანორმალური მოვლენები ჭკუიდან ნამდვილად ვერავის გადაიყვანს.

გაგიგათ უცნაური ხმები მაშინ, როდესაც სახლში მარტო ხართ? დაგიხსნათ თქვენს ადამიანი მოჩვენება? ასე რომ, თუ მსგავსი შემთხვევა ერთხელ მაინც ყოფილა თქვენს ცხოვრებაში, არ შეშინდეთ, იცოდეთ, რომ თქვენ მარტო არა ხართ. მილიონობით ადამიანი ყოფილა და არის ამ ფენომენის მომხრე, რომელსაც მოჩვენებებს უწოდებენ. ყველაზე გავრცელებული თეორიის თანახმად ადამიანი მოჩვენება არის სული განსაკუთრებულად ძლიერი ენერგიით, რომელსაც ერთგვარი სფეროს, ბირთვის ფორმა აქვს. ფორზე ალბეჭდილი მათი გამოსახულებებიც ამას ადასტურებს. არსებობდა ეს თეორია ხსნის, რომ მოჩვენების ენერგიის დანახვა შეუიარაღებელი თვალთ შეუძლებელია, თუმცა ფირი აფიქსირებს მას და ძლიერი ენერგიის მქონე სფეროს შედეგად ნათელ გამოსახულებად ჩნდებიან. თუმცა სხვა თეორიის დახმარებით მეცნიერები გვისხნიან, რომ მოჩვენების დანახვისას ადამიანი ნამიერად სხვა განზომილებაში გადადის. სავარაუდოდ ეს განზომილება კარგად არის შერწყმული ჩვენს სამყაროსთან. პარანორმალური მოვლენების ბევრი მკვლევარი ცდილობს გაიგოს უფრო მეტი ამ საკითხის გარშემო, თუმცა, სამწუხაროდ, ამ თეორიის დასასაბუთებლად ხელჩასაჭიდი არაფერი გვაქვს. როდესაც საქმე მისტიკასა და პარანორმალურ მოვლენებს ეხება, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვიმსჯელოთ და რაიმე თეორიები ჩამოვყავალიბოთ.



სააგენტო „პროფილა“ ქართული ბრენდის დღის უშალედურ პროექტ „ბრენდ მარათონს“ უმასპინძლა

ნანა შონია

საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო „პროფილა“ არაგვის სათავადასავლო ცენტრში, ქართული ბრენდის დღის უშალედურ პროექტს „ბრენდ მარათონს“ უმასპინძლა. პროექტი, სადაც ქართული ბრენდები ერთმანეთს ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციაში, ჯომარდობაში ეჯიბრებიან, ამჯერადაც საინტერესო და თავგადასავლებით აღსავსე აღმოჩნდა.

პროექტს, რომელსაც სპონსორობას ჭიპლარის სისხლის ბანკი „ჯეოქორდი“, და „თელავის ღვინის მარანი“ უწევენ, თავგადასავლებით აღსავსე აღმოჩნდა.

წელს პირველობისთვის ერთმანეთს „ჰეარლაინი“, „ენმედიცი“, „კუზანოვ დენტი“, „დავით გაგუას კლინიკა“, „პსპ“, „ქალთა ბედნიერება“, „ჯეოქორდი“, დაუპირისპირდნენ. 15-კილომეტრიანი საკმაოდ დატვირთული გზის გაგლა ყველაზე სწრაფად კომპანია „პსპ“-მ შეძლო და პირველი ადგილიც დაიმსახურა. მეორე ადგილი წილად ზედა კლინიკა „ენმედიცს“, მესამე ადგილი კი „ქალთა ბედნიერებამ“ დაიმსახურა.

მანანა გეგიძე, სააგენტო „პროფილის“ დამფუძნებელი: - კმაყოფილი ვარ, მიხა-



რია, რომ შედგა ქართველი ბრენდების მარათონი. მინდა მივულოცო ყველას დღევანდელი დღე.

პირველი ადგილის მფლობელი გახდა „პსპ“ ჯგუფი, მეორე ადგილზე გავიდა კლინიკა „ენმედიცი“, მესამეზე კი „ქალთა ბედნიერება“. სულ რამდენიმე წამი დააკლდა და-

ვით გაგუას კლინიკას, რომ მესამე ადგილი მოეპოვებინა, თუმცა აქ წამები წყვეტდა ყველაფერს. იყო არაჩვეულებრივი გარემო და ყველამ ერთად, არაგვის სანაპიროზე, არაჩვეულებრივი ბუნების ფონზე მოილხინა. ბრენდებმა გაიცნეს ერთმანეთი და გაუზიარეს თავიანთი შეხედულებები. მადლობა არაგვის სათავადასავლო ცენტრს არაჩვეულებრივი პიკნიკისთვის, თელავის ღვინის მარანი - ღვინისთვის და სააგენტო „პროფილის“ ყველა თანამშრომელს, რომ თავი არ დაზოგეს. ეს იყო რიგით მეორე ბრენდმარათონი და ჩვენ ვიძლევიტ პირობას, რომ მომავალ წელს ის კიდევ უფრო მეტად გრანდიოზული გახდება.

კონსტანტინე ჯავახიშვილი, „პსპ“-ს ქსელის განვითარების მენეჯერი: - ჩვენ შარშანაც მივიღეთ მონაწილეობა ამ ტურნირში. შარშან მეორე ადგილი გვერგო, სულ რაღაც ერთი წამით წავაგეთ. წელს მართლაც იმ განწყობით მოვედით, რომ უნდა მოგვეგო და გამოგვივიდა კიდევ ეს ყველაფერი. ძალიან გახარებულები ვართ, მადლობა ორგანიზატორებს ასეთი სახალისო ტურნირისთვის კომპანიებს შორის. ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება ყველაზე პრიორიტეტული საქმეა, მით უფრო დატვირთული მუშაობის შემდეგ.

კობა ბურნაძე, კლინიკა „ენმედიცის“ გენერალური დირექტორი:

- მართალია დღეს მეორე ადგილი ავიღეთ, მაგრამ „პსპ“-ემ დამსახურებულად მიიღწია წარმატებას და ამიტომაც ჩვენ მათ ამ გამარჯვებას მთელი გულით ვულოცავთ. ჩვენი



კომპანიის ბევრი წარმომადგენელი იყო დღეს აქ და ყველამ დადებითი ენერჯია მიიღო. ძალიან დიდი მადლობა ორგანიზატორებს ამ არაჩვეულებრივი დღისთვის.

გელა ბეროშვილი, დავით გაგუას კლინიკის ფინანსური დირექტორი: -

ჩვენ, შარშანდელი გამარჯვებულები ვიყავით, მაქსიმალურად პოზიტიურად ვაფასებთ ამ ყველაფერს. ძალიან დიდი სიამოვნებაა ბრენდებს შორის ურთიერთობები და მით უფრო ასეთი ფორმით. ამისთვის დიდი მადლობა ორგანიზატორებს.



ალექსანდრე ფეხბურთს ვერ ელევა

ალექსანდრე იაშვილი: „ყოველთვის ვიცოდი და მინდოდა ცხოვრება საქართველოში“ EXCLUSIVE

„მსურდა გარედან შემეხედა ფეხბურთისთვის, გამეგო, რა მინდა მე თვითონ. როდესაც 21 წელი პროფესიონალი ფეხბურთელი ხარ და უკვე იმ ფეხბურთელის ასაკში შედიხარ, როცა თავის დანებებაზე ფიქრობ, რთულია გადაწყვეტილების მიღება“

„ახლა უკვე იმასაკში არ ვარ, მარტო ჩემს თავზე ვიყო დამოკიდებული. ოჯახი, ბავშვები ჩამოვიყვანე საქართველოში. ყოველთვის ვიცოდი და მინდოდა ცხოვრება საქართველოში, ამიტომ, ახლა წასვლაზე ოჯახით სადმე, გამოირიცხულია საუბარი“



იაშვილი ეროვნულ ნაკრებში ერთ-ერთი გამორჩეული იყო, რომელიც მეკრებზე კონტაქტს ყველასთან წყვეტდა, რეჟიმს არასდროს არღებდა, ყველასთვის მისაბაძი პროფესიონალი იყო, როგორც მოედანზე, ისე მის გარეთ. ცოტა ხნის წინ, კარიერა ლევან კობიაშვილმაც დაასრულა. ორივე ეს ადამიანი ეროვნული ნაკრებიდან მადლობისა და ოვაციების გარეშე გაუშვეს. შესაძლოა, ჩვენს საფეხბურთო ნაკრებს დიდი შედე-



მაგდა კლდიაშვილი
ბოლო მატჩი 12 მაისს, „გაბა-ლას“ წინააღმდეგ ითამაშა. შესაძლოა, ბაქოს „ინტერის“ მაისური, ბოლო იყოს, რომელიც მას ჩაუცვამს. ალექსანდრე იაშვილის კარიერის დასრულება ჯერ არ გადაუნწყვტავს, თუმცა არც ის იცის, გააგრძელებს თუ არა თამაშს. ერთ მხარეს ოჯახია, რომელიც საქართველოში გადმოიყვანა, მეორე მხრივ კი საქმე, რომელსაც მთელი ცხოვრება ემსახურება. საქართველოში სანამ ჩამოვიდოდა, დაისვენა, როგორც თავად ამბობს, ფეხბურთის შორიდან შეხედა, მაგრამ გადაწყვეტილება მაინც ვერ მიიღო. რას განიცდის ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი და არა მარტო ქართველებისთვის, არამედ გერმანელებისთვისაც საყვარელი ფეხბურთელი, ჩამოვიდნენ ბუცებს ლურსმანზე თუ გააგრძელებს თამაშს - ალექსანდრე იაშვილის პირადი ტრადიციის „პრაიმტიმის“ ობიექტივში.

- ბაქოს „ინტერთან“ კონტრაქტი დაგისრულდა. აპირებ თამაშის გაგრძელებას თუ ასრულებ კარიერას?

- სიმართლე გითხრათ, პირველ რიგში, კარგი დასვენება მინდოდა. ასე ვთქვათ, მსურდა გარედან შემეხედა ფეხბურთისთვის, გამეგო, რა მინდა მე თვითონ. როდესაც 21 წელი პროფესიონალი ფეხბურთელი ხარ და უკვე იმ ფეხბურთელის ასაკში შედიხარ, როცა თავის დანებებაზე ფიქრობ, რთულია გადაწყვეტილების მიღება. ჩემი აზრით, ეს ერთი კვირა, როდესაც არ ვიყავი საქართველოში და წასული ვიყავი დასვენებლად, ძალიან დამეხმარა, მაგრამ მთლიანობაში მაინც ვერ გადაწყვეტიე, დავანებებ თუ არა თავს ფეხბურთის თამაშს.

- შემოთავაზებები გაქვს გუნდებიდან?

- კი, მაგრამ წასვლაზე ნაკლებად არის საუბარი. იმიტომ, რომ ახლა უკვე იმ ასაკში არ ვარ, მარტო ჩემს თავზე რომ ვიყო დამოკიდებული. ოჯახი, ბავშვები ჩამოვიყვანე საქართველოში. ყოველთვის ვიცოდი და მინდოდა ცხოვრება საქართველოში, ამიტომ, ახლა წასვლაზე ოჯახით სადმე, გამოირიცხულია საუბარი. ამ ეტაპზე, მე თვითონაც ვფიქრობ, რომ შეიძლება დავანებო თავი, მაგრამ რამდენიმე დღე მაინც დამჭირდება გადაწყვეტილების მისაღებად.

- ლევან კობიაშვილმა კარიერას თავი ცოტა ხნის წინ დაასრულა. თუ უყურე მის წასვლას და რას ფიქრობ, როდესაც შენც იგივე გზა უნდა გაიარო?

- რთულია და ამიტომაც არის, რომ ამ გადაწყვეტილების მიღება გიჭირს და ცდილობ, ხომ არ ჯობს, კიდევ რამდენიმე თვე ითამაშო. ბოლო-ბოლო ეს როდესაც ხომ დასრულდება. რთულია, ამ გადაწყვეტილების მიღება და სწორედ ამიტომ ვფიქრობ ამდენი ხანი ამას.

- კარიერის დასრულების შემდეგ, ქართულ ფეხბურთში რაიმე სახით ჩართვას ხომ არ აპირებ?

- მაქვს რალაც მოფიქრებული, მაგრამ ყოველთვის ჯობია, ერთი საქმე აკეთო. სანამ ვითამაშებ, სანამ გადაწყვეტ, ვითამაშებ თუ არა, როცა ამ გადაწყვეტილებას მივიღებ, შემდეგ შემიძლია სხვა ეტაპზე ვისაუბრო. ჯერ, რაც ჩემთვის მთავარი გადასაწყვეტია, ვითამაშო თუ დავანებო თავი, ეს უნდა მოვიფიქრო.

- კახი კალაძემ განაცხადა, რომ ლევან კობიაშვილი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე იყრის კენჭს. მიესალმები თუ არა ლევანის ამ გადაწყვეტილებას და სჭირდება თუ არა ქართულ ფეხბურთს ახალი სისხლი?

- ჯერ მიიღოს ეს გადაწყვეტილება „კობიშ“, ეს მხოლოდ მისი გადასაწყვეტია. რაც მთავარია, ყველამ იცის, რომ ლევან კობიაშვილმა, ხელი რასაც მოკიდა, საქმე გააკეთა საუცხოოდ. ის შრომისმოყვარე, ნესიერი, პატიოსანი და ძლიერი ადამიანია. ჩემი აზრით, მას რა მიზნებიც ექნება, დაისახავს და ყველანაირად შეეცდება, რომ მაქსიმალურად გააკეთოს.

- საქართველოს ეროვნულ ნაკრებზე გკითხავ. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ძალიან რთული მეტოქეები გეყავს. რა შედეგის მიღება შეუძლია საქართველოს ნაკრებს?

- ნაკრების მთავარი მიზანია, რომ მოხვდეს იმ სამ გუნდში, რომელიც იბრძოლებს ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად. ყოველ შემთხვევაში, მიზანი ეს უნდა იყოს და თამაშებიდან დასკვნები უნდა გაკეთდეს ფეხბურთელებზე, რომელი მოთამაშე გამოადგება ნაკრებს ამ მიზნის მიღწევაში.

P.S. ხშირად მსმენია ქართველი ფეხბურთელებისგან, რომ ალექსანდრე



„ამ გადაწყვეტილების მიღება გიჭირს და ცდილობ, ხომ არ ჯობს, კიდევ რამდენიმე თვე ითამაშო. ბოლო-ბოლო ეს როდესაც ხომ დასრულდება“



„ადამიანი თვითონ ქმნის თავის ბედს, თავის ცხოვრებას, თუმცა, ალბათ, გამართლებაც არის. მე არ გამოვჩენილვარ უცებ. ამ ყველაფერს წინ უძღოდა დიდი შრომა. რასაც მივალნიე, ეს ყველაფერი არის ნაყოფი ძალიან დიდი შრომის და დიდი გათვლების, თითქმის მათემატიკური გათვლების“

ლელა ნურნუშიას პრაიმტაიმი

გაგჩერდეს, არა, იმას კი არ ვამბობ, რომ უშეცდომო ვარ, უბრალოდ, არის რაღაცები, რაც შეიძლება სხვამ არ გაითვალისწინოს და მე ვითვალისწინებ. ხშირ შემთხვევაში ენას კბილს ვაჭერ ხოლმე და არის რაღაცები, რაც შეიძლება თქვა, მაგრამ არ ვამბობ, ან ხმამაღლა არ ვამბობ იმას, რასაც ვფიქრობ; მოკლედ, ვიცი სად რა უნდა ვთქვა, რა არ უნდა ვთქვა. ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ მე ჩემს ნაშრომს ვუფრთხილდები, იმიტომ რომ, ეს ყველაფერი ჩემი შრომით მოპოვებულია და იმიტომ რომ ვილაცას სჭირდება, ფეხქვეშ ვერ ამოვადებინებ! მე ვამაყობ ჩემი გაკეთებული საქმით, იმ პროფესიით, რომელიც მაქვს და მე მიყვარს, პირველ რიგში, ჩემი მასწავლებელი, პატივს ვცემ ჩემს მასწავლებელს, იმ ადამიანებს ვისაც უყვართ ჩემი ხელოვნება, ჩემი შემოქმედება და ერთგულად მომყვებიან და იმბათაც, ვინც არ მომყვება!

- როგორ ფიქრობთ, პირად ბედნიერებაშიც მათემატიკური გათვლებია საჭირო, რომ შეინარჩუნო და არ გააქცეს ხელიდან?

- არა, ასე პირად ურთიერთობებზე ნუ ვიტყვი... უბრალოდ, მე საკმაოდ გვიან შევქმენი ოჯახი, 31 წლის ვიყავი და უკვე ვიცოდი რა მინდოდა. ჩემი პროფესიიდან, ხასიათიდან გამომდინარე, ძალიან რთულია კაცმა გაითვალისწინოს ეს ყველაფერი, ყველა კაცი ამას ვერ აიტანს, კაცს სჭირდება ცოლი, რომ სახლში დაელოდოს, დაახვედროს საუზმე, სადილი, ვილაცას ასეთი ცოლი უნდა და ჰყავს კიდევ, ღმერთმა ხელი მოუშარტოს, მაგრამ ჩვენ ხომ არანორმალურები ვართ? ამიტომ ვიპოვე ჩემი არანორმალური ადამიანი, რომელმაც ძალიან კარგად ამიწყო ფეხი. კარგი მეგობრები ვართ, კარგი პარტნიორები ვართ, საქმეში ერთად ვართ, ძალიან ბევრი საერთო მეგობარი გყავს და იმდენად კარგად შევისწავლეთ ერთმანეთი, ხანდახან მგონია, რომ ჩემი ძმა არის, თითქოს ერთი დედის მუცელში ვიჯექით...

- ანუ შეგვიძლია ვთქვათ, რომ თქვენ თქვენი საუკეთესო პერიოდი, პრაიმტაიმი თქვენი შრომით მოიყვანეთ თქვენს ცხოვრებაში?

- შრომითაც მოვიყვანე და ჩემი დამოკიდებულებითაც პროფესიის მიმართ; ბუმერანგივითაა, ყველაფერი უკან გიბრუნდება.

- არც თუ ძნელია რესპონდენტს ათქმევინო, დააცდინო ის, რის თქმასაც არ აპირებდა, რაც მას არ უნდოდა, ეს პრაქტიკულად შეუძლებელია თქვენ შემთხვევაში, უფრანკისტი კი არა, მონოლოლა უფრო ვერ გათქმევინებთ იმას, რისი თქმაც არ გსურთ. ეს გამოიმუშავეთ თუ თქვენი ხასიათი და მორჩა?

- ეს ჩემი ხასიათია. საერთოდ, ჯერ ვფიქრობ და მერე ვამბობ. ლაპარაკს

მომენტში ვფიქრობ, ფიქრი და თქმა ერთია, ხომ იცი პუბლამ ფრთები აქ გააქნია და იქ ცუნამი მოხდაო, ასეა ზუსტად... არ ვიცი როგორ ავხსნა...

- ანუ ენა არ გისწრებთ წინ.

- არა რა, ენა არ მისწრებს წინ... ამის გარდა, მოუხედავად ჩემი პოპულარობისა, მიუხედავად იმისა, რომ მსმენელს, მასწავლებელს უნდა მიანდო ინფორმაცია შენ



შესახებ, რადგან მას ეს აინტერესებს, მე არ მიყვარს ჩემს პირად ცხოვრებაზე საუბარი, ვარს რომ მოვიკეცავ, იმის იქით არავის საქმე არ არის. ზღვარი მაქვს ყველასთან, ქმარია, შეილია, დედაა, არა აქვს მნიშვნელობა, ყველასთან მაქვს რაღაცა ზღვარი, იმ ზღვარს არავინ უნდა გადმოვიდეს; ასე ვარ მეგობრებთანაც, არ მიყვარს ათქმევინო ურთიერთობები. ძალიან კარგი მეგობრები მაყავს, ძალიან თბილი ვარ, ვგიჟდები ადამიანზე, რომელიც მუშაობს და ახდენს საკუთარი პოტენციალის, ნიჭის რეალიზაციას. ჩვენს ქვეყანაში წარმატებული ადამიანები არ უყვართ, უფრო ემიწიანთ, როცა საცოდავია ადამიანი უფრო უყვართ, ეს არ შემოიღია, ამის ატანა არ მაქვს... ამიტომ ჩემს ცხოვრებაში რა ხდება არავის საქმე არაა. კი, არის რაღაცა მიკიბულ-მიკიბული ინფორმაციები, მაგრამ საბოლოო ჯამში, მე არ ვაძლევ საზოგადოებას უფლებას, იქქონ ჩემს პირად ცხოვრებაში. ამის გარდა, მე არასოდეს ვლაპარაკობ, ხმამაღლა არასოდეს გამოვხატავ უკმაყოფილებას კონკრეტული ადამიანის, ჩემი კოლეგის მიმართ, მე საერთოდ არ მიყვარს ბევრი ლაპარაკი, არ ვარ სკანდალური ადამიანი. ზოგი იმდენს ჩხუბობს, რომ ადამიანები ეჩვენებინა და შემდეგ ფასიც აღარ აქვს მის ჩხუბს, ყველა მიჩვეულია მისგან ჩხუბს. მიჩვევინა ვიყო ასე - არ შეგეხები, არ შემეხი. პატივს ნამდვილად არ ვარ და ბევრ რამეს ვითვალისწინებ, ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე. წლების მანძილზე, როცა გაქვს ადამიანთან ურთიერთობა, იმ ადამიანის სწავლობ, ბევრ რამეს ითვისებინებ და იცი ვისთან რა უნდა თქვა, ვის რა უნდა უთხრა. ხომ არიან ადამიანები, პირში რომ არაფერი უჩერდებათ? მასთან ისეთი რამ უნდა თქვა, რისი გავრცელებაც გინდა. საკმარისია, უთხრა, მხოლოდ შენ გეუბნები, არავის უთხრა და ზუსტად იცი, რომ ნავე და იტყვის... ასეთი ახლობლები ხომ არასოდეს იღვიან... ერთი რამ შემიძლია ამყავდ ვთქვა, არავის, არასოდეს ჩემთან ნათქვამი წინ არ დახვედრია. ყოფილა შემთხვევები, რაღაც უთქვამთ და პირდაპირ მითქვამს, მე ამას ვიტყვი! არ მიაბამოვნებს მაგას რომ მეუბნები, რასაც მეუბნები არაა მართალი! მე ხომ ვიცნობ იმ ადამიანს ვისზეც მიყვება? ასეთ დროს, იმ წუთას ვიღებ ტელეფონს და ვურეკავ იმ ადამიანს, ვისზეც ენა მომიტანეს, რომ აგერ ზის ადამიანი და ასე ამბობს! თან ვლაპარაკებ იმ ადამიანს, მაშინვე ვარკვევ

„ეს ყველაფერი ჩემი შრომით მოპოვებულია და იმიტომ რომ ვილაცას სჭირდება, ფეხქვეშ ვერ ამოვადებინებ!“

ყველაფერს, ყოფილა შემთხვევა ის ადამიანები ტყუილად იყვნენ ერთმანეთზე ნაწყენი და იქვე გარკვეულა სიტუაცია, მომიკლავს ის თემა, იქვე არ ვდებ არაფრის გარკვევას, არ მჩვენია რომ მერე მოვუყვე; იმან ეს მიხსრა და ვაჩუბო ერთმანეთთან. გულში ვერ ვიტოვებ ვერაფერს, თუ სათქმელი მაქვს, პირში მოგახლი! არ მიყვარს, როცა ჩემს მეგობრებზე მეუბნებიან დაუსაბუთებელ საყვედურებს, რაღაცებს, აბსოლუტურად შეურაცხადი ვხდები და ვერაფერს დამისხლება ადვილად. მე თუ ჩემს მეგობარზე საყვედურს ვისმენ და პასუხს არ გცემ, ეს იმის ტოლფასია, რომ მე შენ გეთანხმები. თუ არ ვიცი, რაზეც მელაპარაკებ, ვაჩერებ - მე ეს არ ვიცი და ჩემგან ნუ ელოდები პასუხს, არ ვიცი მე ეს, გაფუჭებული ტელეფონის თემა და მოდი, გაარკვეე ყველაფერი და მერე დავილაპარაკოთ. გაურკვეველს არაფერს არ ვტოვებ და არასოდეს არ მიმიტანია ენა იმისთვის, რომ ვინმე გამელიზანებინოს და ამით ქულეები დამეწეროს, გეცე ჩემი სიძლიერება და ეს ყველა იცის, რომ მე არავის არავისთან არ ვლანძღავ, არასდროს არ ვაქებ ადამიანს „შენზე ამან ეს თქვა“, რომც იყოს მასე, არასდროს არ ვიტყვი, პირიქით, მითქვამს „თბილად გახსენა“, ვცდილობ, რომ შევარბილო სიტუაცია.

- კი, შემოთავაზებები იყო, მაგრამ მე არ შემიძლია კოლექტიური მუშაობა, არ შემიძლია, ვერ დაველოდები ვერავის რეპეტიციას, ვილაც არის ამისთვის შექმნილი და ამას აკეთებს, მე ასე უფრო კომფორტულად ვგრძნობ თავს...

- მონოსპექტაკლი? არავისი დალოდება არ მოგიწევთ, რეჟისორის გარდა.

- ასეთი შემოთავაზება არ ყოფილა. - **წელს იურმალაზე, თქვენი და მამულიანს ძალისხმევით, საქართველოს სახელით გამოვა ნუცა ბუზალაძე. თუ ამ მოვლენას შევავსებთ, ესაა - ლელას სხვა გამოშვების ასპარეზი.**

- ისევე როგორც დუეტის „ჯორჯია“. რა თქმა უნდა, დუეტს „ჯორჯიას“ ჰყავდა თავისი ოფიციალური პროდიუსერი, მაია ყიფიანი, რომელიც ახლაც ძალიან გვეხმარება. ნუცას ოფიციალური პროდიუსერი მამულიანია, მაგრამ ეს ყველაფერი ხდება ჩემი მეთვალყურეობით.

- ანუ სამხატვრო ხელმძღვანელი თქვენ ხართ.

- მამულიანს ამბობს, დირექტორია ჩემი (იცინის). ნუცას რომ მეგობედ, მაშინვე ინტელუციით მივხვდი, რომ ამ გოგონას აქვს ის ენერჯეტიკა, რომელიც სჭირდება სცენას და ვიცი, რომ წარმატებას მიაღწევს. იყო პროექტებში და ეს ბავშვი, ერთ წელიწადში ისე გაიზარდა, აბსოლუტურად თამამად შეგვიძლია წარვადგინოთ იურმალაზე საქართველოს სახელით. გამბედავია, ნიჭიერია, ძალიან ბევრს მიაღწევს, ბევრ რამეში ვგავართ ერთმანეთს...

popo




დენა ჯაფარიძე



გიორგი ხაბურზანია და თამთა გოდუაძე



სოფო ტორიშვილიძე



ლიზა გაბრატიონი

როჯი



კანა კალაძე



ლევან სურციანი



ნინო და ილიკო სუსიშვილები



კოტე თოლორდავა და განო მელითაური



ნინო სუსიშვილი

ლელა ალიბეგაშვილი - „წლის საუკეთესო მსახიობი ქალი“

my View
თამარ გომეზაძე

მარია კალასის როლით ლელა ალიბეგაშვილი წელს ორჯერ გახდა „წლის საუკეთესო მსახიობი ქალი“ ტიტულის მატარებელი. ტერენს მაკნელის „მარია კალასი. გაკვეთილი“ რობერტ სტურუამ „თეატრ-ფაბრიკაში“ შარშან დადგა. „მარია კალასი უნიკალური ნიჭის პატრონი იყო. შეიძლება ითქვას, რომ მუსიკალურ სამყაროს ასეთი მომღერალი არ ჰყოლია. მაგრამ, როცა ასეთი ნიჭი გაქვს, უსათუოდ კარგად პირად ცხოვრებას, ბედნიერებას, რადგან მთლიანად უნდა შეენირო ხელოვნებას. ეს არის უკვე ტრაგედია... ის ბედნიერი არ წასულა ამ სამყაროდან. ამ გენიალურ ქალს ჰყავდა მტრები. მისი კოლეგები, რომლებიც თითქოს არც კი ამჟღავნებენ შურს, მაგრამ ხელს უშლიდნენ მას და მიიყვანეს კიდევ იმ მდგომარეობაში, რომ ძალიან ადრე დაკარგა ხმა“, - შარშან, პრემიერის წინ, „პრაიმტი-აიმიისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ამბობდა რობერტ სტურუა. ლელა ალიბეგაშვილი თვლის, რომ მისი ორგანოს დაჯილდოება მთლიანად სპექტაკლის გამარჯვებაა. ერთი ეს იყო თეატრალური საზოგადოების პრემია - გრან-პრი, რომელიც სპექტაკლს მიენიჭა და პრიზი ლელას „ქალის საუკეთესო როლისთვის“; მერე კი, იგივე ნომინაციით, მსახიობმა თეატრალური პრემია „დურუჯი“ აიღო. „ფეისბუქზე“ შესაძლოა თვალი მოჰკაროთ, ერთ-ერთ არხზე გასული სიუჟეტის მოჭრილ კადრს, სადაც ლელა კალასის როლშია და ქვევით მიწერილია - მარია კალასი, მომღერალი. ამ კადრს თან დაჰყვება ჟურნალისტების ლანძღვის კორიანტელი. თავად მსახიობმა ნახევრად ხუმრობით თქვა, ეტყობა ისე კარგად გავაცოცხლე კალასი, ეკრანზე ჩემი სახელი და გვარის ნაცვლად მისი მიმიწერესო. „როგორც აღმოჩნდა, იმ ჟურნალისტ გოგონას არაერთხელ აქვს ნანახი სპექტაკლი. ეს არ იყო მისი შეცდომა. ალბათ, ტექნიკური შეცდომაა. თუმცა სტუდიისთვის კარგი გაკვეთილიც გამოვიდა.

დედას
- ქალბატონო ლელა, ეს ჯილდო არც პირველია თქვენთვის და ალბათ, არც ბოლო იქნება. რას ნიშნავს ტიტული - „წლის საუკეთესო მსახიობი ქალი“ თქვენთვის?
- მართალია ბრძანდებით. ეს ჯილდო პირველი არ არის. არ დაგიმალოვთ და მქონდა მოლოდინი. არც ვიცოდი ვინ იყვნენ კონკურენტები და ჟიურის წევრები. სპექტაკლის პრემიის დღეებში პროფესიონალი მაყურებლის მიერ სპექტაკლის მიმართ საოცარი აღტაცება იყო. ასევე იყო პირადად ჩემი როლისადმი, ზედმეტი კეკლუცობა იქნება, გითხრათ, რომ ასე არ იყო. ყოველ ჯერზე ეს ტიტული არის უფრო დიდი. უკვე არ გაქვს თამასის დანების უფლება. ჩემთვის ეს სტიმულია. ნამუშევრის გამორჩევა ძალიან სასიხარულოა. ჩემთვის ასეა და ვინც წარმოიდგენს, რომ მსოფლიოში საუკეთესოა, იმისთვის უკუჩვენება იქნება. ამ ჯილდოებს პირად გამარჯვებად არ მივიჩნევ. ეს ის სპექტაკლია, სადაც რეჟისორი მსახიობშია გახსნილი. მთლიანად სპექტაკლის გამარჯვებაა. „მარია კალასი. გაკვეთილი“ რობერტ სტურუას განსხვავებული ხელნაწილი დადგმული სპექტაკლია. მის გარეშე იმ სვლებს და ნაბიჯებს მე ვერ გავხსნიდი. მთელი დასის მადლიერი ვარ. მე ეს როლი დედას მიუძღვეს. დედას ხელოვნება, თეატრი, ოპერა, მხატვრობა, უყვარდა...

კალასი
„ძალიან ბევრი რამ ნავეიკითხე მარია კალასზე. თუკი რამ არსებობდა, ყველაფერი ამოვხურე. ინტერნეტში, ბიბლიოთეკაში, მეგობრების მოძიებულ მასალებში ბევრი საინტერესო და უცნობი ფაქტები ამოვიკითხე მასზე. ჩემმა კოლეგამ ნატა მურფანდემ კალასის უცნობი წერილები მომანოდა. ის გაცილებით ტრაგიკული ქალბატონი ყოფილა, ვიდრე მე მეგონა. გავრცელებული ინფორმაციით მას მუცელი მოეშალა. კოკო როინიშვილმა კი გამაცნო ასეთი ფაქტს, რომ თურმე მას შვილი გაუჩენია და ბავშვი რამდენიმე დღეში გარდაცვლილა. სახელიც კი დაურქმევია მისთვის, ონასის ბიძის სახელი. ეს ინფორმაცია, როგორც ჩანს, საგულდაგულოდ იმალებოდა. ცხოვრებაში ყველაფერი მიზეზმდეგობრივია. კალასი საყვარელი მამაკაცის მონად იქცა და მზად იყო შეილიც გაენიშა. ცნობილია, რომ კალასმა ონასის მითხოვნით მუცელი მოიშალა



„კალასის როლი დედას მივუძღვენი“

„რომ გავაცნობიერე რომ დედას მადლიერებით განვიმსჯელებდი რა უნდა არაფერი მისთვის. როგორც სტურუა ამ როლს არავის ანდობდა. ბედნიერი ვარ, რომ გამოვივიდა.“

მარია კალასი გაკვეთილი



(ალბათ, ამის მერე მოხდა შობილი შვილის და-ლუპის ფაქტიც). შვილის განირგვა უპასუხოდ არასდროს რჩება. საკუთარ განაჩენზე ჩვენ ყველანი თვითონ ვანერთ ხელს. როდესაც ჩემი მისამართით არის უსამართლობა, მე მშვიდად ვარ, ჩემდა ჩაურევლად ის ადამიანი თვითონ ლეზულობს პასუხს. შენზე უკეთ პასუხს გაცემს შენზე დიდი გონება, რომელმაც ეს სამყარო შექმნა. თუკი ჩემშია სამართლიანობის გრძობა, ის განუზომლად მეტია მასში, ვინც ჩემში ჩადო ეს გრძობა.
ძალიან რთული როლია. რომ გავაცნობიერე როდენ რთული როლია, დიდი მადლიერებით განვიმსჯელებდი რეჟისორის მიმართ. რობერტ სტურუა ამ როლს არავის ანდობდა. ბედნიერი ვარ, რომ გამოვივიდა.
- სპექტაკლში ძვირფასი მომენტი გაიხსენეთ.
- ის გაკვეთილებზე მოსწავლეებს ეუბნება - „გაზაფხული არ დაიფიქსო“. ეს არის მისი სათქმელი. გაზაფხული ანუ სიყვარული, რაც აბრუნებს სამყაროს. თვითონ სიყვარულით იცხოვრებ და ამ გრძობას შეენიშნა. მასტურკლას რომ ეთხოვება, ამბობს ფრანს - „არ ვიცი, ანუ აქვს რამის სწავლება? მომღერალი ან ხარ, ან არ ხარ“. ეს ისეთი როლია, მის სიღრმეებს რომ ჩანვდე, პიროვნული თვისებები თუ ხელს არ გინყობს, ახსულა პიროვნების სახის დასამს ვერ განვადებ. არის თვისებები, რაშიც მე და კალასი ერთმანეთს ვგავართ. ის ხშირად იყო პირდაპირი საკუთარი თავის საზიანოდ. შეცდომებშიც გულწრფელი იყო. ვერაგი არ ყოფილა. მას კი ბევრი ეპარებოდა ზურგიდან. მე და კალასი არ ვგავართ ერთმანეთს მამაკაცთან დამოკიდებულებაში. ჩემთვის გასაკვირია, როგორ გახდა მამაკაცის მონა. იმ წერილებში, რომელსაც წერდა და არ უგზავნიდა (როდესაც აღარ მღეროდა და ტრაგიკული იყო), კალასი ონასის წერს: „მიკვირს, როგორ გემორჩილებოდი ამდენი, ვისხნიდი“. მე არ გამოვიცდი ისე დავემონო მამაკაცს, მისი ბრძანებით მუცელი მოვიშალე. ონასისმა კენედი რომ შეიროო, კალასმა ესეც აპატია და ხვდებოდა. პირადი ტრაგიკული ჰქონდა, მაგრამ მისი მსგავსი მომღერალი არ მეგულვება. ყველაწიერი ნიჭით იყო დაჯილდოებული. როდესაც როლი მოგწონს, ესაც გინყობს ხელს, რომ კარგად ითამაშო.“

წზე თქვა, ეს შეფასება დღემდე მოგყვება?
- რა გითხრათ... მან თქვა, „სპასიბა ინსტიტუტ ზა ვერუმიტიუ აქტრისუ“-ო. მინ ვიცი, ასე დამინახა. ვითომ შემთხვევით მოვხვედი მასთან. სინამდვილეში ხომ შემთხვევით არაფერი ხდება. ინსტიტუტიდან გამოვედი და შემხვედა მეზობელი ფოტოგრაფი, რომელიც ქორეოგრაფიულ სასწავლებელში მუშაობდა (ბავშვობაში ბალერინობა მინდოდა. დავდიოდი ბალეტზე. უანტებით ფეხბურთსაც ვთამაობდი). ფარაჯანოვთან მივედივარ და ნამოდი, გავაცნობო. მთანმინდაზე მივედით სერგოსთან. სარგადაცააპულივით ვიჯექი, დაბნეული. სერგო შესანიშნავი ფსიქოლოგი იყო და მორცხვად რომ დამინახა, ვითომ არ მაქცევდა ყურადღებას. „ტამბო“ ჭურჭელს რეცხავდა წინდით, ხინკლის მოტანას ელოდა. მასთან სულ სტუმრიაზობა იყო. სხვადასხვა ჯურის ადამიანები იკრიბებოდნენ. ისე ლამაზად იცოდა ყველაფრის მონოღება, დაყრიდა ბრონეულს, თხილს. არაჩვეულებრივ სანახაობას შექმნიდა. ნამოსვლისას კიბეებზე მოგვაცხაბა - ეს იქნება ვარდო, სოფიკო ჭიაურელი იქნება მისი როლის გამგრძელებელი. საერთოდ ვერაფერს მივხვდი. მერე ბებია გარდამეცვალა და ძლიერი განცდა მქონდა. სულ გადამახვეცდა ეს მომენტი. დარეკეს და „სურამის ციხეში“ ვარდოს როლზე დაგამტკიცესო, მითხრეს. ყველაფერი მოსწონდა, რასაც ვაკეთებდი, მაქებდა და ამით საოცარ სტიმულს მაძლევდა. მეორე კურსის სტუდენტს ისე მექცეოდა, თითქოს მე ვიყავი მსოფლიო დონის ვარსკვლავი. ფარაჯანოვი ამბობდა, დამახსოვრეთ, ეს იქნება გენიალური მსახიობი. ამ პატარა გოგონა ასე ნუ აქებო, რომ ეუბნებოდნენ, პასუხობდა - ვიცი, რომ მას ამით თავბრუ არასდროს დახვებოდა. მართალიც აღმოჩნდა. მე არასდროს დამხვევია თავბრუ. შეიძლება ძალიან თავდაჯერებულ ადამიანად გამოვიყურებო, სინამდვილეში კი ძალზედ თავმდაბალი ვარ.
ეს იყო ლელას, როგორც მსახიობის ნათლობა. მერე უამრავ ნინადებებზე თქვა უარი. ფარაჯანოვის მერე არც თუ ისე მომხიბვლელად ეჩვენებოდა შეთავაზებული როლები.
- გამოდის, რომ რობერტ სტურუას ერთგული დარჩი.
- რა თქმა უნდა. ის ყველასთვის დიდი რეჟისორია ვისაც უყვარს თეატრი. სულ რომ არ ამიყვანოს როლებზე, უტეც ცუდი რეჟისორი გახდება? ესე იგი შენი თავი გიყვარს თეატრში და არა თეატრი.

„ფარაჯანოვი ამბობდა, დამახსოვრეთ, ეს იქნება გენიალური მსახიობი. ამ პატარა გოგონას ნუ აქებო, რომ ეუბნებოდნენ, პასუხობდა - ვიცი, რომ მას ამით თავბრუ არასდროს დახვებოდა. მე არასდროს დამხვევია თავბრუ“

EXCLUSIVE
„მე და კალასი არ ვგავართ ერთმანეთს მამაკაცთან დამოკიდებულებაში. ჩემთვის გასაკვირია, როგორ გახდა მამაკაცის მონა“

სტრია კალასის როლი
„ამ პიესის მიხედვით ჰოლოცოში იღებენ ფილმს და კალასის როლზე მერილ სტრიაია დამტკიცებული. ის ჩემი უსაყვარლესი მსახიობია და დღესდღეობით ერთ-ერთი უძლიერესი. გარდასახვის ოსტატია. ტეტჩერი ისე ითამაშა... მანტერებს კალასს როგორ ითამაშებს.“
- ახლა კალასის ასაკში ხართ?
- ცოტა უმცროსი, ვიდრე ის იყო, როდესაც ჯულიანოვის სკოლაში მასტერკლასს ატარებდა.
- საეტაპო როლია, როგორ ფიქრობთ მით უმეტეს ორჯერ აიღეთ ჯილდო მისი შესრულებისთვის.
- შეიძლება. ალბათ, ეს ერთ-ერთი როლია, რომელიც ჩემს კარიერაში დატოვებს კვალს. ჯილდოებზე კი არ მიფიქრობ. არ ვარ მათზე კონცენტრირებული მსახიობი.
ფარაჯანოვი
- მისტიკური მსახიობიაო, ფარაჯანოვმა თქვე-



„პოემუსის“ კვირეულმა წარმატებით ჩაიარა

სოფო დონაძე

საქველმოქმედო და საგანმანათლებლო ფესტივალი „პოემუსი“ წელს საერთაშორისო გახდა. შარშან ის სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებზე შემოსული თანხით დახმარებას უწევდა მზრუნველობა მოკლებულ, ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს. „პოემუსი“ ქველმოქმედებას წელსაც განაგრძობს. ამჯერად, ფესტივალში, ქართველ არტისტებთან ერთად მსოფლიოს შვიდი ქვეყნის არტისტები მონაწილეობენ. იტალიიდან, საფრანგეთიდან, ესპანეთიდან, ბრაზილიიდან, უკრაინიდან, რუმინეთიდან, ბოსნიიდან 20 არტისტი ჩამოვიდა - მომღერლები, მსახიობები, მუსიკოსები... ღონისძიებებზე დასწრება, რომელიც ფესტივალის დამაარსებელს ბექა ელბაქიძეს და მსახიობ ნინო თარხან-მოურავს მიჰყავთ, თავისუფალი ან მოსანვევებით სორცეულდება.

26 ივნისს, ნარკომანიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს, მარჯანიშვილის თეატრში „პოემუსმა“ სპექტაკლი-პერფორმანსი - „იყავი ნამდვილი“ წარმოადგინა. სპექტაკლს ფესტივალის საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონის“, „უნი-ფის“, ევროკავშირის და ამერიკის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით წარმოადგენდა. იდეის, ტექსტის ინსცენირებისა და ადაპტაციის ავტორი ბექა ელბაქიძეა. სპექტაკლში სულ 60 ადამიანი მონაწილეობდა. ქართველი მსახიობებიდან მონაწილეობდნენ: გიორგი ყორღანაშვილი, თამთა შალამბერიძე, ელენე კალანდაძე, ქეთი ორჯონიძე, ლევან მასპინძელაშვილი; უცხოელებიდან ალესიო ბონდი, დიტის მერილი.

დეკორაციის თვალსაზრისით სცენა იყო სადა, ორი სკივრით. თუმცა აქ კონცეფცია თამაშობდა დიდ როლს და არა დეკორაცია. მონაწილეები დიდი პასუხისმგებლობით ასრულებდნენ დაკისრებულ როლებს. სპექტაკლი იტალიურად და ინგლისურად გათამაშდება. სცენაზე დამონტაჟებულ ეკრანზე ტიტრებით ითარგმნებოდა მათი ნალაპარაკები.

სპექტაკლში უცხოელ არტისტებთან ერთად მონაწილეობდნენ თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტები, „ერისიონის“ მოცეკვავეები, პანტომიმის თეატრის ახალი თაობა. სპექტაკლში იყო პროვოკაციული ნომრები - სტრიატიზორმა გოგონებმა და ბიჭებმა მოუ დადგეს. მაყურებელმა იხილა ის მოსალოდნელი დიდი სანახაობა, რასაც პოემუსის ორგანიზაციის გეგმავდა.

ლექსია ლეცა: - მე ემი უაინჰაუსს განვასახიერებ. რაც შეეხება იდეას, ვთვლი, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ხალხს დაგანახებთ, რომ შეიძლება იყოს კრეატიული ნარკოტიკების გარეშე. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ საქართველოში მოვხვდი, აქ გავსინჯე თქვენი კერძები, რომლებიც ძალიან მომეწონა და მინდა მადლობა გადავუხადო ორგანიზატორებს, რადგან ვფიქრობ, რომ ეს გენიალური იდეაა.

ალესიო ბონდი: - მე კურტ კობეინს ვასახიერებდი. ეს ფანტასტიკური მოუა და გენიალური იდეაა. მოხარული ვარ, რომ კურტ კობეინის როლი მე შემეხდა, რადგან, როდესაც პატარა ვიყავი, ხშირად ვუსმენდი „ნიორვანას“ და „ლედ ზებელინებს“. ეს როლი ჩემთვის საოცრებო იყო. საქართველო ძალიან მომეწონა, მომეწონა აქაური გოგონები, კერძები, მთები, დესერტი და საერთოდ ყველაფერი.

ლევან მასპინძელაშვილი: - მე, უბრალოდ, ვმღერი ვიმი მორისონის სიმღერებს, ხოლო მას განასახიერებს ბულგარელი მსახიობი. რომ გითხრათ, რომ ვიმი მორისონი ჩემი საყვარელი მომღერალია-მეთქი, ასე არ არის, მაგრამ ფაქტია, რომ კარგი მუსიკოსია. „არა ნარკომანია“ - ეს მნიშვნელოვანი აქციაა.

ელენე კალანდაძე: - ეს პროექტი ძალიან მომწონს, კარგია და მიხარია, რომ ასეთ რაღაცებს აკეთებენ. რაღაცნაირად განსხვავებულია, თუნდაც იმით, რომ ეს სპექტაკლი დადგეს და უამრავი უცხოელი სტუმარი ჩამოვიდა. სახალისოა და მიხარია, რომ ემონაწილეობ, დიდი მადლობა მათ ამისთვის. ემი მე არ ამირჩევია, თვითონ გაანაწილეს. როგორც კი გადაწყდა, რომ ემი უაინჰაუსის ცხოვრების მონაკვეთი უნდა გაცოცხლებულიყო, მე შემეხებინა.

ბექა ელბაქიძე: - 60-70-80-იანი წლების ცნობილი როკვარსკვლავების ცხოვრებაზე, რომლებიც ნარკოტიკების ზედოზირებით დაიღუპნენ, რეალური მასალები ავიღე და სპექტაკლში მათი რეკონსტრუქცია ხდება. ეს არის ხმა საქართველოდან მსოფლიო ხალხებს - „ნარკოტიკი კლავს“. ნარკომანიის წინააღმდეგ ქართველი და უცხოელი მსახიობები გა-



EXCLUSIVE

ლექსია ლეცა:
„ქალიან ბედნიერი ვარ, რომ საქართველოში მოვხვდი, აქ გავსინჯე თქვენი კერძები, რომლებიც ქალიან მომეწონა და მინდა მადლობა გადავუხადო ორგანიზატორებს, რადგან ვფიქრობ, რომ ეს გენიალური იდეაა“



ალესიო ბონდი: „მე კურტ კობეინს ვასახიერებდი. ეს ფანტასტიკური მოუა. ეს როლი ჩემთვის საოცრებო იყო. საქართველო ქალიან მომეწონა, მომეწონა აქაური გოგონები, კერძები, მთები, დესერტი და საერთოდ ყველაფერი“

ღონისძიება ნაჭო სულხანიშვილს მიჰყავდა, საღამოს 9 საათიდან კი დაიწყო კონცერტი, სადაც მონაწილეობდნენ ბრაზილიელი მომღერლები - ნეგა ლუკასი და ფოლგ ბასტოსი, ფრანგი იზაბელ სელესკოვიჩი მიკელე მოისთან ერთად, იტალიური ბენდი ტიტის მერილი და მეგობრები, სიცილიელი მომღერალი ალესიო ბონდი. ანტონიო მაულუჩი და ფრანჩესკო მიორინოვიჩი. ელენე კალანდაძე ახალი პროგრამით წარსდგა, საღამო კი ნიკა მანაიძემ დაასრულა.

28 ივნისს ფესტივალი მთლიანად მიეძღვნა ლეიკემიას. ეს ღონისძიება დიმიტრი ცინცაძის ფონდთან ერთად გაკეთდა.

ბექა ელბაქიძე: - დღის განმავლობაში უცხოელ მსახიობებთან ერთად იამერიკის კლინიკაში გახლდით, სადაც ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს წავუღლეთ საჩუქრები. გამოცემულია „ინტელექტის“ გამოცემული საბავშვო წიგნები მიფუტანეთ. ასევე ტკბილეული. საღამოს ექვსი საათიდან კი მუსიკის საღამო გაიმართა. გალაკტიონი ნავიკითხეთ ქართულად და იტალიურად.

რად, 90-იან წლებში ლუიჯი მაგაროტოს თარგმნილი გალაკტიონი იტალიური მუსიკის ფონზე. იდეა ყუთები, რომ მსურველებს პატარების თანხით დახმარება შეძლებოდათ. მე რეგულარულად ვინაცვლეთ „ელ ცენტროში“, სადაც ბრაზილიური მუსიკის საღამო გაიმართა. ნეგა ლუკასი კეთილ ფარესაშვილთან ერთად მღეროდა. ყუთები იქაც იდგა. ლუკასი ბარსელონაში მოღვაწეობს და მან უკვე ჩანერა ხუთი ალბომი. ის ბარსელონაში იდგა.

ფესტივალის კვირეულის სპონსორია თბილისის მერიის კულტურულ ღონისძიებათა ცენტრი. ფესტივალის მონაწილეებს მასპინძლობს სასტუმრო „კრონპალასი თბილისი“. ტრანსპორტით გვეხმარებიან სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო და „ვით ჯორჯია“. კვებას უზრუნველყოფს რესტორნების ქსელი „კანაპე“, კაფე „ლინვილი“, „ლივერპოლი“, რესტორანი „კალინა“. საინფორმაციო მხარდაჭერა „რუსთავი 2“, გაზეთი „პრაიმტაიმი“, საინფორმაციო სააგენტო „პირველი“. გვეხმარება ანუკა მურვანიძის სკოლა სტუდიო. „დალანდ ფროდაქსენი“ ჩანახერებს აკეთებს.



my View თამარ გომეზაძე

30 ივნისის თბილისის ხუთი დღით ცნობილი ინგლისელი მოგზაური, მწერალი და მეცნიერი ტიმ სევერინი ათკაციანი დელეგაციით ეწვევა. ამ რანგის სტუმრის ჩამოსვლა არგონავტების ლეგენდის გაცოცხლებიდან 30 წლისთვის უკავშირდება. 1984 წელს სევერინმა საექსპერიმენტო ექსპედიცია „არგონავტები“ საქართველოში ჩამოსვლით ჩაატარა. მან საბერძნეთში თავისი ხელით აგებული, საპეციალურად მოძიებული ხის მასალის 16-მეტრიანი „არგოთი“ ირლანდიელი, ბერძენი, თურქი და ქართველი არგონავტებით მოიარა ყველა ის წერტილი, რომელიც იაზონმა გაიარა. მაშინ „არგო“ სტარტი აიღო საბერძნეთის ქალაქ იოლიკოსში. ნიჩბოსნებმა გაიარეს საბერძნეთის კუნძულები, ეგეოსის და მარმარილოს ზღვები, დარდანელის და ბოსფორის სრუტეები, შავი ზღვის ანატოლიის ნაპირი და 20 ივლისისთვის შემოვიდნენ ყვავილებით და ხალხით სავსე ფოთში. აქედან კი რიონის აყობით ლუზა ჩაუშვეს ვანში, ძველი, ოქრომდიდარი კოლხეთის ცენტრში. ამ ექსპედიციით და საქართველოში ჩამოსვლით კი სევერინმა დაამტკიცა, რომ ლეგენდა არგონავტებზე რეალურია და მასში ბევრი რეალური ისტორია დევს. მაშინ ჟურნალისტის შეკითხვას, იშვიათად არა საქართველოში ოქროს საწმისი, ასეთი პასუხი გასცა: „ვიპოვე, ოღონდ იაზონისგან განსხვავებით, რომელმაც ოქროს საწმისი „არგოთი“ წაიღო, მე ჩემი გულით მიმაქვს“.

ტიმის ილიკო ფერაძე დაუკავშირდა და საქართველოში სტუმრობა შესთავაზა. 73 წლის მწერალი ძალზედ გაახარა ქართველი 30 წლის ნაცნობის და ექსპედიციის მონაწილის შეთავაზებამ. ჩამოსვლას სიხარულით დათანხმდა, მეტიც, არგონავტებთან ერთად მოდის. ტიმი, ასაკის მიუხედავად, დღემდე არ კარგავს თავის მამაკურ შემართებას და სხვადასხვა ექსპედიციებში მონაწილეობს. ძალიან დამაინტერესა მისმა პიროვნებამ. ვიმედოვნებ, დაგეგმილ რომელიმე ლონისძიებაზე შეხვედები და გავიცნობ ამ საინტერესო ინგლისელს. საერთაშორისო კონფერენცია, რომლის ფარგლებშიც ბატონი სევერინი საქართველოს სტუმრობს, „არგო 2014 - ლეგენდის გაცოცხლება“ ჰქვია. პროექტის ხელმძღვანელი ილიკო ფერაძეა.

73 წლის კერკეტი კაკალი
ილიკო ფერაძე: „მე და ჩემმა მეგობარმა ვიფიქრეთ, ხომ არ ვცადოთ და მოვიწვიოთ ტიმი-მეთქი. ძალიან დაკავებული კაცია. ივლისის ბოლოს გრენლანდიაში მიდის ექსპედიციაში. 73 წლისაა, კერკეტი კაკალივით არის, ძალიან სიმბათიური და კარგი კაცია, თავმდაბალი და თბილი, ბლენძი არ არის. უფრო მწერალია, ვიდრე მეცნიერი. ყველა მოგზაურობაზე ნივთი აქვს გამოშვებული და ფილმი გადაღებული. 22 წიგნზე მეტი აქვს გამოცემული. ჩემი თხოვნით რვა მოგზაურობაზე გადაღებული დოკუმენტური ფილმი გამოგზავნა. მოკლე, ტიმი დაუკავშირდა და ორი დღის მერე ვიღებ პასუხს - „ბოდიში, ზღვაში ვიყავი გასული პატარა ნავით და გვიან ვნახე წერილი. გენიალური იდეაა, ივლისის დასასრულს თავისუფალი დრო მაქვს და შემიძლია ჩამოსვლა“. დავინყე ვიზიტის ფორმაზე ფიქრი. ჩამოვიდეს, პური ჭამოს და ჭიქა მომიჭახუნოს, ეგ ის კაცი არ არის-მეთქი. ეს არის მეცნიერი, რომლის ყველა ნაბიჯს აკვირდება მსოფლიო. ინტერნეტ სივრცეში თავისი გვერდი აქვს, რომელზეც ძალიან ბევრს წერს თავის მოგზაურობებზე. გამომიგზავნა ხუთი ინგლისელი და ირლანდიელი არგონავტის ელექტრონული ფოსტის მისამართი. ვისთანაც ჰქონდა კავშირი. არგონავტები მადლობის წერილებს მწერენ, ერთმანეთი გვაპოვებენ 30 წლის მერე. ერთი ჯონათან მწერს, აქამდე თავში როგორ არ მოგვივიდა, რომ ერთმანეთი გვეპოვაო. მოდიან დიდი სითბოთი და სიყვარულით“.

„წვიმიანი წინდავი დაემთხვა, მებრძო რიონის ნაპირები ხალხით იყო სავსე. არგონავტებს ხელბეჭდვან, პატარა ნავებით გადმოდიოდნენ და ღვინო, საჭაპურები და პურები მიეძღვნათ. ყველაზე ყვავილიანი ყვავილებით და ხალხით სავსე ფოთში. აქედან კი რიონის აყობით ლუზა ჩაუშვეს ვანში, ძველი, ოქრომდიდარი კოლხეთის ცენტრში. ამ ექსპედიციით და საქართველოში ჩამოსვლით კი სევერინმა დაამტკიცა, რომ ლეგენდა არგონავტებზე რეალურია და მასში ბევრი რეალური ისტორია დევს. მაშინ ჟურნალისტის შეკითხვას, იშვიათად არა საქართველოში ოქროს საწმისი, ასეთი პასუხი გასცა: „ვიპოვე, ოღონდ იაზონისგან განსხვავებით, რომელმაც ოქროს საწმისი „არგოთი“ წაიღო, მე ჩემი გულით მიმაქვს“.

მოკლედ რომ ვთქვათ, ყველაზე ყვავილიანი ყვავილებით და ხალხით სავსე ფოთში. აქედან კი რიონის აყობით ლუზა ჩაუშვეს ვანში, ძველი, ოქრომდიდარი კოლხეთის ცენტრში. ამ ექსპედიციით და საქართველოში ჩამოსვლით კი სევერინმა დაამტკიცა, რომ ლეგენდა არგონავტებზე რეალურია და მასში ბევრი რეალური ისტორია დევს. მაშინ ჟურნალისტის შეკითხვას, იშვიათად არა საქართველოში ოქროს საწმისი, ასეთი პასუხი გასცა: „ვიპოვე, ოღონდ იაზონისგან განსხვავებით, რომელმაც ოქროს საწმისი „არგოთი“ წაიღო, მე ჩემი გულით მიმაქვს“.



ხუთდღიანი კონფერენციის გეგმა
პროექტს გვერდში დაუდგა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი.
ილიკო ფერაძე: „საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბატონ ვიორგი სიგუას თებერვალში შეხვედი. მითხრა, რა ჰქვია კონფერენციასო - „არგო 2014“ ჰქვია-

მეთქი. დამინუნა, ეგ არ ვარგაო. ამ პროექტს ასეთი სლოგანი უნდა ჰქონდეს - „ლეგენდის გაცოცხლება“. 30 ივნისს უნივერსიტეტში კონფერენციას ჩაატარებს ბატონი ვლადიმერ პაპავა, რისმაც გორდენიანი და ვალერი ასათიანი. მეორე დღეს სტუმრები მდინარეში მიგვყავს. პირველი ეროვნული - ზეზუა და მზია პური-მარილს აკეთებენ. ერთი დღე გვაქვს კახეთში, დავარქვით „ღვინის ტური“. „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ ქარხანაში მიგვყავს, ძველ ვებერთელა მარანში, სადაც იქნება თონის პურის გამოცხობა. ზაოდი - ჭაჭის გამოხდა, ჩურჩხელის ამოღება. ველისციხის ვერანდაზე „ქართული ხმები“ იმღერებენ. ქვევრის ღვინოთი ბახუსის მეორე დღეს სტუმრებს „კასტელის“ ლუდით გამოვიყვანთ. თვითონაც ასეთი ტიპები არიან. 1984 წელს სმის დროს ვეტყვოდით - „გა-უშარ“ და „ჯოს“ თვითონ დასცხებდნენ. ახლა მიიღეს ასე შესაღმებიან - „ილია, გაუ“.




ტიმ სევერინი

ლეგენდის გაცოცხლება
ილიკო ფერაძე: „მშობლებსა და ბებრებს ყველასთვის მოუყოლიათ მითი არგონავტების შესახებ. ეს ლეგენდა საქართველოზე და კოლხეთზე უძველესი ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილია. ბევრი მწერალი, ფილოსოფოსი და მეცნიერი თვლიდა, რომ ჩვენ წელთ აღრიცხვამდე მე-13 საუკუნეში, როდესაც არგონავტები ჩამოვიდნენ, ბერძნებს 20-ნიჩბიანი გალერები ჰქონდათ. იყო პოლემიკა - 20-ნიჩბიანი გალერებით ვერანაირად ვერ გადალახავდნენ შავი ზღვის სრუტეების ძლიერ სანინალმდებლო დინებას. მეცნიერების მეორე ნაწილის მტკიცებით - არგონავტების მითში ისტორიული სინამდვილე აირეკლა და რომ ბერძნებს 3 300 წლის წინათ შეეძლოთ გასულიყვენ მათთვის ცნობილი სამყაროს გარეთ და კოლხეთის სანაპიროებისათვის მიეღწიათ. ბერძნებს 50-ნიჩბიანი გალერები ჩვენ წელთ აღრიცხვამდე მე-9 საუკუნეში გაუჩნდათ. მოკლედ, ამ ლეგენდის დასამტკიცებლად მეცნიერმა, მწერალმა და ჟურნალისტმა ტიმ სევერინმა მიზნად დაისახა ისტორიის რეკონსტრუქციის, ნარსულის მოდელირების გზით სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიული, საზღვაო-საინჟინრო პრობლემის გადაწყვეტა. ის სწავლობდა ოქსფორდში, კემბრიჯში, ამერიკის სხვადასხვა კოლეჯებში დაამთავრა და შუა საუკუნეების ისტორიითა და ლეგენდებით დაინტერესდა. ფიქრობდა, რომ ეს ლეგენდები მხოლოდ ზღაპრები არ იყო. დაამტკიცა, რომ ამერიკის ვიკინგებზე და კოლუმბზე ადრე ირლანდიელი ბერები ხარის ტყავისგან გაკეთებული ნავებით სტუმრობდნენ. ირლანდიელები ხის კარკასზე ჭიმავდნენ ხარის ტყავს და ამ აფრიანი ნავებით დაცურავდნენ კუნძულებს შორის. მათ ჰყავდათ აბატი ბრენდანი - ყველაზე ცნობილი წინადანი ირლანდიაში. ის ამ ნავებით დადიოდა კუნძულებს შორის და ავრცელებდა სარწმუნოებას. ამ ნავებით ირლანდიელებმა ამერიკის კონტინენტს ჩვენი წელთაღრიცხვის მეხუთე-მეექვსე საუკუნეში მიაღწიეს. ეს რომ დაემტკიცებინა, სევერინმა ძველი ნავების აგების ტექნოლოგია შეისწავლა, სასულიერო პირის - ბრენდანის ძველი ეტრატები აიღო და ააგო ნავი, მას სახელად „ბრენდანი“ დაარქვა. ირლანდიიდან ნოუფაუნდლენდამდე გადასერა ატლანტის ოკეანე. ეს იყო 1977 წელს. ყინულებმა ორჯერ გახვრიტა ტყავი. ის კი სიცოცხლე კემსავდა გახვრიტული წავს. ეს იყო სევერინის ყველაზე ცნობილი მოგზაურობა, რის შემდეგაც ძალიან ცნობილი პიროვნება გახდა. ამ ექსპერიმენტატორმა მეცნიერმა დაამტკიცა, რომ ეს არ იყო ლეგენდა ბრენდანზე. ეს რეალური ისტორია იყო. მას ამ ფაქტის შემდეგ ყველაზე დაჰყვებოდა „ბიბისი“. მანამდე, ამერიკაში სწავლისას, მოტოციკლით გაიარა მარკო პოლოს გზა, ევროპიდან ჩინეთამდე. ჩინეთში არეულობის გამო არ შეუშვეს. მისისიზზე დაემგა კანოით. დაამტკიცა, რომ „1001 ღამის“ ზღაპრები რეალურ საფუძველს ეყარება. მერე იყო იაზონის მოგზაურობა, 1984 წელს“.



„არგოს“ დაბადება
„არგო“, ლურსმნების გარეშე, ძველი ტექნოლოგიით საბერძნეთში ააგო. მორია ტყეები, ანძები ხელით გამოთალა. მოინერა ეკიპაჟის უცვლელი ბირთვი - 12 ნიჩბოსანი. ნიჩბოსნები შეიარა ინგლის-


ილიკო ფერაძე: „ამ ექსპედიციით და საქართველოში ჩამოსვლით კი სევერინმა დაამტკიცა, რომ ლეგენდა არგონავტებზე რეალურია. ჟურნალისტის შეკითხვას, იშვიათად არა საქართველოში ოქროს საწმისი, ასეთი პასუხი გასცა: „ვიპოვე, ოღონდ იაზონისგან განსხვავებით, რომელმაც ოქროს საწმისი „არგოთი“ წაიღო, მე ჩემი გულით მიმაქვს“



ტიმ სევერინი ასაკში

ში, ოქსფორდის და კემბრიჯის უნივერსიტეტების ნიჩბოსნების გუნდიდან. ამ ექსპედიციისთვის საერთაშორისო მასშტაბი რომ მიეცა, იმ ქვეყნების სპორტსმენები მოინერა, სადაც უნდა გაეგვლო „არგოს“. ისინი ასე გადაანანილა - საბერძნეთის ზღვაში „არგოში“ 10 ბერძენი ნიჩბოსანი დასვა, თურქეთის წყლებში თურქი ნიჩბოსნები და საქართველოში - ქართველები. ეკიპაჟები საზღვარზე იცვლებოდნენ. კარგი ექსპერიმენტი იყო. ორი გადამღები ჯგუფი ახლდა თან. ექვს სერიანს დოკუმენტური ფილმი გააკეთა. მაშინ 46 წლის იქნებოდა. შემდეგ წელს, 1985 წელს „არგოთი“ ოდისეის მოგზაურობაში ოდისეის კუნძულებზე გაემართა. მერე ბამბუკისგან ააგო გემი და ჩინეთიდან ამერიკის კონტინენტს მიაღწია. ასევე შეამონა - იყო თუ არა რეალური რობინზონ კრუზო. ჯვაროსნების ექსპედიციაც გაიარა. ვიკინგებზე სამტომელო აქვს დანერული. ჰექტორ ლინჩიზე - მსოფლიოში ცნობილ მეკობრეზეც სამი ტიმი აქვს დანერული“.

ტიმ სევერის და არგონავტების საქართველოში მოგზაურობიდან 30 წელი გავიდა



„ქალიან დაკავებული კაცია. ივლისის ბოლოს ბრენლანდიაში მიდის ექსპედიციაში. 73 წლისაა, კერპეტი კაკალივით არის, ქალიან სიმათიური და კარგი კაცია, თავმდაბალი და თბილი, ბლენძი არ არის“

EXCLUSIVE

ქართველებით გაოცებული ინგლისელი მეცნიერი
- ბატონო ილიკო, როგორ გაიცანით ტიმ სევერინი?
- მე აფროსანი გახლავართ, აფროსნობაში ერთ-ერთი პირველი სპორტის ოსტატი. იმ დროს, როდესაც სევერინმა საქართველოში ჩამოსვლა გადაწყვიტა, საქართველო საბჭოთა კავშირში იყო. რადგან ყველაფერს მოსკოვთან ათან-ხმებდნენ, სევერინი საკავშირო ტელევიზიას დაუკავშირდა, კერძოდ, გადაცემა - „მოგზაურთა კლუბის“ განყოფილებას და უთხრა, რომ საქართველოში სურდა ჩამოსვლა. მისმა ხელმძღვანელმა სევერინმა საქართველოს ტელევიზიაში დარეკა. მაშინ ტელევიზიის ხელმძღვანელი იყო ნუგზარ ფოფხაძე. მეც ტელევიზიაში ვმუშაობდი. ნუგზარმა ჯგუფი შეკრიბა და მე მითხრა, რახან წყალს ეხება საქმე, ჩემი ილიკო, შენ მიხედვე მავ ექსპედიციასო. ამ ექსპედიციის ხელმძღვანელი მე გახვდი. ტიმ სევერინი ასევე დაუკავშირდა ბატონ ოთარ ლორთქიფანიძეს, ისტორიკოსს და ოქრომდიდარი კოლხეთის კულტურის ყველაზე დიდ მცოდნეს. საქმეში ჩაერთო სპორტის კო-

მიტეტი, რომელმაც სევერინის „არგონავტის“ ქართველი მენიშები მოძებნა. ერთ-ერთი მონაწილე არგონავტი იყო ჟურნალისტი და ალპინისტი პაატა ნაცვლიშვილი. ორი თვე ვარჯიშობდა, ხელები ჰქონდა გადატყავებული ნიჩბებისგან. ამ ექსპედიციის უნიკალური ფოტოარქივი მან შემოგვინახა. სხვათა შორის, წელს, 30 ივნისს, სრულდება სულხან საბა ორბელიანის ევროპაში მოგზაურობის 300 წელი. სულხან საბა შეხვდა რომის პაპს თემით, რომ ევროპა დახმარებოდა საქართველოს. პაატა ნაცვლიშვილი 30 ივნისს ხვდება რომის პაპს. მიართმევს ეტრატს და ეტყვის, რომ სამასი წლის წინ ქართველები ილტვიდნენ ევროპისკენ.

ასე ჩაერთო სევერინის ექსპედიციაში. „არგო“ რიონით ვანში უნდა აეყვანათ. კარგად ძნელი გზა იყო. რიონი ყოველდღე იცვლიდა კალაპოტს. ბუქსირებას მე ვხელმძღვანელობდი. „არგოს“ პატარა კატერებს ვა-

ილიკო ფერაძე:
„30 წელი ერთმანეთს დაშორებული ინგლისელი არგონავტები საქართველომ შეაკავშირა. მათ აქ ჩამოსვლისთვის ექსპედიციები გადადეს. მთელი ეს წლები არ უნახავთ სევერინი. მის სანახავად მიატოვეს ყველაფერი და მოდიან. მე მგონი კარგი მოვლენაა“



ახლო კონტაქტში ვიყავით ირლანდიელი არგონავტებთან. ხასიათით ძალიან გვეგვანან, ექსპანსიურები არიან, კვი მსმელი, კარგი მომღერალი და მომღებნი ხალხია.

რიონის კალაპოტი რომ შეიცვალა და წვიმისგან შლამი ჩამოვა, სევერინი წავიდა სამეგრელოში, ნოქალაქევის გათბრები ნახა, იყო სვანეთში. იქ ნახა ცხვრის ტყავს როგორ აგებენ მდინარეში, რომ მასში წყლიდან ნაშოსული ოქრო დარჩეს. არგო რიონით ქვევით ველარ ჩავიდა. ოთხ დღეში დამზადდა მისი ნასაღები კონსტრუქცია. სევერინი რომ სამტრედიამი ჩამოვიდა და ეს კონსტრუქცია ნახა, გაგიჟდა. ასე ჩაიჭინეთ ბათუმში არგო. სენკევიჩმა ბათუმში ჩამოიყვანა დიდი სასწავლო გემი „ტაგარიში“. მისი მეშვეობით ბუქსირებით წაიყვანეს „არგო“ თურქეთში.

- „არგო“ რამხელა იყო მასშტაბით?
- 16 მეტრი იყო სიგრძეში და 8 ტონა-მდე იქნებოდა. „არგო“ პირველი გემია, რომელსაც საკუთარი სახელი აქვს და ეს ჯერ კიდევ 13 საუკუნის წინ ქრისტეობამდე. სევერინს კორესპონდენტმა ჰქოთხა, იპოვეთ ოქროს სანძისიო? ვიპოვე, ოღონდ იაზონისგან განსხვავებით, რომელმაც ოქროს სანძისი „არგოთი“ წაიღო, მე ჩემი გულით მიმაქვსო. სევერინმა აქაც დაამტკიცა, რომ „არგოს“ ლეგენდას ისტორიული საფუძველი აქვს და მისი კვალი ახლაც არსებობს ჩვენთან. საქართველოში გველი ფუძის ახგელოზად ითვლებოდა. რატომ? რატომ იცავდა ოქროს სანძისს გველებში? სევერი-



„არ იცოდა, რა ქვეყანაში მოდიოდა და რომ გაგვიცნო და ნახა, რომ ეს ექსპერიმენტული ექსპედიცია ამ ქვეყანაში სახალხო ზეიმად იქცა, დიდ ემოციებში იყო“



ნმა ამ ყველაფრის პასუხი და კვალი ნახა. მას დიდი იახტით დავეხდით. იახტას კი „კოლხეთი“ ერქვა. ეს რომ წაიკითხა, გაგიჟდა. მანამდე არ იცოდა, რა ქვეყანაში მოდიოდა და რომ გაგვიცნო და ნახა, რომ ეს ექსპერიმენტული ექსპედიცია ამ ქვეყანაში სახალხო ზეიმად იქცა, დიდ ემოციებში იყო. ეს იყო შეხვედრა ქართველ ხალხთან, ქართველ მეცნიერებთან და ქართველ მასპინძლებთან. მერე ორი წელი აქტიურად ვწვრდით ერთმანეთს. არგონავტებზე დაწერილი წიგნი გამოვიგზავნა.

„მე მგონი კარგი მოვლენაა“
- ბატონო ილიკო, ამ ვიზიტის მნიშვნელობა შეაფასეთ.

- ამდენი ხანია ვისწრაფვით ევროპისკენ. სულხან საბაც დესპანად გაგზავნეს ევროპაში. „არგო 2014 - ლეგენდის გაცოცხლება“ ხელს შეუწყობს საერთაშორისო საზოგადოების კიდევ ერთხელ დაინტერესებას საქართველოს ისტორიით, მორიგადაც კიდევ უფრო მეტ ტურისტს ჩვენ ქვეყანაში და მსოფლიოში დღევანდელ საქართველოს წარმოაჩენს. კიდევ ერთხელ ახმაურდება პრესა. 30 წელი ერთმანეთს დამორებული ინგლისელი არგონავტები საქართველომ შეაკავშირა. მათ აქ ჩამოსვლისთვის ექსპედიციები გადადეს. მთელი ეს წლები არ უნახავთ სევერინი. მის სანახავად მიატოვეს ყველაფერი და მოდიან. მე მგონი კარგი მოვლენაა.

გიორგი გაბუნია თამთა გოდუაძის მოფლირტავე წყალბურთელი არ აირჩია

გოგონა,

my View
თამარ გოდუაძე

„ეს ის ბიჭია თამთა გოდუაძის რომ უმღერა“ - ასე იხსენებენ წყალბურთელ სანდრო კახიძეს, „X ფაქტორის“ ყოფილ კონკურსანტს. სანდრო ბიჭების კატეგორიის მენტორმა, გიორგი გაბუნია ამ აღარ აირჩია. პროექტს მიღმა დარჩენა ძალიან აღარ განუცდია, რადგან მანამდე „ახალ ხმაში“ გავლილი ჰქონდა პროექტს გამოთიშვის ადაპტაცია. ბოლო დროს მუსიკალურ შოუებში წყალბურთელები ამღერდნენ. „ორ ვარსკვლავში“ მიშა ბალათურია მღეროდა, „ახალ ხმას“ და „X ფაქტორში“ - სანდრო. სპორტს კარიერულ დონეზე აღარ აგრძელებს. სწავლობს და უნდა სიმღერით გამოჩნდეს. გაჩერებას არ ვაპირებ, კიდევ გავალ რაიმე ახალ კონკურსზეო, ამბობს. ნინი შერმადინთან დუეტის ჩვენებას გეგმავს. „არ მინდა, რომ ხალხს თავი დაავიწყდეს“, - ამბობს სანდრო. გარეგნობით არ ვსარგებლობო, გოგონების გასაგონად ამბობს. არ უყვარს შექება, მეხამუშებო. თავისუფალია, გოგონებო, დაილაშქრეთ. ოღონდ გაითვალისწინეთ, აქტიური გოგონები მოსწონს. „ძალიან კომუნიკაბელური არ ვარ. ნელა შევდივარ კონტაქტში. აქტიურ გოგონებთან თავისუფლად ვარ და დამყოლი ვხდები. ხასიათი ჩემი პროფესიის შესაფერისი მაქვს, დიპლომატი ვარ. თუ გოგონა არ მომწონს, აქტიურობა არ უშველის“.



სანდრო კახიძე: „ბიჭების გუნდი რომ სხვა მენტორს ჰყოლოდა, ვთვლი, რომ პროექტში ვიქნებოდი“
EXCLUSIVE



დიდი სიმპათია გამიჩნდა. მანაც იმღერა ჩემთან ერთად და კარგი ნომერი გამოვიდა. თითქოს ფლირტი შედგა. სოფოსაც მოეწონა ჩემი ამოსვლა, ამბობდა, რომ დაფრინავდა“.

„ახალი ხმა“
14 წლიდან ცურვით დაიწყო წყალბურთელის კარიერა. ჯერ სამოყვარულო წყალბურთის გუნდში იყო. ერთი წლის მერე კლუბში გადავიდა. მერე კი, 16 წლის ასაკში, ნაკრებში მეკარის პოზიციით წელიწადზე მეტ ხანს თამაშობდა წყალბურთს. სწავლის და სიმღერის გამო ნაკრებიდან წამოვიდა, თუმცა ვარჯიშობს. ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტ „გაუში“ საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ფაკულტეტზე სწავლობს. ბავშვობიდან ვლინდებოდა, ილიმება. სხვადასხვა კონკურსებში მონაწილეობდა. მუტაციის პერიოდში გაჩერდა. „ახალ ხმაში“ მონაწილეობის მისაღებად დედამ წააქეზა.

სანდრო კახიძე: - რეგისტრაცია რომ გავიარე, არც მეგონა თუ დარეკავდნენ. დამირეკეს, მამღერეს. ფსიქოლოგთან გასაუბრებაც გამატარეს. მან ერთი ასეთი შეკითხვა დამისვა, გყავს თუ არა შეყვარებული? არ მყავს-მეთქი, ვუპასუხე. ჩამეძია, რატომ არ გყავსო. კონკრეტული მიზეზი აინტერესებდა. მერე მივიღე დიდი გამოცდილება. ბრმა კასტინგზე როდესაც ვიმღერე, სტეფანეს გარდა მენტორებს

ადგილები არც ჰქონდათ გუნდებში. სტეფანე რომ შემობრუნდა, ეს რა ემოცია იყო, ვერ აღვწერ. ძალიან გახარებული ვიყავი. მეორე დღეს მივხვდი - რა მოხდა. დიდი გზა გავიარე. რინგზე ნატა ელბაქიძესთან ერთად „სასიყვარულო დუეტი“ გავაკეთეთ. ატყდა მითქმა-მოთქმა, თითქოს ჩვენ შორის „რალაც“ ხდებოდა. მერე ვიყავი ნოკაუტზე, სამნი ვიდეტით სცენაზე. ეთერ გავამელიშვილთან ლაივ კონცერტზე დავმარცხდი. პროექტმა გამარჯვება ვერ მომცა, თუმცა ადრენალინი, ბენდთან მუშაობის გამოცდილება მომცა, რაც ყველაზე მაგარი რამაა მუსიკოსისთვის. გადამაღახინა ბარიერი - ხალხის წინ სიმღერის კომპლექსი. „ახალ ხმაში“ მიღებულმა გამოცდილებამ მე შემიწყო „იქს ფაქტორში“. სტეფანე მეუბნებოდა, თბილი და განსხვავებული ხმის ტემბრი და შოუბიზნესისთვის საჭირო ვიზუალი გაქვსო. მის გუნდში ყველას ინდივიდუალური ხმის ტემბრი გვქონდა. თავის გამოცდილებას გვიზიარებდა, რეპერტუარსაც ზუსტად გვიჩვენებდა. მას ვენდობოდი.

- პროექტს გამოთიშვას როგორ შეხვდით?
- რახან ასეთ რამეს მიჩვეული არ ვიყავი, მეგონა, რომ წინ წავიდოდი

და მარცხი არ მექნებოდა. დავითრ-გუნე, დაახლოებით სამი თვე ვიყავი ასე. მეგობრები მიჩვენებდნენ, რომ არ გავჩერებულყავი. იყო რეგიონებში გასვლითი კონცერტები, რომელშიც ჰონორარის ფასად ვმონაწილეობდი.

- რას მღერი?
- ვმღერი ქავერებს, ჩემებური ვერსიებით. ვმღერი რობი უილიამსის, ფრენკ მაკინონის, ჯო ლუჯინდის სიმღერებს. ცვდილობ მოვირგო და ჩემებურად შევასრული.

„X ფაქტორი“
„დათრგუნული ვიყავი და ვერ ვიფიქრებდი, ერთ წელიწადში ზედდებოდა ორ კონკურსში მონაწილეობას თუ მივიღებდი. მაგრამ გავრისკე და „X ფაქტორზე“ გავიდა. ერთი გამოსვლა მქონდა, მაგრამ რეიტინგული. დღესაც ახსოვთ ჩემი ნომერი. ჩემი შერჩეული ჯო ლუჯინდის სიმღერით გავიდა. ბევრი ეგონა, რომ სპეციალურად დავდგი თამთასთან ფლირტი. ამ დროს ძალიან ბუნებრივი გამოვიცა. გამოსვლამდე ნერვიულობისგან სიცხე მქონდა, მახველებდა. საერთოდ, არ მიფიქრია სცენიდან სიყვარულის ძაფების გაბმა. ბუნებრივად მოხდა. თამთა ისე მიყურებდა, მეც დადებითად განვწყვე და

ავხარ წყლიდან ამოვარდნილ თევზს, რომელიც ფართხალებს და უკან ჩახტომა უნდაო. მენტორებიც შევინააღმდეგენ და დარბაზიც. არ გაქვს სასიძლო ვოკალიო გიორგი რომ მითხრა, სოფო იქვე არ დაეთანხმა. ამ ბიჭს აქვს იმის მონაცემი, რომ ეს სიმღერა კარგად იმღეროსო. სტეფანეც არ დაეთანხმა. თამთამ პოზიცია სიმღერით დააფიქსირა. ერთ მომენტში ვიფიქრე, რომ არ მოეწონა ჩემი ნამღერი. მეორე მომენტში ვიფიქრე, რომ არ იცოდა ეს სიმღერა და მესამე - ალბათ, შოუს ნაწილი იყო მისი შეფასება.

- რატომ ვერ გადახვედი შემდეგ ტურში?
- დამირეკეს და მითხრეს, თქვენმა მენტორმა - ანუ ბიჭების კატეგორიის მენტორმა - გიორგი გაბუნია არ ავირჩიათო.

- ბიჭების გუნდი რომ სხვა მენტორს ჰყოლოდა, იქნებოდი პროექტში?
- ბიჭების გუნდი რომ სხვა მენტორს ჰყოლოდა, ვთვლი, რომ პროექტში ვიქნებოდი.

გოგონები
როგორც ამბობს, „ახალი ხმის“ შემდეგ გოგონები მისი მისამართით გააქტიურდნენ.

„რა საყვარელი ხარ, სად სწავლობ?“ - სოციალურ ქსელში აქტიურები. პირადად ერიდებათ. „იქს ფაქტორის“ შემდეგ ასაკოვანი ქალბატონებიც მცნობდნენ ქუჩაში. ახალგაზრდა რომ გიყურებს, არ გიკვირს, მაგრამ ასაკოვანი ადამიანები რომ გიყურებენ, სულ სხვა შეგრძნებაა, მიხარია“.

- შეყვარებული არ ხარ?
- არა. არავისთან სერიოზული ურთიერთობა არ მქონია. მე თუ არ მომწონს გოგონა, ფუჭ იმედებს არ ვაძლევ. ვემეგობრები და ბოლოს რატომღაც ისე გამოდის, რომ მათ სხვანაირად ჰგონიათ, ვუყვარდები და ასე ვკარგავ მეგობრებს.

გემგები
სანდრო ნინი შერმადინთან დუეტის ჩანერგას აპირებს. ჯერ არ იცის ქართულენოვან სიმღერას აარჩევს და უცხოურს. „ნინისთან ვემეგობრობ და მინდა კარგი დუეტი გამოვიდეს. გაჩერებას არ ვაპირებ“.



my View
თამარ გოდუაძე

მიშო ელივას „X ფაქტორში“ ყველაზე ბევრი გულშემატიკვარი ჰყავს. სიმპათიურ მიშოს გოგონებმა „ფისბუქზე“ გვერდებიც კი შეუქმნეს - „ჩვენ გვიყვარს მიშო ელივა“, „მიშო ელივასგან შეიღის გაჩენა მინდა“ და სხვადასხვა ვარიაციით. ბევრისგან გამოგია, თავდაჯერებული ჩანს და გარეგნობით სარგებლობს. ასეთი შთაბეჭდილება დატოვა თავის შეყვარებულზეც, სანამ ნინო მას ახლოს გაიციოდა. მოკლედ, ბევრ გოგონას მინდა იმედ გავუცერო, მიშო ელივა ორი წელი შეყვარებულია. მისი რჩეული ნინო ლეკვიშვილია. ერთმანეთი ილიას უნივერსიტეტში გაიცნეს. ჩვენი ურთიერთობა იმდენად ძვირფასია ჩემთვის, რომ ამ თემაზე ბევრი ლაპარაკი მეხანააღმდეგა, „განმამარტო“ ელივაა. ერთი ზოდატოს ნიშანი აქვთ და ამბობენ, ეს უხარებათ ერთმანეთის უკეთ შეცნობაში. ამ ხნის განმავლობაში არ უჩხუბიათ, არ დამორეუბლან. ჯერ არაფერია დაგვეგმავთ. ცხოვრობენ დღევანდელი დღით. მაქსიმუმ ზაფხული დავგეგმობთ, ნახევრად ზუმრობით ამბობენ.

ლიმილი
ილიას უნივერსიტეტში, ორი წლის წინ, ერთ ჯგუფში მოხვდნენ, მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე. ბიჭი პირველივე დღეს მოიხიბლა ლიმილით, გოგო მოგვიანებით, გაცნობის შემდეგ.

მიშო ელივა: - არის მომენტები, როდესაც ადამიანს არ იცნობ, მაგრამ უყურებ და რაღაც ასოციაცია გიჩნდება, თუმცა ვერ ხვდები რა და საიდან. რაღაცნაირად ხვდები, რომ აქამდეც იცნობდი, ძალიან გემშობლოურება. ნინო ზუმრობს, მანამდეც გყავდი ნახაზი და არ გახსოვდო. პირველი, რამაც ყურადღება მიიქცია, ეს ნინოს ლიმილი იყო. მივესალმე და გამიღიმა.

ნინო ლეკვიშვილი: - პირველივე დღეს მიტხრა, რა ლაზაზი ლიმილი გაქვსო. და გაოცებული ვუყურებდი. მომესალმა და უცებ ეს კომპლიმენტი.

მიშო: - არაფრის „ჩალიჩი“ არ დამიგვემავს. როგორც ჯგუფელები ჩვეულებრივ ვკონტაქტობდით. ამასობაში ოთხი თვე გავიდა.

ნინო: - ჯერ გავიცანი ერთმანეთი და მერე დავიწყეთ ახლო ურთიერთობა.

მიშო: - კარგად რომ გავიცანი, საკუთარ თავს მასთან ურთიერთობაში აღარ ვზღუდავდი, არ ვიძაბებოდი, როგორ მოვიქცე-მეთქი. როცა ისეთს ვხვდები, როგორც ხარ, ბევრად მარტივად არის ყველაფერი.

ნინო: - მასხვოდა, მიშო რომ გავილიდა, გოგონები ერთ ამბავში იყვნენ. მე მაშინ არც ვფიქრობდი მიშოსთან ურთიერთობაზე. მაშინ ვერც ვგრძობოდი, რომ მოვინდო.



„ბევრს ეგონა, რომ სპეციალურად დავდგი თამთასთან ფლირტი. ამ დროს ძალიან ბუნებრივი გამოვიდა. გამოსვლამდე ნერვიულობისგან სიცხე მქონდა, მახველებდა. საერთოდ არ მიფიქრია სცენიდან სიყვარულის ძაფების გაბმა. თამთა ისე მიყურებდა, მეც დადებითად განვწყვე და დიდი სიმპათია გამიჩნდა“

„მითხრა, შენ ჰგავხარ წყლიდან ამოვარდნილ თევზს, რომელიც ფართხალებს და უკან ჩახტომა უნდაო. მენტორებიც შევინააღმდეგენ და დარბაზიც. ერთ მომენტში ვიფიქრე, რომ არ მოეწონა ჩემი ნამღერი. მეორე მომენტში ვიფიქრე, რომ არ იცოდა ეს სიმღერა და მესამე - ალბათ, შოუს ნაწილი იყო მისი შეფასება“

როგორც მიშო ელიაშვილი ღიმილით მოაჯადოვა

მიშო: - ნინოს „ბაბნიკი“ ვეგონე.
ნინო: - საერთოდ არ არის ასეთი ტიპი.
- რა მოგეწონა მასში?
 - შევეწყვეთ ერთმანეთს და მომეწონა ის, რომ „ბაბნიკი“ არ იყო. თავისი ბუნებრივობით შემაყვარა თავი.
მიშო: - ნინოს თავისებური შარმი აქვს, რაც არც ერთი გოგონათვის არ შეეძინა. ისეთი მანერები, რომლითაც ყოველთვის სერიოზულ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე. შეიძლება მე ვხედავდი ასე, ჩემზე გავლენა ამ ყველაფრის ერთობლიობამ მოახდინა.
- როგორ გამოუტყდი?
მიშო: - მივაღიქი და ყველაფერი ერთად ვუთხარი. ძალიან ველავდი. მაგრამ ყველაფერი მარტივი რომ გამხდარიყო, დავკონკრეტდი და ავუხსენი.
ნინო: - ძალიან ნერვიულობდა და კარგად ვერც ამბობდა იმას, რისი თქმაც უნდოდა. გაცდი და მოიფიქრე, მითხრა. პასუხისმგებლობას არ მაკისრებდა.
მიშო: - თავიდან რთული იყო ამ ყველაფრის გავლა, გამოუცდელი რომ ხარ. ჩემი თავისაც მრცხვენოდა. თან მანამდე ასე არავინ მყვარებია. დაბნეული ვიყავი. ეგ ეტაპი გამოვლილი რომ მაქვს მისარია.
ნინო: - დღეს უკვე საუკეთესო მეგობრები ვართ.
მიშო: - არ ვზომავ მეგობრებთან სხვანაირი ვიყო და ნინოსთან სხვანაირი. სხვაგან თუ ვივარდები, ნინოსთან არ შევივარდები. ერთმანეთთან ბუნებრივები ვართ. ეს არის ყველაზე კარგი რამე, რაც ორი ადამიანის ურთიერთობაშია.
ნინო: - ბოლომდე ბუნებრივები ვართ.
- ჩხუბი, ეჭვიანობა?
ნინო: - ჩხუბი და ეჭვიანობა არ არის ჩვენი ურთიერთობაში.
მიშო: - ვჩხუბობთ უაზრობებზე. უფრო ვკამათობთ.
- რითი შეგცვალათ ამ ურთიერთობამ?
მიშო: - ერთმანეთი გავზარდეთ, გამოვდივართ მოგვემატა. აღარ ვაქცევ ყურადღებას იმას, რასაც ადრე ვაქცევდი. არის რაღაცები, რაც ხელს უშლის ურთიერთობას, მაგრამ როცა გამოუცდელი ხარ, ამას ვერ ამჩნევ. ბევრი რამ უნდა გადადო ურთიერთობისთვის. ყველას ვუსურვებ ასეთ ურთიერთობას.

„არაფრის „ჩალიჩი“ არ დაიბეგმავს. როგორც ჯგუფელები ჩვეულებრივ ვკონტაქტობდით. ამასობაში ოთხი თვე გავიდა“

„პირველი, რამაც ყურადღება მიიქცია, ეს ნინოს ღიმილი იყო. მივსალხე და გამიღიმა“

„ახლა აღარც მე მცალია, ორშაბათიდან ორშაბათამდე მიშოს მხარდასაჭერ კონცერტებს ვაკეთებ, პოსტერებს ვამზადებ, ბილეთებს ვანანილებ“

„ნინოს „ბაბნიკი“ ვეგონე“ EXCLUSIVE

„ნინოს თავისებური შარმი აქვს, რაც არც ერთი გოგონათვის არ შეეძინა. ისეთი მანერები, რომლითაც ყოველთვის სერიოზულ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე. შეიძლება მე ვხედავდი ასე, ჩემზე გავლენა ამ ყველაფრის ერთობლიობამ მოახდინა.“

ნინო ლაკვივილი: „როგორც მომეწონა სიასხლან თავისი ინდივიდუალური ტემპით, დამახასიათებელი ვიზუალით. აქვს შარმი და უხდება სცენას“

„X ფაქტორი“
 ნინო ბევრ რამეს აკეთებს იმისთვის, შარმი დაუჭიროს პროექტში. ეხმარება, პოსტერებს აკეთებს, ფანებს ეკონტაქტება.
ნინო: - მიშოს ფანებსაც ვეკონტაქტები და მათ ახალ ფოტოებს ვანვდი, რომ ფეისბუქზე გამოაქვეყნონ.
მიშო: - კომენტარებში რამე ისე არ დაწერო, მირჩევს.
ნინო: - ვიცოდი ამ პროექტში რომ პოდიოდა, ბევრი გულშემატკივარი გოგონა გაუჩნდებოდა. მომზადებული ვიყავი. თუმცა არც მანამდე აკლდა გოგონების არმიები. ათათას გოგონაზე სომ ვერ ვიფიქრებდი? ჩემი გაბრაზების მიზეზი არის ის, რომ დრო არ რჩება რომ მანახოს.
მიშო: - ისე ვარ ამ პროექტში ჩართული, ზოგჯერ მაინცდება მიგნერო.
- გასაყვედურობს?
 - იშვიათად. ვკამათობთ, მაგრამ ვიცი, ნინო მართალია.
ნინო: - ახლა აღარც მე მცალია, ორშაბათიდან ორშაბათამდე მიშოს მხარდასაჭერ კონცერტებს ვაკეთებ, პოსტერებს ვამზადებ, ვანანილებ ბილეთებს.
- სოფიზე და მიშოზე აქორავდენ.
ნინო: - მე ხომ დარწმუნებული ვარ მიშოში. ვიცი, რომ ვუყვარვარ. მზად ვიყავი ამ ყველაფრითვის.
მიშო: - სოფის უყვარს სელფმოტების ვადალება. ეს არის და ეს.
- მიშო, შენ არ ეჭვიანობ?
 - არ მაეჭვიანებს.
„უხდება სცენას“
- როგორია მიშო?
მიშო: - ყველა ცილს მწამებს - მიშო ელიაშვილი თავდაჯერებულიაო. ასე არ არის.

არ მაქვს თავში ავარდნილი.
- რატომ ტოვებ ასეთ შთაბეჭდილებას?
 - ალბათ იმიტომ, რომ ცუდი გარეგნობა არ მაქვს. გადაცემა „პროფილში“ დავაკვირდი ჩემს თავს და დავფიქრდი, რატომ ჰგონიათ ასე. თვალზე მაქვს საუბრის დროს დახუჭული და ჰგონიათ, რომ თავდაჯერებული ვარ. ასეთი თვალის ჭრილი მაქვს და რა ვქნა? ნინო დამეთანხმება, არ ვარ ასეთი.
ნინო: - ამ პროექტში რომ მიელო მონაწილეობა ბევრი ჩიჩინი დაგვჭირდა.
- რითი გეხმარება ნინო?
მიშო: - ჩემში ეჭვი არ ეპარება. ბოლომდე გვერდით მიდგას. ყოფილი ცუდი რომ უთქვამს და ცუდ ხასიათზე დავმდგარვარ, ნინოს დაფუყენებვარ კარგ ხასიათზე.
- როგორ?
ნინო: - საკუთარ თავში უნდა იყოს დაჯერებული, ეჭვი არ უნდა ეპარებოდეს.
მიშო: - მის სიტყვებს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ.
- რით გემაყვება მიშო?
ნინო: - ძალიან მაგარია, ნიჭიერი ადამიანია. როგორც მომღერალი სიასხლან თავისი ინდივიდუალური ტემპით, დამახასიათებელი ვიზუალით. აქვს შარმი და უხდება სცენას.
- ქუჩაში დისკომფორტი ჯერ არ შეუქმნია მიშოს ცნობადობას?
ნინო: - ჯერ არა, არ გვაქვს ამდენი დრო. ჯერ სახლებში ვიკრიბებით. გარეთ არ ვსეირნობთ.
მიშო: - ანუ ჯერ გახეთათფარებული, კეპით და სათვალისთ არ გავსულვარ.
- ფილარმონიის უკანა გასასვლელთან თინეიჯერი ფანები რომ გხვდ-



ებთან, რას გრძნობ?
ნინო: - მე ველოდები, სანამ ხელს არ მოუწერს ყველას, არ მოდის.
მიშო: - მე ჩემს თავზე მეცილება. ლიფტიდან გამოსულს რომ დამინახავენ, ნივლის ინყებენ. რა ანივლებთ? დაცვას გაჰყავთ. ამას სერიოზულად ვერ აღვიქვამ, ერთი თვეც არ გასულა, რაც ტელევიზორში ვჩანვარ და ამხე-

ლა აუიოტაჟია.
ნინო: - ჩემზე მეტად გულშემატკივრობენ.
მიშო: - ჩემს მშობლებსაც ნერენ, ფოტოები გამოგვიგზავნიან.
- მიშოს მერე ვის გულშემატკივრობ „X ფაქტორში“?
 - მეშობს. მგლებს ვგულშემატკივრობ :)

სალომე გოგონია

მართალია, ეპიდემიოლოგები ყირიმ-კონგოს ვირუსის ეპიდემიას არ ადასტურებენ, მაგრამ ზაფხულში მოსახლეობას განსაკუთრებული სიფრთხილისკენ მოუწოდებენ. დაავადება სწორედ ამ პერიოდში პროგრესირებს, მისი გადამტანი კი ტკიპები არიან. ხშირად, ინფიცირებულებს ყირიმ-კონგოს სიმპტომები ჩვეულებრივი გრიპის ვირუსში უშლბათ. ამიტომ, თვითმკურნალობას მიმართავენ, რაც დაუშვებელია. დაავადების დროული დიაგნოსტიკის შემთხვევაში გადარჩენის ალბათობა გაცილებით მაღალია.

გასულ კვირას ინფექციური საავადმყოფოდან ყირიმ-კონგოს ცხელებით განკურნებული პაციენტი მინ განერეს. ხაშურელმა კალიბატონმა ეთერ რობაქიძემ ინფექციურში სამ კვირაზე მეტი დაჰყო. საბედნიეროდ, ექიმებმა მისი გადარჩენა შეძლეს. რობაქიძე სწორედ იმ სოფლიდანაა, საიდანც 34 წლის თეა ჭიკაძე იყო, რომელიც აღნიშნული დიაგნოზით სამი თვის წინ გარდაიცვალა.

რაც შეეხება ეთერ რობაქიძეს, მაღალი სიცხეებით ოჯახმა ჯერ ხაშურის საავადმყოფოში გადაიყვანა, თუმცა, მდგომარეობა დამძიმდა. ამიტომ, პაციენტი თბილისში, ინფექციურ საავადმყოფოში მოათავსეს. პაციენტის ოჯახის ვარაუდით, ტკიპამ მას მარწყვის კრევის დროს უკბინა. ქალბატონს სახსრები აწუხებს, ამიტომ, მცენარის გამარგვლის ან კრევის დროს მინაზე იჩოქებდა. საავადმყოფოდ, ტკიპამ მუშაობის დროს უკბინა, რასაც ყურადღება არ მიაქცია. რამდენიმე დღეში კი ვირუსი აქტიურ ფაზაში გადავიდა და ქალბატონიც შეუძლოდ შეიქნა.

არსებობს თუ არა აკვირალის საშიშროება?



EXCLUSIVE

2009 წლიდან დღემდე საქართველოში ყირიმ-კონგოს 22 შემთხვევა გამოვლენილი. ნელს ყირიმ-კონგოს ცხრა შემთხვევა გამოვლენილი. აქედან, ორი შემთხვევა ლეტალურად დასრულდა



„პრაიმტიმთან“ საუბარში ინფექციური საავადმყოფოს რეანიმაციული განყოფილების გამგე ანა ლალიძე ამბობს, რომ პაციენტს მოსვლა დაავადებდა, თუმცა, მკურნალობას დაექვემდებარა.

„ცოტა დაგვიანებით მოიყვანეს. როგორც ამ დაავადებას ახასიათებს, აღენიშნებოდა ცხელება, შემცივნება, კუნთების, სახსრების ტკივილი, სისხლჩაქცევები, სისხლის დენა, დიარეა. მძიმე ფორმა იყო. საბედნიეროდ, მკურნალობას დაექვემდებარა და გადაარჩა. უკვე მინ გავეჩივით“, - ამბობს ლალიძე.

როგორც ექიმი იხსენებს, გასულ თვეს რეანიმაციის ბორჯომელი ახალგაზრდა იმავე დიაგნოზით იწვა, რომელიც ასევე გადარჩა. თუმცა, კიდევ სხვა პაციენტის გადარჩენა ვერ შეძლეს.

„ვაქცინირებად, ერთი, შემოყვანიდან რამდენიმე წუთში დაიღუპა. ისიც ხაშურიდან იყო. მანამდე 34 წლის თეა ჭიკაძე, იმავე დიაგნოზით, რამდენიმე დღეში გარდაიცვალა. ნელს სულ ორი ლეტალური შემთხვევა დაფიქსირდა. ეპიდემიაზე საუბარი ნაადრევია, მაგრამ შემთხვევები გვაქვს. ზაფხულთან ერთად შემთხვევები მოიმატებს. სასურველია, რომ სოფლად, მინდორში გასულს ეცავს შარვალი, წინაღობი, გრძელსახელოიანი ზედატანი, რომ ტკიპას კანთან შეხება არ შეუძლებს. ყურადღებით უნდა იყვნ-

ენ. ტკიპის ნაკბენს ყოველთვის ვერ აფიქსირებენ. ინკუბაციური პერიოდი აქვს, შემდეგ დაავადება იწყება. რა თქმა უნდა, ყველა ტკიპა ინფიცირებული არ არის და დაავადებას არ გამოიწვევს, მაგრამ ინფიცირებული ტკიპა აუცილებლად დაავადების გამოვლენას დაახლოებით 10-12 დღე სჭირდება, უფრო ხშირად კი 4-5 დღეში ვლინდება. დასაწყისში ჩვეულებრივი გრიპის სიმპტომები ახასიათებს: კუნთების, სახსრების ტკივილი“. - ამბობს ლალიძე.

მისივე თქმით, მოსახლეობამ განსაკუთრებით გაზაფხულიდან შემოდგომამდე უნდა იფრთხილოს, რადგან ტკიპების აქტიურობა ამ პერიოდში იზრდება.

2009 წლიდან დღემდე საქართველოში ყირიმ-კონგოს 22 შემთხვევა გამოვლენილი. ნელს ყირიმ-კონგოს ცხრა შემთხვევა გამოვლენილი. აქედან, ორი შემთხვევა ლეტალურად დასრულდა.

ყირიმ-კონგოს ვირუსი ადამიანზე ტკიპის მეშვეობით გადადის. ასევე, იმ ცხოველებიდან, რომლებზეც ტკიპები პარაზიტობენ (თაგვები, ზღარები, კურღლები, ძროხები, ცხვრები და თხები), ისინი ვირუსის დროებითი რეზერვუარები არიან. დაინფიცირებულებს ახასიათებთ მაღალი ტემპერატურა, სისხლჩაქცევები, სისხლდენა შინაგანი ორგანოებიდან, ლეტალობის მაჩვენებელი მაღალია.

საქართველოში ამ ვირუსის ძირითადი კერა ორ რეგიონშია - სამცხე-ჯავახეთსა და შიდა-ქართლში. ვირუსით დაინფიცირების საშიშროება ადრიატიკის სანაპიროების სანაპიროებზეც არსებობს.

მსოფლიოში ყირიმ-კონგოს ვაქცინა არ არსებობს. საქართველოშიც ამ დიაგნოზის დასმა ბოლო სამი წელია, რაც შესაძლებელი გახდა.

ყირიმ-კონგოს ცხელებით ლეტალობა საკმაოდ მაღალია. დაავადება ცხელებით მიმდინარეობს, რომელიც ბევრ დაავადებას ახასიათებს. კლინიკურად ვერ გადარჩევი. მისი იდენტიფიცირება მხოლოდ ლაბორატორიულად ხდება. საჭიროა დროული დიაგნოსტიკა.

ამ დიაგნოზით გარდაცვალების პირველი შემთხვევა სამი თვის წინ დაფიქსირდა. 35 წლის თეა ჭიკაძე ინფექციურ

საავადმყოფოში გარდაიცვალა. პაციენტი ხაშურის რაიონის სოფელ ბრილიდან იყო, მას 3 შვილი ღარჩა. ინფექციურ საავადმყოფოში მძიმე მდგომარეობაში მოიყვანეს. ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

„პრაიმტიმთან“ გარდაცვლილის სიძემ განაცხადა, რომ მის რძალს ტკიპამ უკბინა. თუმცა, ყურადღება არ მიუქცევია.

„თვითონაც არ ახსოვდა, შეიძლება ძროხას ტკიპას აცლიდა და იმ დროს უკბინა, მერე ჭრილობაზე ხელი მოისვა და სისხლი გადავიდა. თავის ტკივილები დაეწყო და მაღალი სიცხე მისცა. როგორც გრიპის დროს იცის. ჩემთან ჩამოიყვანეს, მე ზესტაფონში ვცხოვრობ. ძალიან ცუდად ვაზდა. გამოვიძახებე სასწრაფო. მათ გვითხრეს, ჩვეულებრივი ვირუსია და ოთხ-ხუთ დღეში თავისით გაივლისო. მდგომარეობა დამძიმდა, ლეზინება დაეწყო. ნამოვიყვანეთ თბილისში. ჩვენ არ ვიცოდით, ეს დაავადება ინვეს სისხლჩაქცევებს. ჯერ კუჭი გაუსკდა. ინფექციურში მივიყვანეთ, მაგრამ მათ არ მიიღეს, ჩვენი პაციენტი არ არისო და გაგვიშვეს ფონიჭალაში. იქ გაიკვავა, რომ სხვა რაღაც სჭირდა და ისევ ინფექციურში გადაიყვანეს. უკვე ძალიან ცუდად იყო. ბოლო დღეებში სამიწელი ტკივილები ჰქონდა, სისხლდენა. პირველ აპრილს, გამთენიისას გარდაიცვალა“, - გვიამბო გარდაცვლილის სიძემ.

როგორც ინფექციურის რეანიმაციული განყოფილების გამგე იხსენებს, პაციენტი უმძიმეს მდგომარეობაში შემოიყვანეს. პრაქტიკულად, გადარჩენის შანსი წულის ტოლი იყო.

„უმძიმესი ფორმით მოიყვანეს. სისხლი ძალიან მძიმე ცვლილებები იყო. ძროხას ტკიპებს აცლიდა და ამ დროს უკბინა. ჩვენთან ოთხი თუ ხუთი დღის შემდეგ მოიყვანეს. თუმცა, მდგომარეობის სირთულე მხოლოდ გვიან მოყვანით არ იყო განპირობებული. თვითონ დაავადების ფორმა იყო უმძიმესი. როცა ანალიზი ჩაუტარეთ, სისხლში ვირუსი დიდი რაოდენობით იყო. სამწუხაროდ, ამ დაავადებას მაღალი ლეტალობა ახასიათებს. პაციენტი ძალიან უმწიფო ოჯახიდან იყო. სამი შვილი დარჩა. სისხლჩაქცევები ჰქონდა. სისხლდენა პირიდან, ღრძილებიდან. პირველი დღიდან ახასიათებს ისეთი სიმპტომები, რომ ადამიანმა შეიძლება ჩათვალოს, ჩვეულებრივი გრიპია. თუმცა, ორისამი დღის შემდეგ სისხლჩაქცევები ვითარდება. სისხლჩაქცევები არამარტო კანზე, არამედ შინაგან ორგანოებზეც ანემია მკვეთრად განვითარებული ჰქონდა. იმდენად მძიმედ მიმდინარეობდა დაავადება, რომ, ალბათ, თავიდანვე განსწორებული იყო“. - ამბობს ანა ლალიძე.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში აცხადებენ, რომ ყირიმ-კონგოს ცხელების ეპიდემიის საშიშროება არ არსებობს.

„ეპიდემიის საშიშროება არ არსებობს. ზოგადად, ტკიპის კბენის აქტიური

„არ მიწა ძალიან შავაშინო ჩვენი მოსახლეობა. ამ ცხელებით დაინფიცირება ტკიპის ნაკბენით არამარტო ყირიმ-კონგო, არამედ სხვა უამრავი ინფექციაც გადადის. დროულად მიმართვის შემთხვევაში ბალარჩენის ალბათობაც მაღალია, რადგან ანტივირუსული მედიკამენტი არსებობს“



12 ივნისიდან - 13 ივლისამდე
ონლაინ ტოტალიზატორის
გათამაშება
მოიბე JAGUAR XJ

მიიღე ყოველ 5 ლარზე 10 ბილეთამდე





გიორგი ბაბუნიაშ exclusive თამთა გოდუაძის მოფლირტავე წყალბურთელი არ აირჩია



EXCLUSIVE

ლელა ალიგებეგაშვილი - „წლის საუკეთესო მსახიობი ქალი“

„პოემის“ კვირეულმა წარმატებით ჩაიარა

EXCLUSIVE



EXCLUSIVE
პარანორმალური მოვლენები, მისტიკა და ამოუცნობი ფაქტები



EXCLUSIVE



exclusive

იაშვილი ფეხბურთის ვერ ელევა


ალექსანდრე იაშვილი: „ყოველთვის ვიტოვებ და მინდობა ცხოვრება საქართველოში“



ლელა წურწუმიას პრაიმტაიმი exclusive

„ეს ყველაფერი ჩემი შრომით მოპოვებულია და იმიტომ რომ ვიღაცას სჭირდება, ფეხქვეშ ვერ ამოვადებინებ!“

ISSN 1987-7404



9 771987 740005